

# ლიტერატურული გაზეთი



№9 (265) 22 - 28 მაისი 2020

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

შემდეგი ნომერი გამოვა ერთ კვირაში — 29 მაისს

## ვახტანგ ჯავახიძე

კორონავირუსი ანუ ღაბღაბი სახლში!

მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო,  
რას გვერჩოდი, ჩინეთიდან მოგზავნილო ვირუსო,  
ვინ ვოლტერი გაიხსენა, ვინ დიდრო და ვინ რუსო:  
ვინც სახლში არ დაეტიოს, წიხლი მოხვდეს ვირისო!

მე თუ მკითხავთ, არ მაქვს ალტერნატივა,  
ვინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ.

88 წლის ვ.ჯავახიძე





1

ღმერთი ადამიანს თავის ხატად აჩენს, ემშაქს თვითონვე ემსგავსება. ასე იფიქრებდი, იმ დღეს ქალაქის გარეუბანში ძეძვებით მოსილ ხრიოკ ბორცვზე შემდგარი ფირო რომ დაგენახა, დაძინილი და ქანცგანწყვეტილი, შემოილი თვალებით ჩამავალ მზეს რომ უმზერდა და მგზნებარედ გაჰკიოდა:

— უღმობელი ხარ, ქალაქო, მშვენიერების დამმალავო შენს უკიდევანო სიღრმეში!

ეს სიტყვები განაჩენივით გაისმოდა, რადგანაც ფიროს გული გაბზარული ჰქონდა, ხოლო ბზარის თვისებაა, ნელნელა გაღრმავდეს. მას ლამის ზურგზე გადაკიდებული გიტარაც გადმოეხსნა და ნვეტიან ქვებზე ჟღერა დაეხეთქებინა. ეტყობა, მთელ კაცობრიობას მტრად მიიჩნევდა, რადგან იმ დილით მერამდენედ ჩამოიფხატა ქუდი, მერამდენედ გაემართა ქალაქისკენ და მერამდენედ გამობრუნდა უკან გულჩათხრობილი, სათვალავი უკვე არეოდა. როცა ქალაქს სტუმრობდა ხოლმე, უთენია იწყებდა ქუჩებში ხეტიალს, თითქოს საშოვარზე გამოსულიყოს, ცოტაოდენს იხელთებდა კიდევ. ზუსტად იმდენი ჭირდებოდა, ძებნა რომ გაეგრძელებინა. ქუდიც ამ მიზეზით დაჰქონდა. შეგროვილ ხურდებს მალაზიაში ამსხვილებდა, ჩხარუნით რომ არ ევლო, თანაც აეჩემებინა, იქნებ სამამნეთიანში გადამიცივალთო. დახლის მფლობელი კლიენტის ახირებას ყოველთვის ასრულებდნენ, რადგან ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირიქით, ხურდები ერჩივნათ კიდევ. გულდანწყვეტილი ფირო კი, სანამ სამამნეთიანს ჯიბეში ჩაიდებდა, აქეთ-იქიდან დახედავდა ხოლმე. ლატაკ უბნებში ბევრს ვერაფერს შოულობდა, ცენტრალურ ქუჩებზე კი ეჭვის თვლით უყურებდნენ, რადგან მანანალასავით იქცეოდა, სინამდვილეში სულ სხვა საქმისათვის იყო ჩამოსული. თვალბეჭდის სედიანი იმ სხვა საქმის გამო ჰქონდა. ფირო ყოველ გამველეს დაჟინებით შეჰყურებდა, იქნებ რომელიმე მათგანში ის სახე ამოეცნო, ვისაც ამდენი ხნის განმავლობაში დაეძებდა. ძველისძველი გიტარის სიმები ისე წკარუნობდა, თითქოს უკანასკნელ ბგერებს გამოსცემსო, თან ერთსა და იმავე ტექსტს აჟღერებდა:

კენწეროთა შერხევით

ჩურჩულებენ ვერხვები:  
ჩვენ მშვენივრად ვერკვევით,  
გრძნობა გახლავთ მეფურთ,  
ერთურთს კვლავ რომ შეხვდებით  
ძველი შეყვარებულნი...

ფიროს ეს ლექსი თვითონვე შეეთხზა ოდესღაც, უტკბეს ბავშვობაში. თითქოს ნინასნარ უძღვნა იმ ულამაზეს გოგონას, ელე რომ ერქვა და რომელსაც ახლაც დაეძებდა ამ უცხო, მიკარგულ და უღრან უბნებში, სადაც ჩვეოდათ მოთქმა და უმადურობის გამოხატვა და სადაც გზას ძნელად მიიკვლევდა, რადგან გამოქვაბულში მეტი სინათლე იქნებოდა, ვიდრე იმ ბარაკებში, ბინებს რომ ეძახდნენ, თითქოს მათთვისვე ეზრუნათ, მინა სასუფეველზე შთამბეჭდავად რომ არ მოჩვენებოდათ. ფირო ერთადერთ პირობას ითვალისწინებდა — დასახლება ახლოს უნდა ყოფილიყო რკინიგზასთან, რომელიც მთელ ქალაქს შუაზე კვეთდა. ოღორილორო ჩიხები სახის იარებს წააგავდა. ალბათ ყველაზე ბილნ გინებებს იქ იგონებდნენ, ანჩხლი სიღარიბე იმდენად შავ-თეთრ ფერებში იყო წარმოდგენილი, განსხვავებით მდიდრული უბნებისგან, სადაც ორსართულიანი შენობები მიძიმე სკივრებით იდგა, ოქროს მონეტებით პირთამდე გამოტენილი ზანდუკებით, პრიალა სახურავები სიკამუკამით რომ უბრწყინავდათ და ულაპლაპებდათ, გეგონებოდა, მზე სწორედ ამ სანახაობის გამო ჩადისო. მცხოვრებნი ხმას ჯაჯღანით გაგვებდნენ, თუკი საერთოდ მივიჩნევდნენ ამის ღირსად. ფირო ბევრჯერ ღამეც შერჩენია ქუჩას, სადაც მთვარის ნათელი ისე ეფინებოდა ასფალტს, გეგონებოდა, აბაჟურისი ღამა დაჰნათისო. ბევრჯერ თავზეც დასთენებია, განთიადის ბინდებუნდს ნისლეში თავჩარგული ლანდშაფტი რომ შეცვლიდა ხოლმე, თითქოს პრესის სიახლეებს ეცნობაო. დაკვირვებული იყო, მანანალალები ბალის მერხზე რომ მიესვენებოდნენ ხოლმე ღამენათენი, მონესრიგებული ხალხი სწორედ მაშინ გამოდიოდა გარეთ. შედარებით წარჩინებული მათხოვრებიც ამ ხალხს

# დიმიტრი ნიკლაური შეყვარებული ფირო



ბაძავდნენ, საქმეს დილაადრიან იწყებდნენ, თითქოს დღის ბოლომდე უნდა გამდიდრებულიყვნენ. როცა უმართლებდათ, აღფრთოვანებულები მიაჩხარუნებდნენ კონსერვის ქილებს ღრმა ჯიბეებით, გასტრონომში რომ შეეძინათ. მთავარი იყო, ქურდბაცაცებს არ წაეგლიჯათ. ამიტომაც ეძებდნენ მყუდრო ადგილს. იქნებ წყაროსაც გადანიშნავდნენ. თონესთან ასფალტს ფეკილის ნარჩენები აჩნდა, თითქოს პუდრი მოაფრქვიესო. ეტყობა, ახლახან მიეღოთ ტომრებით. ზოგან, ბორდიურებზე წვრილმან მოვარევა ნივთები ელაგა. ყოველი ალაგი მოყაყან ბაზრად ექციათ, როგორღაც ფონს გასვლას შეჩვეულები იყვნენ და ამას დიდად არ განიცდიდნენ. უსასოო კაცს მხოლოდ ცვლილებები თუ აწყველინებს თავებდს. ფირომ ერთგან ბრჭყვიალა გუმბათს მოჰკრა თვალი. ეკლესიის გამოჩენა კარობჭის მიგნებას ჰგავდა ცხოვრების დახშობადადარბაზებში. ტაძრის ფასადზე ცარცისფერი ნარჩენები იყო მიჩხაპნილი, კედლები ანც ბავშვებს ქვებით დაეკანრათ. ზეცასავით მოხატულ ჭერზე ყვითელი ვარსკვლავები ძაფზე ჩამოკონწიალებულ მნათობებს ეკვროდა. დედადრები ჩუმად ლოცულობდნენ, სიტყვებს ვერც კი გაარჩევდი. მოჭუტული თვალები ცრემლებისთვის გასკუთვნილს არ უგავდათ, თითქოს უდაბნოებში ხანგრძლივმა ხეტებამ დაუნეროდათ. სამოთხე ჯვარცმულთა ზეიშია, მჭმუნვარედ გაიფიქრა ფირომ. ანალოგიასთან ვერცხლის შანდლები ჩაემწკრივე ბინათ. ვერცხლის ნაკეთობა ოქროსას ერჩინა, ერთ უმნიშვნელოვანეს კალმის ფერს აგონებდა. თეთრი, სუეტაკი და მზინვარე ზედაპირი კელაპტრების შუქზე ისე ელავებოდა, თითქოს მთელი მისი ფასეულობა კრიალა თოვლისფერში მჟღავნებოდა. ვერცხლის მგზნებარება უზუსტაეს მარილს აგონებდა, ადამიანებმა თეთრი სიკვდილი რომ უნოდეს, ღმერთმა კი თავად ადამიანებს შეადარა, თქვენ ხართო მარილი მინის. ჭალარა მღვდელმსახური, თმანვერშიც ვერცხლი რომ შერეოდა, საცეცხლურს აკმევდა. ქამარზე გამობმული

გასადებების აცმა ჩხარუნით დაჰქონდა, რომლის რგოლი სალტესავით ფართო იყო, ერთი შეხედვით ჯამბაზისა გეგონებოდა. შიდა სივრცე საკმეველის სურნელეზას გაეჟღინათ. სტოაში მრევლისგან განცალკევებით პოლკოვნიკი იდგა და სამხრეებზე სამი ვარსკვლავი უბრწყინავდა. ეტყობა, ნირვის მსვლელობა სიმშვიდეს ჰგვრიდა, მისი წარსული ხომ ომი და გაჩანაგება იყო. ალბათ დაბომბვის შედეგებიც თვალწინ ედგა. როცა მზე ქვემეხების ზალში ამოდის, ნანგრევებში მოუნწევს ჩასვლა. მრევლის წევრები, მოსახსენებელ ლოცვას გმირ ნინაპარა სახელების წარმოთქმით იწყებდნენ და მონინებთ გადახედავდნენ ხოლმე პოლკოვნიკს, რადგან უკვირდათ, როგორღაც რომ გადაურჩა ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპვას და სახელოვან სიცოცხლეს აგრძელებდა. მას ერთი ბარძიმიდან მაზიარებელ ძმად მიიჩნევდნენ და თუ ეს სამი ვარსკვლავი ესოდენ პატივისცემას იწვევდა დანარჩენებში, მაშინ რაოდენ აღემატებოდა ურიცხვი ვარსკვლავებით მოოჭვილი ზეცა თვით გენერალსიმუხის სამხრეებსაც კი, მთელი ისტორიის მანძილზე სულ თითზე ჩამოსათვლელი რომ იყვნენ. პოლკოვნიკი ფიქრობდა, ეს ფაქიზად შესრულებული ფრესკებიც გახუნდება და ორნამენტებიც ბათქაშად იქცევა, ყოველ შემთხვევაში ძველ ხიბლს დაკარგავს, მაგრამ ჯობს, ეს დროის სიხანგრძლივმე განაპირობოს და არა მეყსეულმა ომმა. ოხვრა და სინანული სხვადასხვა რამეა. ოხვრა გული დაწყლომა ამ ქვეყანაზე, სინანული კი იმ ქვეყნის მონატრება. ადამიანები მაშინ შეცდნენ, როცა თავიანთი შესაძლებლობების იმდენად ირწმუნეს, რომ ღვთის წყალობას მოაკლდნენ. ნამით პოლკოვნიკმა ეპისკოპოსის საფლავს გადახედა, ტაძრის კედელთან რომ განისვენებდა. საფლავის წარწერა თუნდაც შთამბეჭდავ, მაგრამ მაინც დასასრულს მოასწავებდა, თითქოს ბებერი დრო ფენებად ალაგებდა განვლილ სიცოცხლებს, როგორც ვრცელ შინაარსთა მოკლე ანოტაციებს ნიგნთსაცავთა კატალოგებში.

ვინრო სარკმლებიდან მოღუშული უბანი მოჩანდა. მონოლითურ შენობებს სხვა ხიბლი ჰქონდა, მაგრამ ფიროს მაინც მყუდრო სახლებისკენ მიუწევდა გული, სიმართლევს უფრო მძაფრად აღიქვამდა. ოცნებობდა, ოდესმე ასეთ სახლში ეცხოვრა ელესთან ერთად. ქუჩა ვრცელი იყო, სადაც ნაგებობები ისე ჰგავდა ერთმანეთს, თითქოს ელვის სისწრაფით აეშენებინათ. ამიტომაც არქიტექტურის პენსა და ემზხე დიდად არ ეზრუნათ. ძველ ფიცრებს ჭრატუნნი გაჰქონდა, პარკეტებს ჭრიალი და ეს ყრუ ბგერები სამყაროსთან შეხმიანების მცდელობას ჰგავდა. თუ სადმე სასახლე გაკრთებოდა, ქობმახების ფონზე ისე აღიქმებოდა, როგორც წარჩინებული პიროვნების უხერხული ქცევა ლატაკთა შორის, სადაც გარემოებათა უცნაური გათვლის წყალობით აღმოჩნდა.

კაცი იმას მიელტვის, რაც ძნელად მისაღწევია. გემით გრძობს, რასაც ვერ შეიძენს, უნდა მოიპოვოს, მაგრამ ფირო დაღალა თვალყურის დევნებამ. ძებნა ხომ მრავალი დეტალისგან შედგებოდა. რალაც თანმიმდევრულობას იცავდა, თუმცა ამხელა ქალაქში ყოველ გოჯს ხომ არ გადაჩხრეოდა. შესაძლოა რალაც გამოჩენილიყო. ამდენი ხნის მანძილზე სახლიც ვერ მოინახა, ხოლო იმ კუბიურას სადღა მოიხელთებდა, მისამართი რომ იყო ალბათ აღნიშნული. ფული მაშინ არც ისე შელახული ჩანდა, მაგრამ უკვე დიდი დრო იყო გასული, ფიროს კი ჯერაც მრავალი მიჯნა რჩებოდა გადასალახი. შემართება გააჩნდა, მაგრამ თითქოს გისოსებში გამოამწყვდიესო. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა თამაშის მთავარი წესი — სანამ ბოლოში არ გახვალ, თავიდან არ დაგანწყებინებენ. ფირომ ერთხელ ძვირფასი სამკაულიც შეიძინა მოოჭვილი ზარდახში და ელეს თავშალში გამოახვია, უცებ რომ გადაეცანყდე, ხელში შევაჩერებო. საკმაოდ ძვირი კი დაუჯდა თავისი გროშების კვალბაზე. ერთგან საუკეთესო ხედებიან მყუდრო კაფეს გადაწყდა. თუ შეხვდები, აქ დაგვატიფებო, გადწყვიტა, მაგრამ ძებნა ყოველთვის უშედეგოდ თავდებოდა. რომც შეხვედროდა, ალბათ ცოლად არც გამოჰყვებოდა. ის ხომ სხვა სამყაროს შვილი იყო. ეგ არის გული მოსვენებას არ აძლევდა, ეს ფაქიზი ორგანო მთელ სხეულს ამხედრებოდა, თითქოს უარს უცხადებდა თანაცხოვრებაზე. ფიროს უცხოებთან გამოლაპარაკებისაც ერიდებოდა, მაგრამ თავს აძალებდა. ერთხელ ტრამვაის ხაზის შორიხლო დაფხავებულ შენობასთან ახალგადმოსულები შენიშნა. ავეჯი გადმოეტანათ, ხოლო ხალიჩები, ფარდაები და მაგიდის გადასაფარებლები ცალკე ყუთებში ელაგა. ისინიც გამოპოკითხა, ელესა და მარგალიტას შესახებ ხომ არ გსმენიათო. აქ ჯერ არავის ვიცნობთო, უპასუხეს. სადაც აქამდე ცხოვრობდით, არც იქ გაგიგონიათ? ხავს ეჭიდებოდა ფირო. მათ მხრები აიჩერეს, შარიანი ვილაც ჩანსო.

ფირო ქუჩაში ბევრ მშვენიერ გოგონას გადაწყვიტა და კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ ელეს დარი არავინ გაჩენილა ქვეყნად. ამიტომაც, სადაც ქალთა საზოგადოებას შენიშნავდა, გაცლას ამჯობინებდა. ეს ერთგვარად ერთგულების გამოხატვაც იყო. ერთგან სამკერვალო ატელიეს ისე ჩაუარა, თითქოს პირი ამოკერილი ჰქონოდა. კოხტა მანდილოსნებს, მკერავებად რომ მუშაობდნენ, არც მისალმებია, მათ საყვედურიან მზერას კი თვალი აარიდა. ასე გაურბოდა თანაკლასელი გოგონების წვეტიან და გამჭოლ გამოხედვასაც, სკოლის დამოკრებისას ნაირგვარად შემოსილნი რომ გამოცხადდნენ, კაბების გამოფენა გეგონებოდა, ფიროს კი რუხი პიჯაკი ეცვა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მის მკაცრ იერს, თითქოს აგრძობინებდა, ცხოვრება ისედაც ცუდად მომექცა და თქვენ მაინც ნულარ დამიმატებთო. ირგვლივ წყვილები ხელჩაკიდებულები დადიოდნენ, თითქოს დანიშნულები ყოფილიყვნენ, ფირო კი ყველა ნიშანს ატარებდა, მარტოსული რომ გგონებოდა, ნამდვილ მიზეზს არავის უმხელდა, ან ვის აიძულებდა სანდოობას, ყველა თავისას იბრძოდა. ქალაქში როცა იყო, შიმშილის გრძნობას იაფფასიანი ნამცხვრებით იკლავდა. მუჭით ჩაბლუჯავდა ხოლმე, ნამცეცები რომ არ დაპნეოდა, სქელ ნაჭრებს პირში იტენიდა და დაუღეჭავდა სანსლავდა. მერე აღმართებს შეუყვებოდა, ბარემ აქაც გავიკითხავო. ერთგან ქუჩას მალაზია ჰყოფდა.



დახლები ორივე მხარეს ჩაეყოლებინათ. ეტყობა, მთელი კომერციული გათვლა ამ-აში მდგომარეობდა. ყოველი ადგილი, რომელიც ელეს ძებნაში განვლო, ნათლად ახსოვდა. იცოდა, სად არ ცხოვრობდა ელე, მაგრამ მის საცხოვრებელს ვერაფრით აგნებდა. მტანჯველი ფიქრები ანუხებდა, შესაძლოა, დღეს რომ აქ ვეძებ, იქ იყოს, სადაც გუშინ ვეძებდიო. ვინ იცის, იქნებ სადმე მოვკარი კიდევ სადმე თვალი და ვერ ვიცანით, გაიფიქრა და ისევ ქუჩების ლაბირინთში გაუჩინარდა. მოღუშულ ადგილას, სადაც შეუძლებელი იყო ელეს ეცხოვრა, მოსასვენებლად გაჩერდა. შენობის ჩონჩხთან, ამნის ფერხთქვეშ, ბეტონის მზა ფილები ენყო. შვერილებში სიო კენესოდა. ჩიტებს ფრთებზე წყალი ესხმებოდათ და დასველებული ფრთებით გზას ველარ განაგრძობდნენ, ხარაჩობზე ისხდნენ მდუმარედ და ჭიკჭიკის თავი აღარ ჰქონდათ. არემარე მიტოვებული გზის მხარეს მოეცვა. სანაგვე ურნები გადაყირავებინათ, თითქოს სისხლისგან დაცლილანო. საზოგადოებრივი საპირფარეოები ყარდა, სადაც მშვიდობა ისე ფუჭად იჭინებოდა, ლამის გული წასვლოდათ. მათხოვრებსაც ხელი ამაოდ გაეშვერათ. ყველა თავისი გასჭირვებოდა. ფიროც მოსაჩვენებლად იქექებოდა ჯიბეებში, არაფერი გააჩნდა ხელის გასამართად. ამას თვითონ საჭიროებდა. ზუსტად იმდენი დარჩენოდა, დაბაში დასაბრუნებლად რომ ყოფნოდა და ვაგზისკენ გაემართა.

2

მატარებელში ფირომ მერამდენედ გაიხსენა ის დღე, უთენია რომ გამოვიდა სახლიდან გიტარით ხელში და სადგურის მიმდებარე სკვერს მიაშურა. სიყმანვილე დაუვინყარი ხანა იყო, ფული იმდენად არ აინტერესებდა, მისი მონეტისთვის მომცდარიყო. სადგურს ასაქცევ ლიანდაგს ეძახდნენ, რადგან იქ შემადგენლობას ხშირად აჩერებდნენ, შემხვედრ მატარებელს გვერდი რომ აეარა. დამსვენებლები ბლომად ირეოდნენ, რომლებიც იმ მატარებლიდან ჩამოსულიყვნენ, დაბაში ნახევარი საათით რომ ჩერდებოდა. მატარებლის გასვლამდე სულს მოვიტყვამთო, ნაძენარის ყანგბადს ფილტვების ზეიმი უწოდეს. სწორედ მაშინ შენიშნა ფირომ ის გოგონა, ბებოსთან ერთად მოსიერნე, მკაცრად რომ არიგებდა:

— ყანგბადს დაეშურე, ელე, თბილისშიც უნარ გექნება ასეთი მდიდარი ჰაერი! ფირომ გაიფიქრა, ესოდენ ღარიბებს ჰაერი მაინც გვექონიაო მდიდარი. გოგონას კი თვალს ვერ წყვეტდა, რომელიც აგრეთვე ფიროს დიდი ინტერესით უსმენდა, თორემ სხეულებით მდინარისკენ გადაინაცვლებდა. ელე ისეთი ლამაზი იყო, სარკეში ჩახედვით მას ანტიკვარად აქცევდა, ფიროს კი თვალს არ აცილებდა. ფირო ეჭვობდა, ვილაცხაში ვეშლებიო. მალე ფიროს ბიჭები შემოეხვივნენ და ქუდში ხურდები ჩხრილით ჩაუყარეს. სხვებს აძლევდნენ მაგალითს, თორემ მერე ისევ უკან დაიბრუნებდნენ. ეს ხერხი ჭრიდა ხოლმე და ხშირად იყენებდნენ.

— ფირო! ვერხვებზე დაუკარი! — ამხნევებდნენ შეძახილებით.  
— რა ნიჭიერი ბიჭია! — შეაქო ბებომ. ამ სიტყვებისთვის ფირო მზად იყო შევილიშვილის თვალნი გადაეკოცნა ეს ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც ბრძანების კილოთი განაგრძობდა:

— ელე! დროა მატარებელში ავიდეთ, მალე დაიძრება!  
ფირო მათ აედევნა, მერე ვაკონთან გიტარა მოიმარჯვა და თავისი ყველაზე საყვარელი მელოდია დაამღერა.  
— ვერხვებში რას გულისხმობ? — მოულოდნელად ჰკითხა ფანჯარასთან მომდგარმა გოგონამ.

— ვერხვებში? — ნამით დაფიქრდა ფირო, სანამ ელეს უდიდეს საიდუმლოს გაუმხელდა, — ვერხვებში ვერხვებს ვგულისხმობ!

— მაშ ფირო გქვია? კარგი სახელია!  
— ფანჯარასთან რომ დგახარ, არ გაცივდე! — გაუხარდა ფიროს, სახელი რომ შეუქო.  
— მიყვარს რკინიგზის სურნელი! — ზრუნვა ამკარად ესიამოვნა ელეს, — მეც ახლოს ვცხოვრობ რკინიგზასთან!  
— სადაც ალბათ მატარებლები სვლას ანელებენ! — გაეპასუხა ფირო.  
— რატომ უნდა ანელებდნენ? — გულწრფელად დაინტერესდა გოგონა.



— ასეთი ლამაზი რომ ხარ, იმიტომ! შენ გგონია სილამაზე მიკვირს? მაგრამ შენ ნაღდად გამაკვირვე!

— უბრალოდ გარუჯული ვარ, ზღვისდაბაში ვისვენებდი!

— უბრალოდ გარუჯულიც რა სხვანაირი ხარ!

— შენც! — გამოუტყდა ელე და ფირო სიხარულით ცას ენია. ისინი მოზრდილებით ლაპარაკობდნენ და გული სიხარულით ეცხებოდათ, მაგრამ ელეს სიტყვები ბებოს რომ გაეგონა, არ მოუწონებდა.

— მადლობას გიხდი, ელე, დიდ მადლობას! — რიხიანად განუცხადა ფირომ, რადგან იმედოვნებდა, რომ თუკი მადლობას ორჯერ გადაიხდიდა, ეს საქციელი მის პიროვნებას კიდევ უფრო ზრდილობიანად წარმოაჩენდა.

— რისთვის? — გაიკვირვა ელემ.

— იმისთვის, რომ არსებობ და იმისთვის, რომ შესაძლოა სახლის მისამართიც გამიხილო! — მუდარა გაერია ხმაში.

— რა საჭიროა? — მხრები აიჩეჩა ელემ.


— მგონი, მიყვარხარ!

ელეს ხმა ელმავლის კვილიმა გადაჰფარა.  
— მარგალიტა ბებო, თუ შეიძლება კალამი მიბოძე!

მარგალიტა ბებო ერთხანს ჩანთაში იქექებოდა, სანამ მზის შუქზე მოელვარე ვერცხლისფერ კალამს მიაწვდიდა. იგი იმ ქალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, გარეთ სცენა რომ ჰგონიათ და შინ საგრძობად ელემ სამმანეთიანი მწვანე კუბიურა ამოიღო, რადგან ჯიბეში სხვა ვერაფერი იპოვა და ზედ წაანერა. ამასობაში მატარებელიც დაიძრა. ფიროს ქალადის ფული რომ გადასცა, მოულოდნელად ყელზე მოხვეუთ თავმადნე, მუდამ თავდაჭერილი. ფირო აედევნა, შემადგენლობა კი სვლას უმატებდა და როცა თავმადლი მოიხელთა, მატარებელი უკვე შორს იყო. ფული და თავმადლი გულის ჯიბეში ჩაიღო და შემადგენლობას გახედა. უცებ საშინელი სიმარტოვე იგრძნო. რაოდენ ცარიელი იყო დაბა იმ მატარებლის გარეშე, რომელსაც ელე დედაქალაქში მიჰყავდა. ფირო დასახლები-სკენ ისე წამოვიდა, თითქოს მექანიკურ მოქმედებას განაგრძობდა იმ ფოსტალიონის მსგავსად, წერილები რომ დაერიგებინა და ახლა შინ ბრუნდებოდა ცარიელი ჩანთით. ძველ ლუდხანასად ბიჭები ელო-

დნენ, სწორედ ისინი, სკვერში რომ ნახა. ხომ არ დაგველიაო, შესჩვილეს ფიროს, რომელიც მათ ლუდხანაში შეუძღვა. ისეთი ბედნიერი ჩანდა, ჩათრობაც შეიძლებოდა. ალექსის, ვინც ამ ლუდხანას განაგებდა, მეფური სუფრა გააშლევინა. სიყვარულის სადღეგრძელო მალაღი ჭიქით შესვა, მაგრამ ზოგადად ილაპარაკა. ისე კი ჰკითხეს, რაიმე ამბავი ხომ არ არისო შენს თავს, მაგრამ ფირომ იუარა. სკოლაშიც ასე იქცეოდა ხოლმე. ენაჭარტალა გოგონები ვერ ხვდებოდნენ, რომელი მათგანი მოსწონდა, ფიროს კი მათემატიკის მასწავლებელი იზიდავდა ყველაზე მეტად. ახალგაზრდა, ქერა ქალბატონი იყო. დაფაზე მნიშვნელოვანი ფორმულები როცა გამოჰყავდა, ყველაზე ყურადღებამისაქცევ ციფრებს ცარცით ამსხვილებდა. უბრალო წინადადებაშიც თავის ამოუწურავ ინტელექტს ამჟღავნებდა. გაკვეთილის მსვლელობისას ეს ფიროს საყვარელი მომენტი იყო. მერე რა, რომ ასაკით აღემატებოდა, სამაგიეროდ ერთდროულად ლამაზიც იყო და ჭკვიანიც, ასეთი რამ კი ყველა დროში ადამიანთა მოდგმის უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს. საკლასო ოთახის ფარღალა კედლები როგორღაც კიდევ ინარჩუნებდა სიმყარეს, ჭერი და იატაკი თითქმის დაშლილი იყო. ზოგადად მასწავლებლები იმაზე მედიდურად გამოიყურებოდნენ, ვიდრე გარემო პირობები ქმნიდა ამ შთაბეჭდილებას, მაგრამ იხტიბარს არ იტებდნენ. ამიტომაც კარგავდა აზრს მათი ნერვიული მოწოდება, კარგად ისწავლეთო. რისთვის ესწავლათ? რომ მათსავით უღიმღამოდ ცმოდათ და ამოღამებული თვალები ჰქონოდათ? ისინი მათემატიკის ქერა მასწავლებელს კი არ ჰგავდნენ, მუდამ თავდაჭერილი, ხმას ოდნავაც რომ არ აუწევდა. თუმცა ელეს გამოჩენამ ისიც დაავინყა და თვით მისი მშვენიერი ქერა თმაც, მზის ზეიმს რომ ადარებდა, გააუფერულა და უსახურ თივისფრად მოაჩვენა. ელე სულ სხვა იყო, მიუწვდომელი, განუმეორებელი და კიდევ მილიონობით ეპითეტის ღირსი.

მაგრამ დილით ფირომ ჯიბეები რომ მოიჩხრიკა, ელდა ეცა. იქ მხოლოდ თავმადლი ედო, სამმანეთიანი კუბიურა კი არსად ჩანდა. ეტყობა ლუდხანაში ბოლო კაპიკამდე ჩაეხარჯა და ის სამმანეთიანიც, ცალკე რომ ჰქონდა გადანახული, ზედ მიეყოლ-



ებინა. აღარც ის ახსოვდა, შინ როგორ დაბრუნდა.

— ალექს! ჩემ ფულს ვეძებ — კრძინით მივარდა ძველ ლუდხანაში.

— რომელ ფულს?

— გუშინ რომ გადაგიხადე!

— შარზე ხარ? მერედა ხომ მიირთვით კიდევ!

— მწვანე სამმანეთიანზე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მისამართი ეწერა!

— ლუდის მანქანას გაეატანე ფული ამ დილით! — უჯრა გამოალო ალექსიმ, მაინც გადავამონებო.

— სად ვნახო?

— სადღა ნახავ! მეთხოთმეტე კილომეტრიდან მოაქვთ ლუდი!

ქუჩაზე გადასვლისას მეზობელი გადაეჩეხა, სიგრძეს ცოლი. კარგია რომ გნახე, შეუტია უმალ, დეიდაშენი თავს შეუძლოდ გრძნობს, შენ კი სად დაფრატუნობო.

— არ მცალია! — დასჭყვივლა ფირომ და გზაზე უცებ გამოჩენილ ავტობუსს შეახტა.

— ეს ახალგაზრდები რამდენიც გინდა ზარდე, მაინც არაფერში ვარგინა! — თავი გადააქნია სიგრძეს ცოლმა. შარიათი ქალი იყო, თავი მუდამ მართალი რომ ეგონა. კაცს ნათქვამს თუ ვერ დაუნუნებდა, მიზეზად იმას მოსდებდა, დამალა მისმა ლაპარაკმაო. ბუხრის უგრძესი მილიც სახლის სახურავზე ამ ქალის მიზეზით იყო აშვერილი. ახლაც, როცა თავს უკმაყოფილოდ იქნევდა, ფირო უკვე მძლოთან არკვევდა, ავტობუსი ლუდსახარმთან ხომ ჩაივლისო. მანქანების მწკრივი შორიდანვე შენიშნა, ლუდსახარმთან მარჯვედ ჩამოხტა, თითქოს ცხენიდან ჩამოქვეითდაო და ერთად შეკრებილ მძლოლებს ორიოდ სიტყვით აუხსნა მოსვლის მიზეზი.

— ფულს აქ ვინ გააჩერებს, თბილისში წაიღეს!

ფირო მუხლებზე დაეცა და ბილნი სიტყვებით მოიხსენა თავისი სიბრწყვე. მერე იძულებული გახდა, შინ მიბრუნებულიყო და უბადრუკი ყოფა ყოველდღიური სამოსელივით მოერგო.


3

როცა სევდიანი ქვრივები ადრინდელ ამბებს იხსენებენ, უწუგემო შეყვარებულებს ჰგვანან, ხოლო ვინც თავის სატკივარს მისცემია, ნატიფი გრძობებისთვის ვერც იცლის. ადამიანები ერთმანეთს მანამ კარგავენ, სანამ იპოვიდნენ, ფუჭი ძებნა კი მდინარის აღმა სვლას ემსგავსება. ფირომ ეს გზა იარჩია. განა რამხელა უნდა ყოფილიყო ქალაქი, სულ რომ არ შემოეარა კითხვა-კითხვით. ხამლებს გაცვეთდა მიზნის მისაღწევად, მაგრამ იქ რამდენჯერმე ჩასვლისა და უშედეგო ძებნის შემდეგ, ზღვისდაბაში გადწყვიტა გაკითხვა, იქნებ იქ უფრო გაეგო მათ შესახებ. ვარაუდობდა, რომ პატარა დასახლება იქნებოდა, ავტობუსით მგზავრობის ღირებულება გაარკვია და ფულის შეგროვებას შეუდგა.

ზღვისდაბაში დაკეისილი უზრგანითი ჩავიდა. ტანსაცმელიც ერთიანად აჯაჯუული ჰქონდა. მისი ცხოვრება სილატაკის ზეიმს ჰგავდა, რომელშიც მთავარ გმირს განასახიერებდა. გულ-მუცელი ხანგრძლივი ჩაქჩაქით ერთიანად დაწვდნოდა. მთელი გზა ხრემით იყო მოფენილი. რკინიგზის სადგური და ავტოვაგზალი გვერდიგვერდ მდებარეობდა. ლოკომოტივების ხმაურს ისედაც შეჩვეული იყო და დიდად არ ანუხებდა, უფრო მანქანების ზუზუნს ვერ ჰგუობდა. რომელიღაც აივანზე ლეიბს ბერტყავდნენ. ეგეთი არავინ ვიცო, ცივად განუცხადა მბერტყავმა, აქაოდა საქმეს მომაცდინეო. ბოროტი ქალი ჩანდა, რაში ენალვებოდა ფიროს ამბავი. ოჯახის დანარჩენი წევრებიც აივანზე გამოლაგდნენ და ფიროს გადმოხედეს. ისე იქცეოდნენ, გეგონებოდა აქ თავიანთი ნების სანიანააღმდეგოდ მოერეკათ. ფირო თითქოს გრძელ სიზმარს ნახულობდა აუხსნელი ეპიზოდებით. არ სურდა მათ მარაქაში გარევა, რომლებიც იმ მიზეზით ამცირებდნენ და ჭორავდნენ სხვებს, თვითონ რომ არ ქვეულიყვნენ გაჭორვის ობიექტად და აქეთ არ დამცირებულიყვნენ, ალბათ მნახველსაც თავიდანვე უცხადებდნენ, ყელამდე ვალებში ვართო. თადარიგს იჭერდნენ, ვინძლო ფული არ ეთხოვათ. განა წყალობას გაიღებენ ისინი, ვისაც ჯიბეები სიძუნემ ამოუყვარა?!

გაგრძელება მე-6 გვერდზე





დათო მალრაძე

**ბარაქიანი მიწა**

ექვსნაწილიანი სიმფონია  
სოლისტისთვის და ორკესტრისათვის

ვუძღვნი დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის  
ნათელ სხოვნას, ვინც სხვა შედევრალურ  
ტექსტებთან ერთად ტომას ელიოტის „ბერნი მიწის“  
თარგმანიც გვისახსოვრა.

**I. ნამის ყუნის ტრიუმფალური თაღი  
(ლა მიწორი)**

— მომეცი წამი,  
სიცოცხლის და სიყვარულისა,  
რომ დაგეკარგო  
და დაგბრუნდე, როგორც ულისე.

კალმით ვეხები ქათქათა ფურცელს,  
რომ შევიძინო სამყარო გროშით  
და ქუდმოხდილი ვდგავარ და ვუცქერ, —  
ვესწრები წამის დაკრძალვას დროში.

არა მაქვს მიზნად ცრემლები დენა,  
არ მიდგას თვალნი ჩონჩხი მოყვასის,  
უბრალოდ მეცნო ნაცნობი სცენა, —  
ასე დაკრძალეს გრაფი ორგასი.

გამოსათხოვარ ფრაზების ღიღინს  
ვარჩევ ლალი დელა-რანუნი...  
რადგან შენი ხსნა სიცოცხლედ მიღირს,  
თუნდ ჩავიარო ძვლების ჩხარუნი.

და შიშველ ძვლებზე შემდგარი სტროფი  
ააყვავილებს ძელქვაზე შროშანს...  
ლექსს როცა თავის ლექსობა ყოფნის  
და პოეზიის ფრიალებს დროშა.

სათქმელს მაშინაც ვაგნებდი, უწინ  
გეთსიმანის რომ თრთოდა ბალი,  
სუნთქავს პოეტი და ნემსის ყუნის  
ტრიუმფალური იხსნება თაღი.

\*\*\*  
— გთხოვთ, მომისმინოთ, მე სუსი მისმენს,  
რადგან არასდროს არ გავისუსე.  
უშიშროების თანამშრომლებს  
ლექსის კითხვა დაეწყებინე,  
სატელეფონო ზარებს უსმენენ  
და იკვლევენ, — ვინ დგას ჩემს უკან.

რაც ნემსის ყუნში  
ტრიუმფალური თაღი ვიხილე,  
მას შემდეგ მათი ინტერესის  
საგანი გავხდი.  
ჩემს მისამართით გაჩნდა კითხვა:  
— ვინ დგას შენს უკან?

და მე ვპასუხობ: ის, ვისაც ეძებთ,  
თუ არ იწამეთ, ვერ იხილავთ, არ გამოჩნდება.  
— მე თუ არ ვინამე, ისე ვერ ვიხილავ...  
— თქვენ თუ არ იხილეთ, ისე ვერ იწამებთ...  
ამ განსხვავების მიზეზს იკვლევს  
და მისმენს სუსი  
და მეც არაფრით არ გავისუსე.

არ გავისუსე,  
როცა ალბატროსს, ლაჟვარდის მეფეს,  
გემბანზე ტლანქად მობაჯბაჯეს,  
დასცინოდნენ მეზღვაურები  
და ნისკარტში ჩიბუსს სწრიდნენ,  
მასხრად იგდებდნენ.

არ გავისუსე, როდესაც პორტში  
დააკავეს „მთვრალი ხომალდი“  
და პოეტ არტურს  
ტვირთი ისევ არ განუბაჟეს.  
ამ ბერნმა მიწამ მისი ტვირთი  
არ გაიკარა და კვლავ გასწირა  
ზღვის სივრცეში სახეტილოდ.

და რეალური განსაცდელი  
როდესაც დადგა,  
არ გავისუსე, როცა სანდრო  
ჩინოსნებმა დაჩეხეს ტყეში,  
და პრეზიდენტის ჯალათების  
პირისპირ დავრჩი.

მისმენენ, რადგან ეჭვი აიღეს  
რომ მე მწამს წამის,  
რომ მე მწამს მიწის,  
მიწის და წამის,  
წამის და მიწის,  
წამი — აბედის და მიწა — კვესის,  
წამის მიწაში დაკრძალვის წესის...  
წამიც და მიწას დაეცემა  
პოეტი, — წამი.

— მოთქმა კი არა, თავშენიწვა!  
— შენ უნდა მოკვდე,  
რომ შენს ახლოს  
განათდეს ცა და გაძვირდეს მიწა.  
ინყება მესა და ნემსის ყუნში  
ტრიუმფალური თაღი იხსნება.  
წამი მიწაში, — რამაც უნდა  
ბერნი მიწა ანოყიეროს,  
ბარაქიან მიწად აქციოს.  
— აქსიოს!

**II. პოეტი წამი. პოეტი მიწა (რა მიწორი)**

წამინამინამინამინა -  
მინამინამინამინამი -  
წამინამინამინამინა -  
მინამინამინამინამი -  
წამი...

**III. სათამაშო მშვილდ-ისარი (სი ზამოლ მაჟორი)**

ერთი ფოთოლიც  
თუ გაჰყვა ნიავს, —  
შემოდგომაა...

არა, ამ ფრაზით აღტაცებული  
არ მოგეჩვენოთ, უბრალოდ  
მხოლოდ იმის თქმა მსურს,  
რომ ერთი წვეთიც თუ დაეცა  
ამ ხრიკი მიწას, — ვაჰა, სიცოცხლეს!

...ჩემს ბავშვობაში, სათამაშო  
მშვილდ-ისარი როცა მაჩუქეს,  
ეზოს მეგობრებს სხვა სტატუსით  
გამოვეცხადე და წარვსდექი  
მათ წინაშე, როგორც რაინდი, —  
რობინ ჰუდი, რომელიც უკვე  
სხვაგვარ პატივს ვითხოვდი მათგან.  
მოვზიდე მშვილდი და...  
მას მერე იმ ისარს მოვდექე.

და ამ დევნაში თქვენ შემეფეთეთ,  
სადღაც თითქოს ნანახი მყავდით...  
თქვენ შემეფეთეთ და მითხარით: —  
ჩვენთან დარჩიო, — დიდი მადლობა,  
მაგრამ რა ვუყო ბავშვის ხელით  
გასტყორცნილ ისარს,  
რომელსაც მთელი ცხოვრება მოვდექე.

და ჩემი დრამაც ის გახლავთ, რომ  
რაინდის მიერ სივრცეებში დაკარგული  
ისარის დევნა მე მომიწია,  
ეზოს არტისტს, —  
უბრალო მოკვდავს,  
...შემომეფლითა გულისპირზე თეთრი პერანგი.

მამის სახლიდან მამის სახლისკენ,  
აი, ისრის ტრაექტორია.  
ეს ისარია, სამშობლოში  
რომ დამაბრუნებს.  
მოვდექე ტყე-ღრეში, ტროტუარზე,  
ხან ასაფრენ ბილიკს მოვყვები,  
თავზე მიყრება ჭორები და ცილისწამება,  
მაინც მოვყვები განუხრელად, არ მოვეშვები

იქამდე, სანამ არ გამოჩნდება  
აბრა წარწერით: — ITAKA. WELCOME!

...შარშანწინ იყო, ამ დევნაში  
ფეხი წამოვდე მარმარილოს გათლილ ფილას და...  
დალენილი, ქრისტე ღმერთმა წამომაცენა.  
დავხედე ფილას და ჩემი დის  
სახელის ქვემოთ, დაბადების და  
გარდაცვალების წლები ეწერა.  
— სამარე დისა — სამარადისოდ...

კვლავ დავდევენე გასროლილ ისარს,  
როგორც მოგვი მიჰყვება ვარსკვლავს  
და მის სიხარულს არა აქვს ბოლო,  
რომ ყრმით ხელში იხილავს ქალწულს, —  
დედა ღვთისმშობელს,  
საკუთარი ვაჟის ქალიშვილს.

მოვდევედი ისარს და უეცრად  
თქვენ შემეფეთეთ... ევას სხეულით,  
პაემანით, მეგობრის მხარით.  
ხან ზურგში დანით, მეფის ტროლებით,  
ხან ფეისბუქის უხამსობით, უნიგნურობით,  
ურედაქტოროდ დარჩენილი მაკულატურით.  
შინაური თუ უცხოელი გამომცემლებით  
თქვენ შემეფეთეთ და მითხარით, —  
ჩვენთან დარჩიო, მაგრამ რა ვქნა,  
ვერ ვლაღობ ბავშვის ხელით  
გატყორცნილ ისარს.

აქ, ჩვენი ეზოს ამბავსაც გეტყვით:  
ჰამლეტის დადგმა ოროსნების  
შტაბში გადაწყდა. როცა როლები  
განაწილდა სურვილისამებრ,  
მე რობინ ჰუდის როლს გადავხედე  
სხვა პიესიდან. ეს არჩევანი  
სულ თან მომდევს, ბედში გადმომყვას  
და ამ ცხოვრების მდინარეშიც  
ისე შევედი, როგორც მაშინ, —  
ეზოს სპექტაკლში  
სხვა პიესიდან.

P.S.  
ძველი თბილისის ეზოების კონსტიტუციის  
პირველი პუნქტის მეცამეტე მუხლის თანახმად  
ჩვენს ეზოს თავის ენა ჰქონდა, —  
საყოველთაო.  
ბევრად უფრო საყოველთაო,  
ვიდრე თავად ინგლისურია,  
როცა სათქმელი უსიტყვოდაც  
ნათელია, გასაგებია.

მე ამ ენაზე ვსუნთქავ და მიყვარს...  
ამ ენაზე ვკითხულობ ნიგნებს,  
მაგარ ფილმებსაც ამ ენაზე მისდევს ტიტრები.  
ამ ენაზე ვინყებ პოემას,  
რომელსაც დილით  
„ბარაქიანი მიწა“ დავარქვი.

**IV. ნიკო ფიროსმანი (სოლ მაჟორი)**

— ო, მარგარიტა,  
არ გამოსცემს ჩრდილს გამხმარი ხე,  
ნუგუმს ჭრიჭინა და მშრალ ქვაზე  
წყალი არა სჩქეფს, ამიტომ გელი  
აპრილის თვეში, იასამნების ხეივანში,  
როგორც ნათურა ელის ჩამრთველს,  
წამს ელის მიწა... სამხედრო — ორდენს...  
და გელი, როგორც ნათბილარი სანოლის შემდეგ  
მოგვიანებით წამომდგარი კაცი ელის  
ფანჯრის მიწაზე, ან სარკეზე  
პომადით ქალის მინანქრ ჯილდოს:  
— It was wonderful, ან ოვაციის შეძახილს:  
— Wow!

ო, მშვენიერო მარგარიტა, მადლობელი ვარ,  
რომ გზა მაჩვენე მიწიდან ცამდე,  
როგორც ჩინელმა ლექსის ოსტატმა  
მისცა სათავე სიმფონიას გუსტავ მალერის,  
სახელად რომ ერქვა ვან ვეი,  
ანუ ერთი მიმართულება — მიწიდან ცამდე.

მომიახლოვდი, რომ მიეცეს დინებას ხიბლი,  
რომ ბასრი პირით გაიაროს გულში ცხოვრებამ  
და სხეულში კი ჩაიღვაროს ხანძარი — EVA.  
მომიახლოვდი, რომ ჩავაგდო ნახნავში თესლი,  
წყალის ღვარტყაფი გავაგონო ცას და ქვეყანას,  
სამშობიაროს გავაგონო ბავშვის ტირილი,  
ბერნ მიწას ისევ დავუბრუნო  
ძველი დიდება  
და წყალი...  
წყალი...  
მიმოვღვარო დამსკდარ ნაპრაღში.

...მხატვარის ცრემლი დაეცემა კედელზე ბათქაშს,  
გამწკრივდებიან წმინდანებივით



ბიზანტიის ფრესკის კანონით  
პურისმჭამელი ჩვენი ჯიგრები,  
ორთაჭალელი კურტიზანი ქალების გვერდით.  
— ყურადღება!  
— მხატვარი ნიკო ფიროსმანი, დუქნის ხატმწერი.  
„აქტირისა მარგოს პორტრეტი“.  
ზეთი. მუშაობა.  
— მილიონი დოლარი ერთი!  
— მილიონი დოლარი ორი!  
— ორი მილიონი!  
— ორი მილიონი, ერთი!..

**V. მანიფესტი (ლა მაჟორი)**

აჩრდილი დადის ევროპაში,  
პოეზიის აჩრდილი დადის, —  
მოქალაქეში ადამიანის  
გადასარჩენად.

ეპოქამ რედაქტორი დაკარგა,  
ახლა სამყაროს სამი რამ აკლია:  
— ცას კიბე!  
— ზღვას ხიდი!  
— ეპოქას რედაქტორი!

— შავი კვადრატი, —  
როგორც დიადი მეტაფორა  
ჩამრთველსა და ნათურას შორის,  
თუნდაც წამსა და მიწას შორის,  
გნებავთ, ჩემსა და ისარს შორის,  
რომ გავეტყორცნე, როგორც რაინდმა.

აჩრდილი დადის ევროპაში...  
— უხერხულია, — ეს ის სიტყვაა,  
სასულეში რომ გადასცდა  
ჩვენს ეპოქას და ველარაფრით ამოახველა.

— უხერხულია, — ეს სიტყვა უნდა დაისაჯოს,  
როგორც ზედმეტი, დიდ მოედანზე,  
სადაც მედიას შეექმნება  
ყველა პირობა, რომ გააშუქოს,  
ღირსებას როგორ ეთხოვება  
ჩვენი ეპოქა.

აჩრდილი დადის ევროპაში,  
პოეზიის აჩრდილი დადის...

ფლორენციაში, სენიორიის მოედანზე,  
განავალის სკულპტურა დადგეს, —  
ალორძინება უკანალში გაიკეთეთო!..  
შეუძლებელი გახდა სუნთქვა,  
მერე კი ბუზი დაეხვია  
და გაიტანეს.

აჩრდილი დადის ევროპაში.  
ევროპა დადის არჩვენებზე,  
როგორც მესაზე,  
რომ საარჩევნო ბიულეტენში  
შემოხაზოს ისევე ბარაბა  
და განსაცდელში თავი ისევე  
ქრისტეს ავედროს.

პოეტის მრევლი, — სოფლის მარილი,  
მოსახლეობის მიზეზული ალბათ ნაწილი,  
განსაცდელის დროს ვინც ღირსებას  
შეინარჩუნებს.

პოეტის მრევლი, — „უხერხულიას“  
ერთადერთი ჭირისუფალი.

რადგან მისია პოეზიის — გადარჩენაა,  
არა ნევროზის გაზიარება  
დანარჩენთათვის,  
პოეტი დგება უღმერთობის  
მთავარ სამიზნედ:

— მოგვხედეთ, ხალხო! —  
თუნდ ტაძარი აგიგიათო..  
— ესლა აღმოხდა მოკლულ ილია  
ჭაჭაჭაძის დაჭრილ მეუღლეს.

— შენ უნდა მოკვდე,  
რომ შენს ახლოს  
გაძვირდეს მიწა!

...როგორც სხვაგან,  
ჩვენშიც ასეა:  
— ნუხს მშობლიური ლიტერატურა!  
— ქუხს მშობლიური მაკულატურა!

— ჩამორჩენილი არ გეგონოოოოოოოო!..  
განწირული ძახილი ისმის,  
საქართველოში გოიმობა  
უფრო აშინებთ, ვიდრე სიკვდილი.

ქართველიც დადის ევროპაში,  
თუმც აჩრდილისგან განსხვავებით

ცდილობს, გაერკვეს  
რას დაეძებს, რა დაეკარგა.  
ვიდრე გაარკვევს ევროპაში ვის დაეკარგა.  
ერთხელ სულთანმა გააშვილა იატაკანი  
და ბიზანტია მოათალა  
მძინარ ევროპას.  
მერე განმინდა ხმაზე სისხლი  
და სტამბოლის ცაზე დაჰკიდა მთვარის სანაცვლოდ.

მას შემდეგ, სადაც  
ჩამოსცივია კედელს ბათქაში,  
ევროპულ ტურისტს შემოსცინებს  
ბიზანტიონი,  
როგორც მამა დაბრუნებულ ძეს.

ასეა ლექსიც, ქართული ლექსი, —  
სადაც ჩაქრება  
დაშაქრული აღმოსავლეთი,  
იქ, სისადავის სიდიადე გამოანათებს.

...კედლის საათზე XIX საუკუნეა,  
მაჯის ტისოტზე — ქრისტეშობიდან  
ოცი ოცის ნოემბრის 6.  
ინერება ახალი ლექსი...  
კალმის წვერმა კი ზუსტად იცის,  
რომ ორივე საათი ტყუის.  
სამყარო დროში გაიჭედა,  
პოეტში კი დრო მოგზაურობს.

და დრო, საათის  
ისრების ნაცვლად,  
ქორის ფრთებისთვის  
მაქვს მინდობილი.

დრო მოგზაურობს პოეტის ხმაში,  
როგორც კოლუმბი, —  
მოქალაქეში  
ადამიანის აღმოსაჩენად.

— Let my people, go... —  
ეს სიტყვები  
შენ უნდა უთხრა  
მოხუც ფარაონს.

კარაიანმა ხელთ იგდო ჯოხი,  
რომლითაც წყალი გააპო მოსემ.

მამის სახლში კი  
ძველებურად ვაჭრები სხედან.  
— ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირულის ფულისკეთება...

...ადამიანში სახელმწიფო კრიმინალს ეძებს,  
პოეზია კი — კრიმინალში ადამის სახეს.

აჩრდილი დადის პოეზიის,  
მტვრიან თაროზე  
საპატიო ადგილს იკავებს,  
— ვინ ეცდება მის გარდამოხსნას?..

აჩრდილი დადის პოეზიის,  
აჩრდილი დადის,  
აღმოსავლეთით მზე ამოდის,  
დასავლით ჩადის,  
დრო მოგზაურობს სტროფებს შორის,  
გამოდის, გადის,  
მთელი სამყარო მიჯდომია  
საქმიან სადილს,  
მხოლოდ პოეტი ვერ ეშვება  
განწირულ ნადილს  
და დადის... დადის...  
პოეზიის აჩრდილი დადის.

**VI. თარქი მეფის იბაჰი (დო მაჟორი)**

მე ერთი ძველი თერძი გახლავართ,  
ჯიბით რომ დამაქვს არაყი სოფლის,  
თუმცა კი მიყვარს ტკბილი ფაჰლავა,  
ისე კი, ძეხვის ნაჭერიც მყოფნის.

ბაზართან მხვედება ძმაკაცი დილის,  
რომელიც ჩავლილ ცხოვრებას მიქებს,  
იქ, სადაც დიდი კასრით დგას მწნილი,  
გამოგვინვდიან პატარა ჭიქებს.

ჩემი ერთგული კოლეგა დილის  
ამაყად ზიდავს გლახაკის სტიქარს...  
მიჰყვება მუავე პომიდვრის მწნილი  
პირველს თუ არა,  
მეორე ჭიქას.

— თითოც!.. და უკვე ნათდება სივრცე,  
გამთბარ სხეულში შემოდის დილა,  
...და გინდა, სული იესოს მისცე,  
...და გინდა, სიკვდილს დააკრა სილა.

— როგორც ციხარით,  
თერძი ვიყავი,  
და მწამს, ანგელოზს რომ კიდევ ვნახავ,  
მეთევზე მეფის ძველი იგავი  
ველარ მიყვება ვერაფერს ახალს.

ევროაზიას ვუდგენდი მოდას,  
ხელი შევახე მწვერვალს ლირიკის  
და ჩავატარე რაჰილის მოდგმა  
პოდიუმების ვინრო ბილიკით.

ევროაზიის ხელკავის მიზეზს  
თბილისელი თუ აგისნით გიდი...  
რასაც ვერ ვიტყვი ბრუკლინის ხიდზე, —  
ორ პოლუსს სწვდება მეტეხის ხიდი.

არა თუ მხოლოდ ევროაზიას,  
წარსულს უერთებს მომავლის ნაპირს...  
თქვენც რომ იცოდეთ რა ლამაზია, —  
მშობლიურ ქალაქს შევეხე გაკვრით.

და ფეთხანის ძველისძველ უბანს  
ვასწავლე ცნობა  
ავის და კარგის,  
მე ნათლისმცემელს ჩავაცვი ჯუბა  
და უფალს კვართის ავულე თარგი.

ვინ მიანდერძა  
არ ვიცი, მაგრამ  
მძაფრად ვიგრძენი, მემკვიდრე მე ვარ...  
როგორც კი ხელი შევახე საკრავს,  
ჩემს უნებურად ვთქვი: — AVE EVA!

როგორც კი ხელი შევახე საკრავს,  
აღტაცებულმა ვთქვი:  
— AVE EVA...  
და იმ წუთიდან ვადიდებ საკრა-  
ლური სტრიქონით ჩემს სათნო მხევალს.

და წინააღმდეგ ეპოქის ტრენდის  
ისევე და ისევე,  
კვლავ: — AVE EVA,  
ის წითელ ნოხზე დარწმუნლ მკერდით  
ჩემი ლექსების კრებულში შევა.

...ხან შემეჩვენებს სიმორე ფრესკის, —  
დრო მე გამასწრებს  
და ან, დროს თუ მე?..  
მე ერთხელ კიდევ დავხატავ ესკიზს  
და დროს მოვიყვან საიმკოსტუმეს.

და მუდამ წვიმის ლოდინის ნაცვლად  
დავენევეთები ჩემს მშობელ მიწას,  
არა მჩვევია ხიფათში გაცლა  
ხიფათისგან კი კვლავ რისკი მიცავს.

ირეკლებოდა ჟურნალის ყდაზე  
ჩემი სიფათი,  
ფასით, პროფილით.  
...მშვენიერება უარყვეს გზაზე  
უარყოფისგან უარყოფილი.

— ჯვარი გენეროთ, ფინჯანზე ყავის...  
თქვენს პროტესტს ვუცქერ უარყოფითად.  
და ვლოცავ იმას, რაც უარყავით,  
ჭიჭა არყით და უარყოფითაც.  
კარზე რომ მამის ნაშაღეს აბრა,  
წიხლით შევუღე ის კარი Hotel-ს,  
ბევრის დათმენა შევქმელი, მაგრამ,  
— შენ სახლს ვერ მივცემ ისკარიოტელს.

თუ მოსამართლე ეცდება აბუ-  
ჩად რომ აიგდოს ლოცვა და მესა  
მამინ წარვადგენ ღვთაებრივ საბუთს, —  
სიტყვები როგორ იქცევა ლექსად.

— აი, რა ძალა ეძლევა ლოგოსს,  
თუკი ინამებ,  
გაიგე, მისტერ?  
სიტყვები ლექსად იქცევა, როგორც  
პური და ღვინო იესო ქრისტედ.

...ხან ისევე ეჭვი ამიღებს ხოლმე, —  
რაც მართლა იყო,  
ხომ მართლა იყო?..  
მერე კი ვისკი მიიღებს ზომებს  
და ათმარცვლიანს გავრანდავ სტრიქონს.

სულ ერთი წამი სიცოცხლის კმარა,  
რომ უნაყოფოს დაეცეს მიწას,  
პოსტაპოკალიფსს რომ უთხრა:  
— არრრრა!  
— იმ ერთი წამის სიცოცხლეს ვფიცავ.

ნაბახუსევე დაშაშრულ სასას  
თუ დაენვეთა ბახუსის წვეთი,  
ხალხად იქცევა უფერო მასა,  
— რა ახლოს არის ხანდახან ღმერთი...



გაგრძელება

იქიდან მომავალმა ფირომ ფეხი ამოშვერილ მავთულს გამოსდო და ძირს გაიშხლართა. რა თვალის გამოხატულებას, შეიკურთხა და ტანსაცმლიდან მტერის ბერტყვას შეუდგა. ამინდი უცებ აირია. ზოგან სახეცხი ახალი გაფენილი ჰქონდა და ალექსანდრე მოასწრეს, გარეთ გატანილი სკამები კი სულ გაიღუმბა. მოქუფრულმა ცამ ისე დაიგრუნა, თითქოს შორიახლო სანავით სავსე ავზი აფეთქდა. წვიმამ რომ გადაიღო, ფირომ გზა განაგრძო. ასფალტი ბევრგან აყრილიყო. პატარა ქუჩები სანგრებზე დამსგავსებული. წვიმების მიუხედავად გამვლელებს სახე გარუჯოდათ. ნაპირთან თოლიების გუნდი შენიშნა, მის გასწვრივ რომ მიფრინავდნენ. ეტყობა, მძღოლებსაც მოსწონდათ თვალის მიდევნება, რადგან ხშირად იყენებდნენ მუხრუჭს, ეს სანახაობა თვალთახედვიდან რომ არ დაპყროვდნენ. ქვიშაში თეთრი ნიჟარები წამლის აბებივით ეყარა, ხოლო შებინდებისას მთელი სანაპირო დანახშირებულ ტყეს დაემსგავსა. შორს, აყლაყუდა გორაკზე საბაგირო გადაქცემა, რომლის გაყოლებაზეც ლამპიონები წყებად აინთო. ფირომ სახლიდან სახლში გადადიოდა და ეს მარადიული ძებნა ვარსკვლავების ფონზეც მიმდინარეობდა. თემები აბურმგნოდა და გულიც ამოვარდნაზე ჰქონდა. ჩქარობდა, მაგრამ ნატყვიარ მუხლს ვერაფერს უხერხებდა. ხან გუბებში გატოპავდა, ხანაც ისევე მავთულს გამოფენებოდა. ერთგან ნიჩბებით ბეტონს ზედდნენ. ვეება ჭურჭელში ცემენტის ტომრები ჩაცვალათ და ზედ ქვიშა თვალზომით დაემატებინათ, ალბათ საკმარისად ჩათვალეს. მათ ჩრდილებს პროექტორის შუქი მსჭვალავდა. ფირომ ჰქონდა, მოაგარაკები რომელსაც ხელებს ეტანებინათ. ეს გემოვნებაზეა დამოკიდებული, ბანზე აუგდეს სიტყვა. ფირომ ის ლამე რომელიც მიგდებულ შენობაში გაატარა, ციტრუსის მძაფრი სურნელი რომ იყო გაჯერებული. ეტყობა პერიოდულად სანყობად იყენებდნენ. ვარსკვლავებიც ფორთოხლებივით ეკიდა ცაში. მის ალმაცერ შუქში გახვეული შემოგარენი მოზაიკას ჰგავდა. მაღალი ძაბვის ელექტრობოძი მთვარეს ისე შებჯენოდა, თითქოს ბილიარდის ბურთს კია ჰქონოდა მიმიზნებელი, ვარსკვლავების ქვეშ განლაგებული ბიჯები და მარგალიტები კი მარგალიტის ვეება ქინძისთავებს წააგავდა. მოშორებით ტალღების ლამუნი დახშულ ხმებს გამოსცემდა. ნაპირის გრძელ და ვიწრო სარეცელზე ორ სტიქიონს ხვეწნა-კოცნა გაემართა. ზღვას მარლიანი და სველი ტურები ჰქონდა, ხმელეთს — მშრალი და დამსკლარი. ზღვას სურდა, მთელი მისი არსება შეეგრძნო, მაგრამ მხოლოდ ქვიშასა და წვილს კენჭებს ჯერდებოდა, რადგანაც საზღვარი მკვეთრად იყო გამოიჯნული.

ფირომ ავტოგავ ზღვის ჭყუყუნი კაფეში ისაუბრა, მაგრამ იქიდან ისეთი მედიდური სახით გამოვიდა, თითქოს რესტორანში ესადილოს. მზარეული ერთობ თვინიერი ვინმე ბრძანდებოდა, მაგრამ მისი ზედმეტი თავაზიანობა ნერვების მოშლელი იყო. სამზარეულოს ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. გახუჭურაზე ალბათ მერადენედ აცხებდნენ გუშინდელ სუშს. კარტოფილი და ოსპი ალარც მოეპოვებოდა, მხოლოდ შეფერილი სითხე იყო დარჩენილი, წვნიანის მაგივრობას რომ სწევდა, მაგრამ მისი შეხვერება მაინც სიამოვნებას გვირგვინს შემოიხლებს. კაფეს ძირითადად ისინი სტუმრობდნენ, ყოველი ლუკმისთვის რომ უნევედათ გარჯა. სწრაფად თქვლევინ და მოუსვენრობა ეტყობოდათ. ცხოვრებამ ისინი ოღოროლოდ და უკიდევანო გზებზე ჩაჰკარგა და წარმავალ, უსიცოცხლო ლანდებდა აქცია. საქმეები ცუდად წასვლიდათ და სანაპიროზეც უმიზნოდ დაყიადობდნენ, ეგებ ტალღებს გამოერიყა რამე. შენობის უკან, ფურგონების სადგომთან, საწყობი იყო გამართული, სადაც მოვარაყებული ყუთებით ყინული შეჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი მუსიკა გაისმოდა, კაფეში მომსვლელი ცოტა ჩანდა. ერთი ლოთი მეორეს ისე შემოუძღვებოდა ხოლმე, თითქოს თათბირზე მიმავალს თანმხლები პირი ახლავსო. გამხდარი ქალი პიანინოს უჯდა და დაუვიწყარი ოსტატობით ქმნიდა უცხო მელოდის, რომელშიც ყოველ ჯადოსნურ ბგერას შავ-თეთრ კლავიშებზე ნატიფი და არტისტული თითე-

ბის რიტმული მოძრაობა განაპირობებდა. დიდებული ხმები სივრცეს ავსებდა, თითქოს რუხი შენობების მწკრივს, ფასადები რომ უელვარებდათ, მაგლობელი ჩიტები შესევიანო. ქალს მდიდრული კაბა ეცვა, რომელიც ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდა, ხოლო კეფაზე გადავარცხნილი თმები გაქონილივით ულაპლაპებდა. იგი ამკარად ზედმეტი ფუფუნება იყო კაფეში თავმოყრილი უგემოვნო საზოგადოებისთვის, კოვზების ჩხარუნით რომ გადაფარავდნენ ხოლმე მშვენიერ ჰანგებს. ზღვისდაბას მომცრო სანაპირო ჰქონდა, დიდი გემები არასოდეს მოადგებოდნენ, მაგრამ პორტი არც ისე შორს იყო. უნაყოფობისთვის განწირულ ბაღებში საკურორტო ინტერესების გათვალისწინებით დეკორატიული მცენარეები ეთესა.

ფირომ იმ დღესაც ვერაფერს გახდა და შემდგომი ღამის გატარება ისე ზღვისდაბაში მოუწია. სამრეცხაოების გვერდით ოთახები იაფად ქირავდებოდა, საწოლები ფანჯრებთან რომ ედგა. წვიმის დროს ღამპიონები წყალქვეშა ხომალდის ნათურე-

კამენტი მირჩია, თავბრუსხვევებს ვუჩიოდი. აფთიაქში ვმუშაობო, თქვა. აქ თუ ვერ იშოვი, ხმა მომანდინეო. მგონი, ავჭალა ასხენა!

— ავჭალა? ნეტავ აფთიაქი იგულისხმა თუ იქ ცხოვრობს?

— არ ვიცი, რა იგულისხმა, მაშინ ვიცოდი, ახლა არ მახსოვს, ეგებ იქ ცხოვრობს, ან უბრალოდ მუშაობს!

— რკინიგზაც ხომ იქვეა! იმ უბანში ნეტავ ბევრი აფთიაქი იქნება?

— რამდენი უნდა იყოს! — მხრები აიჩეჩა ქალმა.

— თუ კიდევ რაიმეს გაიხსენებთ, შეიძლება გადმოგიჩვენო? — გულმხურვალედ შეიპირა ფირომ.

ქალისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, ტელეფონის ნომერი მექანიკურად ჩანერიინა და კბილებში მშრალად გამოცრა: — გადმოგიჩვენო!

ნასვლა აღარც უნდოდა ფიროს. ისე იქცეოდა, თითქოს ელე უკვე ეპოვოს. ეს ქალი ინფორმაციის გაცემას გულუხვი აღმოჩნდა, ეგ არის, ბევრი არაფერი იცოდა,

## დიმიტრი ნიკლაური შეყვარებული ფირო



ბივით ჩახჩახებდნენ. დღისით ცხოვრება ყველგან ერთნაირად ძნელი იყო, ღამე კი ჩუმი და უკიდევანო. მშვენიერი ზღვის მიუხედავად ფიროს მაინც თავისი უბადრუკი მხარე ერჩინა. საქმე ისეთი პირი უჩანდა, ბედის გამოსაჭედად კიდევ დიდხანს იზრუნებდა ფუჭად. წინასწარ იპყრობდა სინანული, სანამ რაიმეს მოიმოქმედებდა. რიჟრაჟზე ნისლეში თავშერგული განთიადი ფაშფაშა, თეთრხალათიანი სანიტარივით ქვეყნიერების თეთროფის გაფენას შედგომდა უკიდევანო სივრცეში. ფირო აღრიანად გამოდიოდა გარეთ, მაგრამ შუქნიშნის ნითელ ნათურაზე მაინც გაჩერდა. მწვანე რომ აინთო, ქუჩა მერედა გადაჭრა. რალაცნარი შინაგანი წესიერება ჰქონდა. რომელი კარიბჭესაც მიადგებოდა, ბანალურ შეკითხვას უსვამდა — ორ მანდილოსანს დავეძებ, ბებოს და შვილიშვილს — ელეს და მარგალიტას. ელე ბებოს ერქვა? ეკითხებოდნენ. არა, ბებოს მარგალიტა ერქვა! პასუხობდა. რომელს ეძებ? მარგალიტას? თუნდაც, რადგან ელეს მაპოვინებეს! ასე კითხვა-კითხვით მიადნა სახლამდე, სადაც იმ შორეულ ზაფხულში ისვენებდნენ თურმე, უბანს ლელიანს უწოდებდნენ. კიო, ასეაო, გოგონას ელე ერქვაო, ბებოს კი მარგალიტა. ოთახი უჩვენა დიასახლისმა. ელეს რომელ ლოგინზე ეძინაო, ჰქონდა. ერთერთზე მიუთითა, დამთხვეული თუ ეგონა, თან გამოჰკითხა, საიდან ხარო. აღმოსავლეთიდან, ხელი მთებისკენ გაიშვირა ფირომ, რადგან მეორე მხარეს ზღვა იყო და გემები ისე ღმუოდნენ, ვერც კი მიხვდებოდი, მეზობელი ქალაქის პორტში შედიოდნენ თუ იქიდან გამოდიოდნენ.

— თქვენი ახლობლები არიან?

— დიდი ხანია, ვეძებ! აუცილებლად უნდა მოვინახო ის გოგონა!

— ღამაზი ბავშვი იყო! — თითქოს მიუხვდაო.

— ძალიან ღამაზი! — სიხარულით დაეთანხმა ფირო.

— ვივიენ ლის უგავდა სახე! — განაგრძობდა ქალი.

— ვივიენ ლიზე ღამაზი იყო! — დაბეჯითებით იუარა შეურაცხყოფილმა ფირომ.

— მახსოვს, მარგალიტამ რალაც მედი-

მაგრამ რახან ფირომ ხელმოსაჭიდს მიაგნო, თავს გართობის ნება მისცა. კაფეში არაყი ამაყად გადახუხა და პიანინო ქალის მომაჯადოებელ აკორდებსაც დილაამდე უსმენდა გამარჯვებული გაიმომეტყველებით, მაინც ავტობუსის გასვლას ელოდებოდა.

მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, კარგა ხნით შერჩა დაბას. გამზრდელი დეიდა ისევ ლოდინს მიჯაჭვოდა. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს მაინც მოახერხა თბილისში ჩასვლა. სწეულის სანახავად ნათესავი ესტუმრათ, დეიდამისი ბიცოლად რომ ერგებოდა და დაბაში ორი დღით დარჩა. რახან გცალია, ქალაქში რალაც საქმეებს მოვითავებო, შეუთანხმდა ფირო. მომდევნო დღეს უკვე ავჭალის ერთ-ერთ აფთიაქთან იდგა, ხუთსართულიანი შენობის ქვეშ რომ მდებარეობდა. ვიტრინაში ქაფურის ნემსები და ანტიბიოტიკები ელაგა, სხვა ფლაკონებიც ენყო, მაგრამ ფირომ ესენი უცებ იცნო, დეიდამისს ბევრჯერ დასჭირვებია და რაცივტიმალურ აფთიაქში იდებდა ხოლმე.

— მარგალიტას ვეძებ, ასაკოვან ქალს! — განუცხადა პერსონალს.

— აქ ასეთი არავინ მუშაობს!

მერე ფარმაცევტმა სხვა აფთიაქებიც მიასწავლა, იქ გაიკითხეო, მაგრამ არც იქ იცოდნენ მის შესახებ.

— იქნებ სადმე სააფთიაქო მაღაზიაც არის?

— იყო, მაგრამ გააუქმეს!

— ჩემ მეზობელს ეცოდინება, ადრე იქ მუშაობდა! — სახლი მიასწავლა ფიროს და საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიღო, — ცოტა ვერ არის ოლონდ!

დახშული სარკმლებით მიხვდა, შინ რომ არავინ იყო. ეზოში ბლომად მუყაოს კასრები და ყუთები ეყარა. უკვე წამოსვლას აპირებდა, ის ქალი რომ გამოჩნდა. ისეთი დადლილი და უმწეო სახით მოაზიჯებდა, თითქოს სახლში კი არ ბრუნდებოდა, იმ ქვეყნად მიიკავებდა გზას.

— სწორედ თქვენ გეძებდით! — განუცხადა ფირომ და მარგალიტას შესახებ გამოჰკითხა.

— ჰო, მაგონდება! — გაიხსენა ქალმა, — ჩვენთან მუშაობდა ნახევარ ცვლაში, დილაობით ტრამვაის მოწყვებოდა ხოლმე!

— საიდან მოჰყვებოდა?


— არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა მან.

— სხვა რაიმე ნიშანდობლივს ვერ მოიგონებთ? — ფირო კონკრეტულ შტრისს გულისხმობდა, ის კი ფილოსოფოსობას მოჰყვა, — განა ლერწმები კანკალისთვის იშვნენ, ან ვარსკვლავები ციმციმისთვის. მამაჩემი ამბობდა, რახან დაიბადე, სიკვდილი ამ ფაქტს ველარ წარხოცავსო, რადგან ადამიანი მეორედ დაბადებისთვის იბადებაო. მარგალიტა შეიძლება ცოცხალიც აღარ იყოს. მე დავბერდი, ის კი ჩემზე უფროსი გახლდათ. თანაც მე ვვარჯიშობ, ჯანმრთელობას ვუფრთხილდები! — ხელი ვარჯებისკენ გაიშვირა, ზედ ძელი რომ იყო მიმავრებული.

ფირო თანხმობის ნიშნად თავს უკანტურებდა, როგორც ძალი აქიცინებდა კუდს შორიახლო. დაე, ბევრი ელაპარაკა, ოლონდაც რაიმე მნიშვნელოვანი დასცდენოდა. ქალი ყველაფერს ერთბაშად ამბობდა. სიმძიმის თრევისგან ხერხემალი მტკიცეაო, ჩიოდა. წამდაუნუმ ნელზე ხელს იკიდებდა და ოხრავდა. ეტყობა, როცა ვარჯებთან ვარჯიშობდა, რალაც სასაცილო მოძრაობებს აკეთებდა. მიჭყლეტილი სახე და გაბრტყელებული ნიკაპი ჰქონდა, თითქოს წამდაუნუმ მუშტებს ეყრდნობო. ვაითუ გამეციინოს და არასერიოზულად მიმიჩნისო, გაიფიქრა ფირომ, თუმცა მისგან მეტი მაინც ვერაფერი შეიტყო. მერე ფაიფურის გალერეასთან ჩაიარა, სადაც ერთი საცხოვრებელი სახლიც არ ჩანდა. გზის ბოლოს ხმაურიან დასახლებას მიადგა და იგრძნო, როგორ დაღალა ელმავლების შეკვივებამ და საბურავების ხრჭილმა, როცა მანქანას ადგილიდან მოწყვეტდნენ ხოლმე. ამდენი ყილიც მობეზრდა. ერთი სული ჰქონდა, აქაურობას მოცილებოდა და ეს გამაყრებელი ხმები აღარ გაეგონა. მთელი ქუჩა ისე ზუზუნებდა, თითქოს მოქალაქეებს კრახანების ბუდესთან ეცხოვროთ. მერე ფოსტის შენობა შენიშნა და იმ ქალთან გადარეკა ზღვისდაბაში, რომელიც ზედმეტად გულთიადი და მგრძობიარე მოეჩვენა. თურმე ვილაც მნიშვნელოვანი პიროვნების ზარს ელოდებოდა. ფირო ჰგონებია და დიდხანს და პატივისცემით ელაპარაკა, სანამდე რისხვას დაატყებდა. მხოლოდ მაშინ გაერკვა, ფირომ ბრაზით რომ შეანყვეტინა, ძალიან კარგი, ჩემზე რომ გიჟდებითო, მაგრამ ბევრი ლაქლასის დრო არა მაქვს და პირდაპირ მითხარით, ახალი ხომ ვერაფერი გაიხსენებთო. დამდურებულმა ქალმა თვითონ ფიროც ვერ გაიხსენა, ნეტავი რის გახსენებას მთხოვთო. ბოლოს და ბოლოს როცა მიხვდა, ვისაც ელაპარაკებოდა, მკაცრად განუცხადა, საქმე გამოგლევიანო, ვერ გაიხსენე და ვერც მომავალში გაიხსენებო, თითქოს საუკუნო ფიცით დაუფასტურა. დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდა, ალბათ აღარც იმ ბინას გააქირავებდა. ფირო კი ყურმილს არ ჰკიდებდა და გმირულად უსმენდა ლანდლვასა და თათხვას, რომელთა შორისაც თითო-ოროლა უწყინარ შეკითხვას ამაოდ ჩააკვებებდა ხოლმე, რადგან გაცოფებულ ქალს არც ერთი მშვიდობიანი სიტყვის გაგონება აღარ უნდოდა. ეს ზარი ფიროს იმდენად ძვირი დაუჯდა, იძულებული გახდა, დაბაში დაბრუნებულიყო და რაკი მთელი ავჭალა უშედეგოდ დაეჩხრკა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, შემდეგ ჩამოსვლაზე სან-ზონას დაეღამაქურა.

სად დადიხარ, ფირო, ამდენს, შესწივლა დეიდამისმა, ველარა გცნობო. როგორ იცნობდა, მისი ცხოვრება ხომ ზემის შემდგომ პერიოდს წააგავდა, ყოველი სალუტო ჩრდილს რომ შეერევა, მაშინდა რომ დადგება ხოლმე მომავლურბეული პრეტენზიებით. ბევრჯერ უფიქრია, ელეს რომ შეხვედროდა, რა უნდა ეთქვა მისთვის? რა შეეძლო შეეთავაზებინა? ეს წყეული ორლობები, რომელიც თვითონვე მობეზრდა? მაგრამ მისთვის რომ ვერ მიეგნო, როგორ უნდა ეცხოვრა? საქმეს კი ისეთი პირი უჩანდა, ასევე მოხდებოდა. მერამდენედ მოშორდა ამ ქალაქს განზილებული. აქ აღარასოდეს ჩამოვალო, დებდა პირობას, რომ ელსაც მერე ყოველთვის არღვევდა. ქალაქი ყოველ ჯერზე სასტიკ დახვედრას უწყობდა, ამიტომაც გასავათეული ბრუნდებოდა დაბაში, სადაც მზის ყვითელი შუქი ისე დაჰფენოდა ფანტელების გროვას, თითქოს ოქრო და ვერცხლი შერეოდა ერთმანეთს. ღრუბლებიც ცაში მოსულ თოვლს ჰგავდა, დნებოდა და წვიმად ჩამოდიოდა.





**მამინე, როდისაც ცაცხლმა დაწვა ბავშვი შენობა**

მე გამოვედი ჩემს ქალაქში, დამწვარ ქალაქში, გავხსენი ჩანთა და უსიტყვოდ ამოვალაგე ყველა უაზრო ძველი ნივთი, ყველა ზღაპარი, ყველა ცრურწმენა მივაშავე დამწვარ სანაგვეს — რომელიც იქვე, ქუჩის ბოლოს მშვიდად იცდიდა, უბრალოდ იდგა ჭვარტიანი, მოკლე მკლავებით, წარმოვიდგინე, ცეცხლის ენა როგორ ჰკოცნიდა მოკლე მკლავებზე, რა ვნებით და რა აალებით

და გავაგრძელე გზა ქალაქში, დამწვარ ქალაქში გახსნილი ჩანთით ჩაუარე ბიბლიოთეკას, სადაც ჭვარტიანი ნიგნებიდან ღმერთი ბლაოდა, სადაც სიტყვები ადნებოდნენ ნიგნის გარეკანს, გახსნილი ჩანთით ჩაუარე კინოს, ოპერას, ძველ სასტუმროებს, — შევებსა და გულამოცლილებს — რომელთაც თვალი გააყოლეს ცარიელ ჩანთას, მეც ცარიელი, მშრალი მზერით გამომაცილეს,

მე კი წარსული მომეყვებოდა იმ შენობიდან, სადაც დამწვარი ნიგნებიდან ღმერთი ბლაოდა, მივბრუნდი და ვთქვი: გადმოვიტან ყველა ნიგნის ყველა გარეკანს, გადმოვიტან ყველა ნიგნის დამწვარ იმედს ჩემს უცნაურ, ჭვარტიანი გულში, შინაგან გზაზე ავაშენებ თეთრ შენობას, ის იქნება ჩემი სახლი, ის იქნება ჩემი დიდი ბიბლიოთეკა.

**ოქტომბერი**

აი ჩემი ოქტომბერი, ჩემი სიმწვანეშეპარული ოქტომბერი, ჩემი ვერგაყვითლებული ოქტომბერი, ჩემი ბავშვობაგაუხუნარი ოქტომბერი, ჩემი გაზაფხულით სავსე ოქტომბერი, ჩემი ემოციებით სავსე ოქტომბერი, კალათაში მწვანეფოთლებჩაყრილი ოქტომბერი, ცხოვრების დასაწყისში მდგარი ოქტომბერი, 16 წლის გოგოს გულსნაირი ოქტომბერი, რეალობას ვერშეწყვილებული ოქტომბერი, მნიფე ხილის ნაცვლად ჩიტების ჭლურტულით სავსე ოქტომბერი, მნიფე ხილის ნაცვლად ყვავილობის სუნით სავსე ოქტომბერი, თავდაყირადაყენებული ოქტომბერი, პოეტის ოცნებებით სავსე ოქტომბერი, პოეტის აპრილებით სავსე ოქტომბერი, ჭკუიდან შეშლილი ოქტომბერი ერთ დიდ ტაბლაზე დაგიდე და ვახშმად მოგართვი.

ახლა უკვე შენი საქმეა, ჩემი სულის მწვანე ფოთლებით როგორ გააფორმებ დღევანდელ საღამოს, ოდნავ მზიანს, ოდნავ მონყენილს, როგორ გადააკეთავს ერთმანეთს ჩემი და შენი რეალობა, როგორ შეეწყობა ერთმანეთს ჩემი და შენი ოქტომბერი.

შენს პრაქტიკულ წარმოდგენებს, შენს სამემოდგომო მოსავალს როგორ დაამშვენებს ჩემი თავდაყირადაყენებული სამყარო, როგორ დაისვამ სუფრაზე პირისპირ ჩემს ყვავილებით დაფოთილ სხეულს და მოგეწონები, როცა თვალებიდან აპრილის მერცხლები ამიფრინდებიან. დალაგე შემოდგომის ხილი სუფრაზე. მიმიპატიჟე. მოვალ, დავჯდები და მოგიყვები, რას ვგრძნობ, როდესაც მწვანე ფოთლების მოსავალი ყვირილით მიხმობს.

**ჩამოღანი. პრალა. საიდუმლო.**

„მოდი, ნავიდეთ პრალაში, პრალა ჩემი ქალაქია, პარიზზე უფრო ჩემი ქალაქი, რადგან პარიზზე სადად ბრწყინავს და მხოლოდ გემოვნებიანი ტურისტები სტუმრობენ“, — მითხარი და თვალი გააპარე ჩემოდნისკენ, შენი აქერცლილი ჩემოდნისკენ, რომელსაც ნახევარი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი.

მე მიყვარდა შენი ჩემოდნიდან ამოლაგებული ამბები, საღამოობით, ჩაის სმისას, ჭადრაკის ქვებით რომ მილაგებდი დაფაზე, თან ამბებს მიყვებოდი და თან მეთამაშებოდი... ცხოვრებას მეთამაშებოდი ირიბად.

წამოვალ შენს პრალაში — გავიფიქრე: მაინტერესებს კაფკას სახლი, კაფკას საფლავი, დრამატული მწერალია ეს ჩვენი კაფკა, ჩემად არ ვთვლი, მაგრამ მისი ნათითურები უფრო ახლოს მინდა შევიგრძნო.

წამოვალ პრალაში, მაინტერესებს კარლოსის ხიდზე ჩამომსხდარი საკულტო ქანდაკებები, რომლებიც ალბათ ჩემს ოცნებებს ჩაისუნთქავენ და გზას დამილოცავენ შენი გულისკენ. ჩემი ერთადერთი საიდუმლო სურვილი შენ ხარ! წამოვალ. ამ შენს ჩემოდანში, ამ შენს აქერცლილ ჩემოდანში ნიგნებს შორის შევაცურებ ერთადერთ სურვილს, ვნახოთ, თუკი ამხდებთ ოცნებების მაგიური რიტუალები, თუკი ხიდი საიდუმლოს ჩამიყლაპავს და შენს გულთან ამოახველებს, გპირდები, რომ ეს ქალაქი ჩემიც გახდება.

**კაბა**

ამ კაბასაც ჰქონდა თავისი ისტორია, სანამ სარეცხ მანქანაში მცდარ გრადუსზე შევადგებდი და შედგებოდა. ამ კაბით ვიმოგზაურე ფშავეში, სუფთა მთის ჰაერი ვისუნთქე და მერე იმ ჰაერში მალაღი სიყვარული გავაჩინე.

თავიდანვე ჰაერში ეკიდა ის სიყვარული, ჰაერიდან ეპატარავებოდა დედამინა, ჰაერიდან საუბრობდა ცვალებად ამინდებზე და ცვალებად კაბებზე, აალებულ ცეცხლზე და დარჩენილ ნაცარზე, ბევრ რამეზე, რაც სიყვარულს ასე უხდება! ჰაერიდან ათვალეიერებდა ჩემს კაბასაც, შავს, შვინდისფერი სარჩულით და ვერცხლისფერი წარწერებით, ბედისწერასავით ჩახლართული წარწერებით, კაბებს რომ მუდამ რაღაცას უმტკიცებენ, — ისეთით.

მეც ამ წარწერებით ვუმტკიცებდი კაბას წარმავლობას, უფრო სწორედ — წარმავლობის მარადიულობას, არასდროს ვიხდოდი სინათლეში, არც ვინმეს თანდასწრებით, არც სარკის წინ, მხოლოდ განუვლი ფარდის უკან, მზის სხივებისგან დახშულ ოთახში ვებდავდი, სხეულისთვის კანივით ამეხია და ყოველთვის ერთი და იგივე ადგილას დამეკიდა. კაბის ბრაღი იყო, რომ ვერ მივინდებ მთის სიყვარულს, ვერ დავიჯერე ჰაერში ცხოვრება, ვერ დავარტყი ფრინველის წრე სიმალეში ასროლილ თავისუფლებას, მაინც ცივად შემოვბრუნდი, მაინც მიწას ავეკარი, მაინც კაბა დავისვარე, მერე ის კაბა მაღალ ტემპერატურაში გავრეცხე და შედგა.

**წერილი პადარჩინისთვის**

ღირსებასავით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის შენი სიყვარული,

ღირსებასავით ანათებდა ჩემს მხრებზე, როცა მიჭირდა, შენი სულის სკივრთან მოვლიდი, დაუკითხავად ვიღებდი იქიდან შენს მარადიულ გრძნობას და მხრებზე ვიხვევდი.

როცა მიჭირდა, მხოლოდ შენი სიყვარულის მჯეროდა დედამინის ზურგზე, მხოლოდ შენს სიყვარულს ვეძახდი ღვთიურს და გადამრჩენელს!

შენ არასდროს გენანებოდა, გაგელო სული ჩემი ტკივილებისთვის, დაგეამებინა ჩემი ჭრილობები, არასოდეს გენანებოდა, გყვარებოდი ასე უანგაროდ! მე კი წლებთან ერთად დამიმძიმდა ეს სიყვარული, რომელიც მხოლოდ მხრებზე მეფინა და გულამდე ვერ ჩადიოდა, წლებთან ერთად დამიმძიმდა მხრებიც, ოდნავ მოვიხარე კიდევაც, ალბათ თავდაჯერება დამაკლდა, ალბათ გაუნონასწორებელმა სიყვარულმა ჩამომშალა! და ერთ დღესაც, როცა შენი სულის სკივრთან ფრთხილად მოვედი, როცა შენ კარი გამიღე და სინათლე გამომიწოდე, შემრცხვა და გითხარი:

„დავიღალე საკუთარი თავის ნანგრევებში დგომით, დავიღალე ფრთებით, რომელსაც შენ მანებებ, დავიღალე ძვლებში ვერშეზრდილი ბედნიერებით, დავიღალე ჩემი უმადური მარტოობით, რომელიც სულ ბრუნავს და ადგილიდან მაინც ვერ იძვრის“

და გამოვბრუნდი, და ცხოვრების ყველა მძიმე გადარჩენის დიდ წერტილად გადავაკეთე.

**ომი და ჩემი სიყვარული**

რამდენჯერ მოვუყევი ცხოვრებას, რომ ჩემი წილი სიყვარული ომში დაცვა მაშინ, როცა სამშობლოს ართმევდნენ, მაშინ, როცა ღირსებას ართმევდნენ, მაშინ როცა თავისუფლებას ართმევდნენ, ეს ყველაფერი არ დაუშვა და ოცი წლის სიცოცხლე სასწორზე დადო! მაგრამ მარტო სიცოცხლე არა, ჩემი გულიც დადო სასწორზე, ჩემი მარტოგატარებული ახალგაზრდობაც, ჩემი სამომავლო გეგმებიც, ჩვენი არშემდგარი შეხვედრებიც, რომელიც ღმერთმა კი დაგეგმა, მაგრამ ომმა გაანადგურა! არ უფიქრია, რომ ომმა დანდობა არ იცის, არ უფიქრია, რომ ომმა ღირსება არ იცის, არ უფიქრია, რომ ახალგაზრდული გულით რეალობასთან ნააგებდა, თავად მიწასთან დაწვებოდა და მე ქარებს შემატოვებდა. მე კი ქარებში გავაგრძელე სიარული, ჯერ წრეში, მერე წრის გარეთ და საზღვრების გარეთ, სულ მახსოვდა, სულ ვიცოდი, რომ დამეკარგა ჩემი ომში დაღუპული სწორფერი, რომელიც ვერ გავიცანი, რადგან ომმა ერთმანეთი წაგვართვა.

**ცალი ფრთა**

ლუკას

შემიძლია მოგიყვე ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს ნაოცნებარ ომებზე, რომელიც თხუთმეტი წლისას ფრთების გასაშლელად მიჭირდებოდა, რადგან მჯეროდა, თუკი ომში ნავიდოდი, თუკი ცხოვრების ომში ნავიდოდი, იქ ჩემს გაშლილ მკლავებს ფრთებად მონათლავდნენ და გმირობად ჩამითვლიდნენ ფრენის სიყვარულს. მაგრამ მე წავაგე ახალგაზრდული ომი, რადგან, როცა სახლის სახურავზე გაშლილი ფრთებით დავდექი, მესროლეს. ტყვია მარჯვენა ფრთაში მომხვდა და სისხლმა სიტყვებად დაიწყო დენა.

ასე ესროლეს ჩემს ყველა მეგობარს, რომელთაც სჯეროდათ, რომ სამყაროს შეცვლიდნენ. მეგობრებს, რომელთაც იდეალები ანუხებდათ, სათითაოდ ესროლეს ფრთებში. ზოგს გული გაუსკდა, ზოგმა ჩემსავით წერა დაიწყო.

ალბათ გიკვირს, რატომ არ ჩერდება სიტყვების დენა ჩემი ნატყვიარი ფრთიდან. ალბათ გიკვირს, რომ როცა ფრთას ფურცელზე ვუსვამ, ირიბად ვურტყამ ცხოვრებას, რომელმაც ტყვია მესროლა.





### მარიამ ნიკლაური

#### სიზმრების ეროზიები

ზამთრის სიზმრების ეროზიები დაეტყო ჩემი დღეების ლანდშაფტს. უჩვეულო ნამს ვიშინაურებ — აღარ მეზრდება ყვავილი არსად. ქარ-წვიმა რეცხავს მწვანე სიხარულს. უნდა მაქციოს შორეულ მარსად. მაგრამ რელიქტის გაბედულებით მაინც ამოდის ბალახი — ჯვარცმა . რომ შემახსენოს მარადი შობა — იმედის ხუნდი დამადოს ნებით მან, ვინც ვარსკვლავით მოჭედავს ზეცას, ბნელს უსხეულო სინათლით ებრძვის. გაიტრუნება უსასობის ასიათასი მშვიერი ვირთხაც. გნამს, ცხოვრებაც რომ ისევ ასეთი გვეყოლება და გვექნება დიდხანს...

#### უბარი

ერთ დღეში მოსულ შემოდგომას შეხვდება ქუჩა, ძველ, მწვანეთვლიან ბეჭედს ნაიდრობს, ისე მოისვრის, რას მისწვდება თვალი მოისრის. თავსზეით ძალაც აღარ არის, დაიზეპირო, კენწეროსავით, ულურჯესი პარაგრაფები. დამნიფდა მზეც და მოინაყოფა სხივი არყოფნამ. ოდესმე ისევ... მაგრამ ახლა სხვა დროა. უბრთა. ახლა სიჩუმის აგრავილი კუთხიდან წვეთავს სიტყვა, რომელიც დაბადებას ბედავს ჯიუტად, ყურთა სალხენად, ვერტქმულის მწე დად. ვერ ამსხვრევს ჰაერს, ინაპერნკლებს ან კი ამ ნესტში? სხვა გაზაფხული, სხვა დრო შობს ცეცხლად. ხმელ ფოთლებს ჰგვანან ახლა სიტყვებიც, არაფრობაში არვის რომ ეძღვნა. წვიმის გადასხმა, ჯგუფის ჯგუფთან შეთანადება. მზის თეთრ პალატებს დავტოვებ თუკი, ყველაფერს ვიტყვი, როგორ გადავრჩი, შეკავებული სიტყვით და სუნთქვით, გაოგნებისგან რეტდასხმული, ასე უბარი და ასე უტყვი.

#### სახელით აისახნით!

გაბრიელ, იოაკიმე, იერემია და გიორგი, ნიგნის მკაზმავნი მანყვერს, ოდესღაც მსხდარნი სოსანგეთს, პერგამენტს კალმით მოსავდნენ, სად, სად არიან ახლა?

დრო, როგორც უჯრედშორისი, ის, რაც საერთოდ არა ჩანს. სიცოცხლის მფეთქავ ბირთვით სიტყვაც — მარადი დამლა. წერდნენ და წერდნენ. მტყვანიც იყო მორჩილი ნებისად და არ იცოდა დალლა.

სულელებზე მოკონნიალე ასიათასი ზეცა. როგორ გვიხდება წარსული, როგორც ეს ლურჯი კამარა შვენიის ფრთავაშლილ მერცხალს.

აისახნით სახელით, აიზრახნით საქმენი საერთოა და ბერთა. გაბრიელ, იოაკიმე, იერემია და გიორგი მტკვრის წყალივით რომ დიოდით, აგვირისტებდით მთავრულით მეღნის ლურჯ ზვირთად დედანს.

ერთადერთობის უასლო ორგინალუბად დარჩით. ერემია და გიორგი, გაბრიელ, იოაკიმე — დაგცქერო კურსორის არჩივს, დიგიტალური ჟამიდან სალამთან ერთად გიგზავნით გარდასულობის ნალველს და როგორ აღმოგაჩინეთ, რა სასწაულით გნახეთ, გიორგი და ერემია, იოაკიმე, გაბრიელ, გამოცდენილხართ ჟამსა და გამოცდენილხართ სახელს.

ჩვენ ვინ გვახსენებს ნეტავი? ან ჩვენ დიქტატორ პოეტს?! არც საოცრებად დაგვრჩება ეს ოფეტური ძელი, ჩვენ სხვა ჰორიზონტს ვეძებდით, და არა გგავდით ქვევით. ცეცხლი გვინდოდა დაგვენთო, ვახახუნებდით სიტყვებს და ნიგნით კოცონებს ვანთებდით, ნავლს ვალვივებდით შვილების აკვანთა გადარწევით.

გაბრიელ, იოაკიმე, იერემია და გიორგი, ნიგნის მკაზმავნო, მანყვერს. ო, როგორია სამყარო, გაღმა-გამოღმა მდენი, ხომ შეიძლება ოდესმე, ან უკვე, სადღაც, ოდესღაც, მეც სადმე გადაგანყვებით... ნეტა თუ ვიცნობთ ერთმანეთს — ქარში სიტყვების დევნით.

#### მეორადმოსვლა

ვაშლის კურკაში აყვავებული ვაშლის ბალები თუ დაინახე? ცეცხლის ზვირთებიც აზავებულ წყლად თუ იგრძენი? თუ სისხლის ძვრის ხმაც ვერ მოიხელთე საკუთარი სხეულის მიღმა, არც სიკვდილი მიიჩნიე სიცოცხლის თესლად, თუ ცა და მიწა უსასრულობის ზურგად არ იცან, მარადისობას როგორღა იგრძნობ, მეგობარო? რა გვეშველება, რა ღივს ეყოფა ძალა ჩვენში სასწაულის გაცოცხლებისა? როგორ მინდოდა, მთელი სამყარო დაგვეტია დრო-ჟამიანად, ერთიერთზე მოჭრილი თარგით, ერთი ანბანით, მიკრო და მაკრო კოსმოსების საერთო ხელრთვა ამოგვეკითხა...

და ამის მერე აღარაფერი გაგვაკვირვებდა, არც ის, მე და შენ რატომ დავრჩით ქაოსის დელტად ღვთის წესრიგის შესართავებთან; სად და როგორ შევერიოთ უხილავს ისე, რომ საკუთარი თავიც ვიხილოთ; ვიცნოთ ყოველი და ვერავის მივანვიდნოთ ხმა. მხოლოდ პატარა კურკა გვედოს ხელისგულზე, აყვავებული ბალების ნიაგს გულს გუშვერდით... ის კი ზნექდეს ციდან მიწამდე ღრუბლის ჩრდილებს და ბალახებზე მზის სკვნილს მარცვლავდეს... ერთი პატარა კურკა მაინც, პატარა, ერთი...

#### არჩევანი

არჩევანი არაა. არასოდეს ყოფილა. ძველ ღმერთებს თუ მოშივდათ არსებობა ჩვენი. გემოც ვერ ჩაგვატანეს, ვერც შიმშილი დაიცხრეს — ხორცი ვართ თუ ცხოვრების ჟალტამი და ჟვერი?!

გაჩენიდან საკუთარ გვამში ჩანალმულები. ვეძებთ თავებს, სახელებს, არც დროა და არც სივრცე, სადმე დაესახლო. სხვას რას ჩივი, შენივე თავის ახლომახლო. არჩევანი არაა. არასოდეს ყოფილა, კაცი კაცის გარეთ. უცნაური ჟამია, ხედავ, როგორ უსხლტება ჯვარიც თავის მკლავებს. შეღავათით, ნისიად, მაგრამ მაინც გკლავენ, ქარი პოპურს ქრის და სტვენს ძველ დღეების ქავერს.

არჩევანი არაა. არასოდეს ყოფილა, სიზმარს წესად ჰქონოდეს ცხადზე გრძელი ძილი. ახლა რომ დამანახა, ტყუპ სიამის სამშობლოს როგორ ჩამომაჭრიან, ან რად ყოფნა მელის? ერთმანეთის ტარებამ ისე დაგვამახინჯა ნეტა ვინ ვის დაასწრებს, საით გადადენის?

არჩევანიც არაა. არასოდეს ყოფილა ასე ერთმანეთობა ორგემავე, მხდალი. ხაროში ჩაგდებული, ან ჭის გვიმზე დამხრჩვალი, ღვინის ალაზანებში ალავერდით მკვდარი, განა გადარჩენილა, განა გადატეხილა ეს საგოდრე ნნელი. ვინ ვის გადმოგაგორებს უძღურ ბებრად მთებიდან, ვის ექნება ალლო და ვის ექნება გუმანი შორს, შორს გადაფრენის?

ქრისტეს მაჩანჩალები. იოანეს ნიღბებით ცალი თვალთ მზირალი, უმიზეზოდ მლიმარი შლამიანი სანდლით. არჩევანი არაა, არასოდეს ყოფილა! ნულარაფერს ეძებთ! დამშეული დემონი გაგვითიბავს მომავალს, ამოგვიშრობს ვეძებს.

მაგრამ მაინც რაც იყო, ის მარადის იქნება, ხან სიცოცხლის სიკერპედ, ხან სიკვდილის მიჯნად. ფიქრის ნამჯა დახვავდა. დაიცალა ღამეთა მთვარით სავსე სირჩაც. არჩევანი არა გვაქვს. არასოდეს ყოფილა, მზედ რომ გვექცეს სკვინჩა.

გვახეთქებენ ტინებს და გამოგვდებენ მაცვლოვნის კაუჭიან ეკლებს. კარგი, დავდოთ პირობა, როცა ნექსს აგვაცლიან, როცა ჩაგვაბარებენ საზეიმოდ ედემს, ჩვენ ვიმღერებთ სიცოცხლის გამართლების წამისას! ხელს გავუშვებთ აღვირს, და მივავდებთ ბედაურს ნისლისფერულ გზებზე. თუკი ვერსად მივაკვლევთ სიყვარულის ნაპირებს, იყოს ჩვენზე ახი.

არჩევანი არა გვაქვს, გადარჩენის გარდა! ჩვენი სისხლი ქარია, არასოდეს ვქუჩრდებით ჩვენ სასახლის კართან. ისმის სუნთქვის მუსიკა! სრულდება კომედია ღამის ათას მეერთედ, კვლავ ეშვება დროშების გაცრეცილი ფარდა.

#### ბიდასს ბიდარა ვერ ავსიავს

წყალს ვუთხრა? მიდის, რა იცის, არაფერს დაგიფიცებს, და რამდენ ლოდზეც გადავა, რამდენ ქვას გაიყოლიებს, იმათი არ ენაღვლება, სუ თავისაკენ იწვეს. ცას ვუთხრა, შორს და ცრიატს? ამბობენ სულ არ არისო. ამბობენ, ილუზიაა ეს ლაჟვარდების ტვერი. ამბობენ, არაფერია და რაც იქაა, აქვეა, მარჯვნივ მხრისთავზე დაღლილი შენთვის დღეების თევით.

ცხოვრების სხივი გახუნდა, განყალდა, აი, ვამბობ: ბიდასს' ბიდარა? ვერ ავსებს! სიმართლის ვეძა დაშრა! ვინ იცის რაა ბიდახი, ვინ იცის რაა ბიდარა, ვის ესმის ნათქვამ-ნანახი, უნახავივით სანდო?! შეაძრწუნებდა ველასკესს, სიმართლის ცხადად მხატველს, სიცრუის ფუნჯის მონასმი, ვერ დახატავდა დღეისდღეს, ფერს — არაფრობით სავსეს, თვალების გამოქვაბულებს, გონების გამოქვაბულებს, და სიყვარულის მარსებს,





ვერც პოეტები დაწერდნენ, ლექსებს ვერაფრით დაწერდნენ, დიახ, არასდროს დაწერდნენ ამ გაუცვეთელ აზრებს! ბიდახს ბიდარა ვერ ავსებს, ბირკვილზე გვიზის ფასკუნჯი, ოქროდ უბზინავს კლანჭი. ამ შიშით უნდა დამუხრდეთ, ამ მდაბიური გარჯით, უსინანულო ტკივილით უნდა გაძოვო თავი, რისი მითი და ანდრეზი, ამდენი თუკი შეძელი, გაჩნდი და კლდე ხარ, სალი.

მთებიცაა და მინდვრებიც, ღვინოც დაგვათრობს მღვიძარს. სიმართლევ, რატომ მიკვდები, თავს რად ვერაფრით იცავ, იმისგან, რაც გეძალდება? რატო აქციე, გამჩენო, ქარიშხლებად და ქარებად ჩვენი ლამაზი მინა?

უგუნურების მამალი ყვივის უთვალავ დიღებს, სულყველაფერი ფუჭია, ბიდახს ბიდარა ვერ ავსებს, რა ჩამოამსხვრევს ტინებს?! იგი წავა და სხვა მოვა, იგი წავა და სხვა მოვა ამ ტიალ საბაღნარეს.

მაგრამ ბაღნარი იქნება? შემწე იქნება ხელი? რომ ყველაფერი გვესმოდეს, რომ ყველაფერი გვიღირდეს, ხმელი განედლდეს ღერი. წყალს ვუთხრა, მიდის, რა იცის, ცას თუ შენ გითხრა, ბარემ, აი, ამ ტკივილებისა, რო სულსა გხდია ნელ-ნელა, განა ერთბაშად გკლავენ?!

<sup>1</sup> ბიდახი — დოქის ფორმის ჭურჭელი.  
<sup>2</sup> ბიდარა — მდინარის სახელწოდება ხევში.

**მზას**

დილა — ფიქრის სათავე, დღის მაქო რომ იხვევს, პირველ ურნატს გაიტანს და ჩარჩოდან გამოჩრილ ანგელოზის ფრთასავით ამოიყრის სიტყვებს.

სისხამს ამოსევილო, მზის პატარა ნეკნო, რა მოწყენა გაგიძლებს, რა ტკივილს არ აამებ, ვის სინათლედ იქცევი, ვისას ირჩევ ერდოს?

ვის შეიტკობ? სულეთშიც გააყოლებ სხივებს. რა ბნელეთმა მოგიცვას, რა ლუსკუმა გეყოს, ან რა ძალა აცოცხლებს შენ უჭკნობელ ღივებს?!

უჩინარი ხანძრების ნაპერწკლებს და ალხებს, ყველას ვუძღვებ, როცა შენ თეთრი მარადისობის არარსიდან მოსული ცხოველ სითბოს მახებ.

ნუ, გთხოვ ნუ მიმატოვებ ცის ბილიკთა შერპო, რა იქნება სულ ასე სამუდამოდ გვენთო?! როგორც უძღურების და ყიამეთი სიკვდილის, როგორც უკუნეთების რისხვა ანუ ვეტო.

**ცუდი სიზმარი**

ჭია გაგვიჩნდა. დღედაღამე ისმის მისი ხმა. რკილავს გონებას, სულს და საარსოს. ხმა ხაფი აქვს და სიბინძურის მტვერით აგვავსო.

დახრა სიმართლე, ყველაფერს მისწვდა, მოაყარე გაძღვების შხამი, გაჯობებს მაინც. დაგლევეს და ასე დაგამსგავსებს ფიორა ნამლევს... მარილიც არ კლავს. ერთადერთი ფულს არ აფუჭებს. და ფულად აქცევს, რასაც მისი პირი აპურჭყევს.

ქვასაც და კაცსაც, ქარსაც და წყალსაც, უპოვის, გასძოვს უხილავად ძარღვიან სახრავს. დუჟი სდის ენას, რეტი გვესხმის, ქავილი გეტანჯავს. ყველა კარს ვაღებთ, ყველა კედელს, ვხსნით ყველა სამსჭვალს.

სათადარიგო ლუქსა თუ ანჯამს, რომ იქნებ სადმე სიმართლის ყლუპი მოვიწადიროთ. რომ ჩავისუნთქოთ, მოვიცილოთ ნეკვადი ლაბა და არ გადავყვეთ ჭიანჭამ სიმართლის ამბავს.

ვკარგავთ სიტყვებსაც, რამე რომ კიდე დაეჯერება. ტკივილების ალილიუებს ვზომავთ მაღალ დეციბალებში. ვისი აჯობებს, ნამებული ვის დაერქმევა, ვინ გახდება სიცრუის მაგის პირისფარეში.

რკილად სხივი, რკილად ვარსკვლავი, რკილად იმედი, ყველა სიტყვა დაიფტვა და იგი, რაც დარჩა, ხვალ შეიძლება აღარსად იყოს... იქნება ფული, ბევრი ფული, სხვა არაფერი, აღარც სიტკბო არსებობისა, აღარც სიმწარე, სასტიკ მტრად გვექცა სიმდიდრე და ცდა არსებობის, თითქოს ცოცხალი უსიკვდილოდ გარდავიცვალე...

ვგმანავ სახლს და ვიგმანავ დღეებს. მაგრამ მაინც მესმის ჭიის ხმა... ჭამს მზის თავხესაც გადარჩენისთვის...

**როგორი იყო დედამინა**

თუ ოდესმე შეისწავლი სიზმარ-ცხადს, ხსოვნას, თუ ოდესმე გულსაც ანდობ პალეონტოლოგს, აღმოჩნდება, რომ სიყვარულიც ერთბაშად და უეცრად ჩნდება და რჩება მუდამ სახეუცვლელი. მისი ნამარხი ნაშთი ქანში აშკარაა, აი, ძლიერი გულის თრთოლვა, უძილობა, მოლოდინი სიხარული — ძუძუმწოვართა მთელი მოდგმა, ფრთების ადგილი, აი, აქ ტერფებს არც ადგამდი, აი, ცაც — თითქოს გაკანრულიც ფრენისგან სუსტად, გაშეშებული, მიხატული კირქვის შრეზე დროის მონასმით, ესეც ურყოლა, გულისფანცქალი — სამუზეუმო ექსპონატად ან როგორ იქცა?! ლაჟვარდის ფსკერი გიშრის ქვაბულად?! ნიჟარები, რომლებშიც ადრე საიდუმლო ზღვას ინახავდი, შენ საკუთარ ზღვას, სიყვარულის გამოსახვევად, ახლა რამდენიც გინდა ეცადო, წარმოსახვით ყურზე მიიღო, სული ჩაბერო, ხმას აღარ გაცემს... ნაზი ხაზებით, სხეულზე ბლონდად გადაგრუნულ ზვირთებს შეხედავ და დარწმუნდები, რომ ერთადერთს, პალეონტოლოგს შეუძლია ზუსტად აღწეროს, როგორი იყო დედამინა, როცა გიყვარდა...

**შორს**

შემოდგომის მზე თოვს, მზე თოვს, ბარდნის ფანტელ-ფანტელ სხივებს, თაფლისფერი თოვლის ნაპირს მალე თეთრად გაიღვივებს. ან ვინ იცის, იქით რაა, რა მზეობს და რა მოგველის... გადავიღის სული ნაპირს, სევდის მჭვირვალ სამოსელით. თუ სიზმარი არ ხარ და ხარ, მოვალ-მოგემდინარები, იმ ყველაფრით, რაშიც კრთოდი, და რაშიაც ბრიალებდი. რითაც გადამაფრინე და რითაც გადამიყოლიე შორს, იქ, სადაც უხილავშიც ასე ცხადად მიყოლიებ...

**ნითაი**

ავისტოს ომი, ივლისის ომი, ივნისის ომი, მნიფე ცეცხლი, მნიფე ყანა, მნიფე ატამი, სულელიც მნიფე! აღარ იყო არც გზა, არც სივრცე, სიმშვიდისთვის რომ დარჩენოდა გოჯი, მისხალი. სექტემბრის ომი, ოქტომბრის ომი, მაისის, მარტის — ყველა წამი ომისააო, ასე მითხარი.

ქანაობს ზარზე საბელი გრძელი და ამპლიტუდებს აგანიერებს. ყველა თვე და დღე და საათი, ნუთი თუ ჩქამი, მხოლოდ ომის მეტაფორაა. ათორმეტციე მოციქული წელიწდეულის, მაცხოვარი — ცეცხლის მეურმე.

ქართლის სერებზე მრავლდებოდა კვამლი ბირკვიით. მაინც როგორი გაბედული იყო სიკვდილი!

ყველას მისწვდა, ყველა ინდომა: ადამიანი, სოფელი, ყანა, სასაფლაო, ჭა და მინდორი. ხოცავდა სიტყვებს: „ღმერთი“, „ბავშვი“, „სახლი“, „მშვიდობა“. ომი გვექცა მარადიულ ომის სინდრომად.

ცეცხლის ჭაობი გადაიხნა ცეცხლის ერქვანით. მინამ მოისხა უნაყოფო რკინის ეკალი. ძვლების მსხვრევის ხმა, საგმირო ხმა, დღემდე რომ ისმის.

რისთვის? ჰო, რისთვის? მითხარით, რისთვის?

ნაღმი გფლეთს, ფიქრო, ყველა ომის დადგება ბოლო. საკუთარ თავს გამოიჭამს, დააღობს, დახრავს, თუმც ვერასოდეს დაემსგავსება ეს ომი ჩიტებს, რომლებიც ფრენენ საზღვრების გაღმა, სახლების ზეით, ცას არ კანრავენ, არც სივრცეებს ატკიებენ თავისუფლებას და ფრენის ზეიმს.

არავის არ აქვს ომის საშლელი. მისი მეღნით დაწერილი ბატისფეხური სინთლეც არ ჰგავს მზის ჩასვლის გრუხუნს.

**ულურჯისი სალაში**

თვითმფრინავების გავლებულ სტრიქონს ლექსად კითხულობ სივრცეთა ყდაში, ჩაუნიშნავი ბნკარის სიშორეს უეცრად ჩიტის აფრენა წაშლის. ჩამავალი მზის აბლაბუდეში გაიხლართება ნასკევის ფოთლის, მწუხრის კუნჭულში ღამის ობობა ვარსკვლავებისთვის ბუდეებს მონწის. რვა საათს, როგორც რვა ფეხს მოირთხავს, გადაშლის შავი ყვავილის გვირგვინს, ბნელ ბადეს გაგლეჯს დედამინა და შემოიშენებს სინათლეს ირგვლივ. მერე მოვა მზე, როგორც წესია, რომ დაგვაკვიწყოს სიკვდილი წამით და ერთადერთი მონწე ყველაფრის — ცა — გაგვაგმხნეებს ულურჯის სალმით!

**ანჰეპტილი ღილის სიმღერა**

ძველისძველ ნივთებს, დროს რომ აწყდნენ ღილებივით და დაიკარგნენ, ძველ სიტყვებსაც, ძველებურ რიდსაც, მიჰყვა სამშობლოც... კარგა ხანია უხეიროდ ეკიდა ძაფზე. მაგრამ ასე გულგაღელილი რადგან ვერ ვივლით, ვერ ვიკმარებთ ვერც შიშველ სალკლდეს, მივიკეროთ გულზე ღილივით, ძაფად ჩვენი სიცოცხლე გასწვდეს.

საკერს გავსანთლავთ ცვილის სიტყვებით — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი ემსგავსოს მკვდარსა“, არც სამშობლოს შემვენის ასე — სიარული გიჟის ხალათით, და ზიზლით სავსეს. სად, სად გადის, რომელ უჯრედშორისზე ნეტა ზღვარი კაცსა და ქვეყანას შორის? სადა თქმულა ცილობა მათი?! ან ცილობა რა სათქმელია, არ სრულდება „იყო და არა იყო რა“-სავით საბრძოლო მატჩი... მიგორავს ღილი. სიმხნევე, როგორც ნაგვირისტალი, დაჩენილ ძაფის. ათასწლეულებს გადასწვდება დაღლილი მზერა და შიში, მძაფრი... ცაც გაღელილი, მინაც, საზღვარიც... ძაფიც გამწყდარი...

თავისმართლება ღვინითა და სიმღერით გვიწევს, ჯილდოდ ვაგროვებთ გამოიმტყვრალი სამყაროს მითებს, რომ ჩვენ გამჩენმა სათავისო დაგვითმო მინა, რომ ქალწული დღემუდამ გვიცავს. ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობს წვიმა და ქარი, როგორც ვარსკვლავებს გამოიყრის ცა ღამისპირზე, მაინც ბალახით დაიფარება გვირისტიც, კვალიც, მაინც სიცოცხლე აისახება სიკვდილის ფირზე. რა დროს ღილია, რა დროს ძაფი, რა დროს სამშობლო, ვიცხოვროთ, თითქოს ყველა დარდი ნახდა, გაგვშორდა. სიძველის ძელზე გაკრულია დრო უჩვენოდაც. როცა სამშობლო ჭაბუკურად ყველას გვშვენოდა! რაც არის, არის! გადარჩენის ვალი გვაქვს მაინც! დასაკარგავად ნულარაფერს ნუ გავიმეტებთ!



დასასრული  
დასაწყისი N264

\*\*\*

ლობის ძირი რომ ჩავასხით ცემენტით, მორიგი პურისჭამისას, თამადად დავნიშნეთ ერთი მეზობელი, რომელიც თითქმის ყოველ მეორე სადღეგრძელოზე ფეხზე გვაყენებდა, ისეთ კაი-კაი რამეებსა სვამდა. ერთი მეზობელი მყავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძმასავით თანშეზრდილი უსაყვარლესი კაცი, ცოტა ტანმორჩილი. შემთვრალეები ვიყავით და ეს კაცი ეუბნებდა თამადას მორიგი ფეხზე წამოხტომისას: მეე, ჯიგარო, არ გეგონოს, რო ვზივარ! ვდგავარ!

\*\*\*

ზის მეზობლის პატარა გოგო თავისი ბებოს მალაზიის წინ ძელსკამზე და რალაც წიგნს გულდასმით კითხულობს. ისეთი ჩაფლულია კითხვაში, რომ თავს ვეღარ ვიკავებ და ვეკითხები: — რა წიგნია? — ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, — შავ გონიერ თვალებს მომანათებს. — მოგონს? — არ ვეპევი. — ძალიან! — მიმიჭრა და კითხვა გააგრძელა.

\*\*\*

ფრიდრიხ ენგელსის წერილიდან კარლ მარქსისადმი: „გადავწყვიტე, სპარსული შევისწავლო. არაბულზე გული ამიცრუნდა. ცალკე იმ ორგანული ზიზღის გამო, რასაც სემიტური ენების მიმართ განვიცდი და ცალკე იმიტომ, რომ დიდი დროის დაუხარჯავად შეუძლებელია, არაბულის შესწავლას საშვებელი დააყენო. სამაგიეროდ, რა სასიამოვნოა სპარსულის სწავლა, თუნდაც იმიტომ, რომ მისტიკოსსა და ბრძენკაც ჰაფეზს დედანში წაიკითხავ. ჰაფეზის გაგება მხოლოდ სპარსულად შეიძლება და მისი პოეზიის მუსიკაც გულს მხოლოდ ამ ენაზე ესაღებუნება.“

ფაქტია, არაბულს ყველა ვერ ისწავლის. გადავიკითხოთ მარქსიზმის კლასიკოსები!

\*\*\*

დღეს შევხვდი ჩემს მონატრებულ მეგობარს, ჰიროტაკე მადეას. ბევრი ვისაუბრეთ, მათ შორის იაპონურ ლიტერატურაზე, რომელიც ჰირომ საფუძვლიანად იცის, თან კარგი გემოვნება აქვს, ამიტომ გამიკვირდა, როცა მითხრა, რომ ჰარუკი მურაკამის ყველაზე ნიჭიერ თანამედროვე იაპონელ მწერლად აღიარებს. თავისი აზრი ასე ამიხსნა: იცი? მურაკამი ჩემი თაობის მწერალია და ყველაზე უკეთესად გამოხატავს იმას, რაც დღეს იაპონურ საზოგადოებაში ხდება. მწერლები, რომლებიც შენ გიყვარს (კავაბატა, მიშიმა), უკვე ძველი იაპონიის კუთვნილებია, რომელიც აღარ არსებობს. 80-იან წლებში რალაც ისეთი მოხდა ჩვენთან, რამაც ახალი თაობები წინა თაობებს დააშორა და გაუუცხოვა. ამ გაუცხოებას კი ყველაზე უკეთ მურაკამი წარმოაჩენს.


ამ თვალთ ალბათ ვერასოდეს წავიკითხავდი ჰარუკი მურაკამის. ამიტომ ყოველთვის საინტერესოა, რას ფიქრობს ამა თუ იმ ერის შვილი თავის მწერალზე.

\*\*\*

ვფიქრობ, მაინც ძალიან კარგი იყო ზუგდიდის მეორე (უკვე საერთაშორისო) ლიტერატურული ფესტივალი. ახალგაზრდა პოეტებმა მთელი გული ჩადეს ამ ფესტივალში და მართლა გამოუვიდათ. ამის შემდეგ სულ უფრო უკეთ და უკეთ ჩატარდება. მომავალიც რეგიონული ფესტივალებისაა!

\*\*\*

— საზღვარზე თუ გადმომატარეს, ხე-ალ ჩამოვალ, — მითხრა ტელეფონით ჩემმა სიძემ, რომელიც ვალის ტერიტორიაზე თავის სახლში ცხოვრობს და ინარჩუნებს იქაურობას. არ მინდა, შევანუხო, მაგრამ ბევრი წელია, რაც აღარ მინახავს, და მასთან შეხვედრა მართლა გამახარებს. მეორე დღეს ჩამოვიდა. — თხილი ჩამოგიტანე, ხო გიყვარს შენ ჩვენებური თხილი?! — მითხრა ისე, რო-



გორც შენზე დიდად ნამაგარი ადამიანი გეტყვის...

ცოტა ხნის შემდეგ, საუბრისას, სხვათა შორის, მეუბნება:

— მამაჩემი მაგ თხილებთან დახვრიტეს...

ყველაფერზე ცრემლი მდის... და უცნაურია, სახლში, სადაც ბავშვობის მერე არ ვყოფილვარ, ადამიანების მოკითხვა რომ მოვამთავრე, მცენარეების მოკითხვაზე გადავდი: მსხლის ორ ხეზე, ერთი აივანთან რომ იდგა და მეორე ეზოს განაპირას, კარალიოკებზე და თხილის ბაღზე...

ორი-სამი საათი ვისხედით და ვილაპარაკეთ.

— წავედი ახლა, გიო, თორემ მერე საზღვარს ჩაკეტავენ...

ადგა და წავიდა... ცხოვრებაში იშვიათად მინახავს მასზე უფრო ღირსეული კაცი.

\*\*\*

ძვირფასო ჟურნალისტებო, არ ვიცი, ჟურნალისტობა რაში სჭირდება იმას, რომ ადამიანი მიხვდეს: არ შეიძლება, დაწერო და, მითუმეტეს, სათაურად გამოიტანო: „დედის სარჩენად ჩამოვიდა და თვითონ კი დაიღუპა“...

წუთუ ასე ძნელი სასწავლია ადამიანობა?

\*\*\*

„შენ კი არ იყავი დიდი, აქილევს! დიდი გყავდა მაქებარი“.

ამ მართლაც დიდ ადამიანს ბედისწერამ შემახვედრა. ნუნუკა არის ერთ-ერთი ყველაზე ელვარედ ნიჭიერი და, ამავდროულად, საოცრად თავმდაბალი ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში მინახავს.

ფაქტი ის არის, რომ იტალიელები გიჟ-

დებიან მის თარგმანებზე. ადამიანს ასე დაუღალავად აინტერესებდეს ყველა ლიტერატურული სიახლე, ასე თავგანწირვით უყვარდეს საკუთარი სამშობლო და ასე ზრუნავდეს თავისი სამშობლოს პოპულარიზაციისათვის, იშვიათია! ასეთს მხოლოდ ნუნუკას ვიცნობ, გელაძეს!

„სავეს ქართული პატიოსნებით“!

\*\*\*

გუშინ პოეზია ვეროპას ფესტივალზე ვარჩიეთ, უფრო მეტი გველაპარაკა საქართველოსა და ქართულ კულტურაზე. ამიტომ ბოლოს ნუნუკამ ჩემი ერთადერთი ლექსის იტალიური თარგმანის წაკითხვა მოასწრო. „როდის ვნახე ადამიანები“. ვერ აღვწერ დარბაზის რეაქციას. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი მართლა საოცრება ხდებოდა. მოდიოდნენ ჩემი კოლეგები, ვეროპას საუკეთესო პოეტები და ლიტერატურის მცოდნეები და გულში მიხუტებდნენ, მკოცნიდნენ. მეუბნებოდნენ, რომ ქართველები საუკეთესოები ვიყავით. ამხელა სიხარული ბოლოს ალბათ ლილიკოს დაბადებისას ვგრძენი!

\*\*\*

რა დასამალია, რომ ჩვენი ფერეიდნელების ერთი დიდი ნაწილი ძალიან მიყვარს.

იმ დღეს, მგონი, თბილისში ვიყავი. გამოვივარ ბანკიდან და უცებ მესმის: გიორგი, გიორგი!

მივიხედე და ამ დიდი ნაწილის ერთი ღირსეული წარმომადგენელი დავინახე. ცოტა გამიკვირდა ასე ფამილარულად მომართვა, მაგრამ გაუღიმიე, მისალმება დავაპირე და მივხვდი, რომ მე ვერ მხედავს ადამიანი, სხვა გიორგის ელაპარაკება ტელეფონზე. ამასობაში, თვითონაც შემამჩნ-



ნია და საშინლად დაიბნა:

— უი, მამატიე, ოსტატო... დიდოსტატო! — ჩაილაპარაკა დარცხვენნიშა...

— რა არის, ბიჯო, თავი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში მგონია! — ვუთხარი უხერხულობის გასაფანტავად!

\*\*\*

სამარშრუტოში რალაც ძალიან ხმამაღალი სიმღერა ჰქონდა ჩართული მძღოლს, უგემოვნების მწვერვალი ფანოლები რომ არის, რალაც მოხალხურო ტექსტითა და მუსიკით. ასეთი მაინც ჯერ არსად გამეგონა. რალაცას შფოთავდა მომღერალი, ეძახდა თამარას და ურითთავდა ამარას და კამარას... შევწუხდი და ჩემი ბუნების გამო ხმას ვერ ვიღებდი, რომ მოულოდნელად სულ უკანა სკამიდან იგრგვინა ქალბატონმა გემოვნებამ: გამორთეთ, ბოლოს და ბოლოს, რას აღრიალბეთ?! თქვენ რომ მოგწონთ, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სხვებსაც ასე მოეწონება?! უჰ, მეთქი, შენ გაიხარე, რა!

\*\*\*

საშინელებაა, როცა ადამიანები აკვირდებიან, ვისკენ გადაიხრება ძალისა და ზეგავლენის სასწორის პინა, რომ მერე იმას დაუჭირონ მხარი. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, მიმავალს ან ნასულსა თუ გაშვებულს რა გაუკეთებია საერთოდ და მათთვის; მთავარია მომავალი და მის წინ ბუქნა-ლიქნა! კი, მაგრამ სიმართლე? ღირსება? საბოლოოდ ხომ მაინც ეს ორი რამე რჩება და იმარჯვებს! გავეკარი ყველანაირ თანამდებობას, საერთოდ, ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს, რომელიც თავზე ხელაღების, ადამიანური ღირებულებების გადათელვის ხარჯზე მიიღწევა...

\*\*\*

დღეს მეორედ ვიყავი ალმოდოვარის ფილმზე. უფრო მეტად შემძრა და უფრო ღრმად წამიღო თავის შიგნით. ეს არის ფილმი აბრეშუმში, აბრეშუმში ფაქიზად ნაქსოვი, რომელსაც ოდნავ ზედმეტ პაერის ნაკადს თუ მიუშვებდა რეჟისორი (გრძნობების ან სენტიმენტების სახით), უსწორმასწოროდ ჩაიზნიქებოდა და ფორმას დაკარგავდა. ალმოდოვარი იმიტომაც არის დიდოსტატი, რომ ყოველთვის იცის, სად გადის ეს ჯადოსნური ზღვარი. ახლა ვფიქრობ, რომ მისი ფილმებიდან გულგრილი არცერთს არ დაუტოვებია, მაგრამ ჩემზე ასეთი დიდი შთაბეჭდილება მხოლოდ „დელაპარაკემ“ მოახდინა. პენელოპა კრუზიც საოცრებაა და ხულიეტა სერანოც, თვითონ რეჟისორის ალტერ-ეგოების როლების შემსრულებელი ორი მამაკაციც: (მეგობარი, როგორც თვითონ ამბობს — „დაქალი“) და შეყვარებულიც, მაგრამ ანტიონო ბანდერას ვერავინ შეედრება.

ალმოდოვარი ამ ფილმში თავის ცხოვრებას გვიყვება, ოღონდ ისე, თითქოს სხვის ცხოვრებაზე გვიყვებოდეს და მთელი ფილმის განმავლობაში ჩუმად გვეუბნება: სხვის ცხოვრებასაც ისე ფაქიზად უნდა შეხედო და მოექცე, როგორც შენსას, საკუთარს...

ამ ფონზე ძალიან სიმბოლურია ისიც, რომ „ტივილისა და დიდების“ თბილისური პრემიერა მიტინგებს დაემთხვა. ერთი ქუჩის იქით, ვერის პარკში, მოითხოვდნენ იმ ადამიანების ჩაქოლვას, რომელთა მარტობასა და ტრაგიზმზე, ქუჩის გადაღმა, კინოთეატრ „ამირანში“, ალმოდოვარი ძალზე მძაფრად და უბრალოდ გვიყვებოდა...


უამრავი სათქმელისა და კიდევ უფრო მეტი ქვეტექსტის ფილმი...

\*\*\*

— სოფელში გაზო რომ იყოს, ხანდახან მაინც მოვწყდებოდი ზამთარში ამ ყველაფერს და იქ შევფარებდი თავს, — ვეუბნები ბესიკს, — რაც დრო გადის, მეტად და მეტად მიჭირს ხალხთან ყოფნა და, არც თუ იშვიათად, ჩემს უახლოეს ადამიანებთანაც კი.

— ჰო, ვერეა! — მეთანხმება, — ჩვენი საქმე ისეთია, თანდათან ძძიმდება ადამიანი. ამიტომ გარიდება აუცილებელია. ოღონდ, სუ თან უნდა გქონდეს შენი საქმე-საკეთებელი. სუ რალაცას უნდა აკეთებდე. ასე, ხანდახან თითონაც დაისვენებ და სხვებსაც მოასვენებ.





### მალხაზ მაჭავარიანი

\*\*\*

გუშინ, ზეპირ გამოცდაზე, უკვე გამოცდის ბოლოსკენ, ვსხედვართ მე და ქალბატონი მაია ანდრონიკაშვილი უკვე ამდენი სტუდენტის გამოკითხვით გადასავათებულნი, წინ ბოლო „ცოდვილია“ გვიზის და ვარკვევით, იცის თუ არა, ბრუნების რა ტიპს მიეკუთვნება „შაქა“ და რომელ ტიპს „მაშა“, რომ აუდიტორიის კარი ერთმა ახმახმა ბერიკაცმა შემოგვიღო. არც გამარჯობა, არც ბოდიში, პირდაპირ საქმეზე გადადის: მე „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტი ვარ. არმენისტებს ვეძებ, მათი კონსულტაცია მჭირდება და ხომ ვერ მიმასწავლით, სად ვიპოვო. ვუთხარი, რომ ახლა უნივერსიტეტში გამოცდების პერიოდია, როცა სასწავლო პროცესი განახლდება, მაშინ მობრძანდით და არმენოლოგებსაც ნახავთო. ეს კაცი კი შემოდის, უცერემონიოდ ჯდება, გვანყვეტინებს გამოცდას და განაგრძობს დაკითხვას: ვინ არის ახლა არმენისტი? დაგვრჩა ვინმე მცოდნე ამ დარგში? მე უკვე ვხვდები, ვისთანაც მაქვს საქმე, ქალბატონი მაია კი, როგორც არისტოკრატს შეეფერება, მოთმინებით განარძობს პასუხს: რა ბრძანებაა, ჩემო ბატონო?! არაჩვეულებრივი კათედრაა, ბატონი ზაზა ალექსიძის შესანიშნავი მონაწილე უდგას ახლა სათავეში ნათია ჩანტლაძე და დანარჩენი თანამშრომლებიც სრულიად გამორჩეული ხალხია! კაცი, თითქოს ყურს არ უგდებს, თავისას განაგრძობს: ნათია ჩანტლაძეს ვიცნობ, ნათესავად მერგება, მაგრამ ჩემთან საუბარს თავს არიდებს, გამირბის! სხვები არ ვიცი, ალბათ ისინიც იმისაირები იქნებიან!

ვხვდები კი არა, უკვე ზუსტად ვიცი, ვინა დგას ჩემ წინ. ქალბატონი მაია კი მაინც მოთმინებით უხსნის: რას ამბობთ! არაჩვეულებრივი სპეციალისტები არიან და თუ რამე შეკითხვა გაქვთ, გიპასუხებენ კიდევაც.

კაცი ამბობს: მე რას მიპასუხებენ, მაგას იმაზე არ გაუციათ პასუხი, ლეონტი მროველი რომ ამბობს, ჯერ სომხური იყო და მერე ქართულიო, რატომ ამბობს.

ქალბატონი მაია გაოცებული ეკითხება: და ვის უნდა უპასუხონ, ლეონტი მროველს?

ამასობაში ეს ჩვენი საწყალი სტუდენტი ზის და მღელვარებისაგან იტანჯება, ერთი სული აქვს, გამოკითხვას მოვრჩეთ და ნიშანი გაიგოს. ამიტომ, კაცს ძალიან ზრდილობიანად, მაგრამ ხმაში ყოველგვარი თაფლისა და კარაქის გარეშე ვეუბნები: იცით, ბატონო, ახლა ამისთვის არა გვცალბა, როგორც ხედავთ, სრულიად სხვა საქმე გვაქვს და ჩვენ არც ამ საქმის სპეციალისტები არა ვართ! ახლა მიბრძანდით და მოდით, როცა სემესტრი დაიწყება და ნახავთ არმენოლოგებს!

კაცი უცებ წამოიჭრა ფეხზე და მორთო ღრიალი: რას მიბედავ! ჯერ ერთი, როცა შემოვედი ეს მამისტოლა კაცი, იმდენი ზრდილობა უნდა გეყოს, რომ ფეხზე წამომიდგე! უზრდელო შენ! ამხელა კაცი ვარ! თან „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტი!

ვაგრძელებ მშვიდად: ვინც გინდათ, ის იყავით! ახლა ხელს მიშლით!

დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ თავი მომეთოკა და სახეში არ მეგლიჯა.

გავიდა.

ქალბატონი მაია გაოცებული შემომცქერის და სიტუაციის განსამუხტავად, თავისდაუნებურად, ბოლო ტყვიას ისვრის არისტოკრატული, უფრო სწორად, „დამსკი“ პისტოლეტიდან:

რა იცის ახლა, რამდენი წლისა ხარ?! ეგებ, მისი ტოლი ხარ და მასზე უკეთ გამოიყურები!

\*\*\*

დღეს გავიარე და ვილაცას მალღივი კორპუსის ფასა-დზე ნაუნერია: ჩვენი თაობა — არარაობა. ნეტავ, რომელი თაობისამ წაანერა?

\*\*\*

რისთვის არის კარგი მეგობარი? აი, რომ ხარ უმთენარო დეპრესიაში, უცებ გამოჩნდება ქეთო. დაგავლებს ხელს, წაგარბენინებს კაფეში, გაჭმევს ტირამისუს, დაგალევიანებს ყავას და ცოტა ხანში გიყვებით რომ გეცინებათ რაღაცებზე და გიხარიათ ერთად ყოფნა. მაგრამ ამას ყველა ვერ იზამს.

\*\*\*

„ღმერთი მოწყალეებდა გვაგზავნის ერთმანეთთან“. იმამ შაფიი (ზოგ ჩვენგანს კი ღვთის რისხვად ზოგ ჩვენგანთან. ამას მე დავძენდი).

\*\*\*

დამირეკეს რაღაც სათამაშო ბიზნესიდან: ვაპირებთ რებრენდინგს, ვინცებთ დიდ პიარკამპანიას, სადაც საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები ჩაერთვებიან და თქვენც ხომ არ იქნებით ჩვენი ინფლუენსერიო. იმდენი უცხო სიტყვა დაახვავა, აზრი ბუნდოვნად გამოვიტანე! მაგრამ რაც გავიგე, სრულიად საკმარისი იყო, მეთქვა: მეორედ ჩემთან დარეკვა აღარასოდეს გაბედოთ! ამას წინათ აქვე რაღაც სტატია შემხვდა: „მწერლები, რომლებიც პოკერზე გიჟდებოდნენ“. ეტყობა, ეს სტატიაც ასეთი პიარკამპანიების ნაწილია. გავაფრინეთ მართლა?! რა პოკერი, რა აზარტული თამაშები?! ვინც მიცნობს, იცის, რომ დღუარკაც კი არასოდეს მითამაშია! აი, ძალიან მაინტერესებს, რომელიც ცნობადი სახეები იქნებიან ინფლუენსერები!

#### ჰორიზონტი

როცა ხეებს ვჭვრეტ, მათ შორის მალალს — ყველაზე მალალს ვეთაყვანებ: თვალს ვერ ვწყვეტ — ვფიქრობ, რომ ის ხე შენ ხარ, და მომდგარ ცრემლებს გრძნობენ თვალეში.

#### ტკივილი

შემოდგომა — სულის გაყვითლებული რენტგენოგრაფია დაჩრდილული მოგონებებით. —

ჩემმა ტკივილმა მაგრძნობინა შენი ტკივილი.

#### ყოფ(ნა)

შიგ გულთან ახლოს მყავს ავთვისებიანი პატარა კიბო. —

ხან ამატირებს, ხან გამაღიმებს — ცრემლიან ღიმილს მომგვრის, რომ ვიყო!

#### პარსკვლავი აზინდა

ნითელ პარსკვლავს ქარმა დიდ მწუხრზე — უცებ აღმართზე რომ ამოვარდა ეკლესიისკენ... — ულპობელ ურთხმელს რაღაც ჩასძახა სისხლიფერ ვარდთან და დაეფინა ცხელ დედამიწას, ზეცით განსაზღვრულ წყლებს მესამედს. ათასეულთა გული დამინდა, თან მზის სხივებმა დანვეს შესაქმე...

#### მწვანეყვავილა

აქ, პანთეონში, მამამ ჩემი საფლავი გაჭრა, თუმც ეს ჩემ გარდა ქვეყანაზე არავინ იცის. აქედან მუდამ სანატრული მალალი ცა ჩანს, ვით ბატონ რეზო ჭეიშვილის უკვდავი ნიჭი.

#### საქმთააღმწეობი

უილიამ ფოლკნერის რომანის „სული რომ ამომდიოდა“ ინსცენირების ავტორსა და დამდგმელ რეჟისორს, ზესტაფონის დრამატული თეატრის ხელმძღვანელს, ნინო ლიპარტიანს

მას სული აღმოხდა და სიკვდილ-სიცოცხლის ხისგან გამოთლილ ღია კატაფალკზე ჩამოჯდა ჩვენს გვერდით, რომ ბენვის ხიდზე გავლით მშფოთვარე წარსულის განსასვენებლამდე მივიყვანოთ.

მოქმედება მხოლოდ მოჩვენება-თამაშია, ის არის და არც არის. სიტყვა კი, ყოვლის არსი და შემოქმედი ყრუ-მუნჯსაც ესმის დიდ ბნელ ღამეში, როცა დრო მდორედ მიედინება. და: „სწამს, რადგან აბსურდია.“

ჩვენ იგი ბოლომდე მივიყვანეთ, ყველაფერს გაუფქვლით და კიდეც გავიმარჯვეთ!

#### ნანვიშა

ნეტავ საიდან მოაქვს ნიავს სურნელი დაკარგულ დროს?

#### ზაფხულის საღამო

განვიმდა ისევ, გავალ ჩემს აივანზე — მოუხსმენ სველ ხმებს. ... ჩვენს დიდ სიყვარულს, ალბათ, პატარა ჩიტი უთვალთვალებდა.

#### საჩუქარი

ვ.გ-იანს  
სიზმრად ნაჩუქარ ყვავილთა სურნელება ცხადში შევიგრძენ.

#### სულიკო

მღერიან დები იშხნელები უკვდავი სიყვარულის ხმით, მათ სიმღერაზე ვიფერვლები და ვდნები სიყვარულის მზით. მათ სიმღერაზე ვიფერვლები და ვქრები სიყვარულის მზით — მღერიან დები იშხნელები უკვდავი სიყვარულის ხმით.

#### გამოთხოვება

ჯერ საკუთარ თავს გამოვეთხოვე, მერე სამყაროს და მასში ბავშვებს. მწველ ვარდ-ყვავილებს, მომავალ თოვას, სამარადისოდ განყვეტილ კავშირს მზესთან, თვალბთან, შენს მზის სხეულთან და ყველაფერთან, რაც მიზიდავდა და რაც მიყვარდა უფრო გრძნულად — ბოლო მდუმარე დღით რაც მიყვარდა.



თემურ გაბუნია

# თორმეტი საფეხური

საათის ციფერბლატზე თორმეტი ციფრია, ამდენივე თვეა წელიწადში. არსებობს კოსმიური წელიწადი. იაკობის ვაჟებმა სათავე დაუდეს ისრაელის თორმეტ ტომს. მითი თორმეტ საფეხურზე უნდა გავიაროთ, ამბობდა პლუტარქე. ზოდიაქური თემა ზოგიერთი დიდი მწერლის, მათ შორის თომას მანის, შემოქმედებაშიც აისახა. როგორ იაზრებენ მისი თხზულებების პერსონაჟები თორმეტის სიმბოლიკას, ასტრონომიულ დროსა და უფამო ჟამს? ამ საკითხში ჩაღრმავებამ, შესაძლოა, მწერლის მოსაზრებებსა და თანამედროვე მეცნიერულ აღმოჩენებს შორის რღაც ღრმა მისტიკური კავშირის არსებობამდეც მიგვიყვანოს.



## პარალელური სამყაროები

თომას მანის ცნობილ რომანს „იოსები და მისი ძმები“ უფამო ჟამისა და ზოდიაქოს ნიშნების თემა ლაიტმოტივით გასდევს. თავის მხრივ, არც „ჯადოსნური მთის“ პერსონაჟ ჰანს კასტორპისთვისაა უცხო ფიქრი დროის რაობის შესახებ. მეტიც, უფამო ჟამის არსში წვდომა მისთვის თითქოს ერთ-ერთი საფეხურია კოსმიურ აზროვნებაზე გადასასვლელად. იოსები და ჰანსი (იმის მიუხედავად, რომ განსხვავებულ კულტურული ეპოქის შვილები არიან) ერთნაირი გულმოდგინებით ცდილობენ, ჩასწვდნენ დროის ფენომენს — ასტრონომიულ დროსა და მარადისობას. რახელის ვაჟს მოხუცი ელეაზარი ასწავლის ციფრების საიდუმლოს. თორმეტი ასტროლოგიური ნიშნების ციფრია. არსებობს თორმეტი თვე. თითოეულში საშუალოდ ოცდაათი დღეა. დროის დიდ წრეს შეესაბამება მცირე. წელიწადის მსგავსად დღეც თორმეტ ნაწილად იყოფა. დიდი წრის ერთ მეთორმეტედს თვე ჰქვია, მცირესას კი — საათი. არსებობს მესამე გიგანტური წრეც — ვარსკვლავური წელიწადი, რომლისთვისაც ზამთარი მაშინ დგება, როცა ვარსკვლავები მერწყულის ან თევზების ზოდიაქოში იყრიან თავს, ხოლო ზაფხული — როდესაც ლომის ან კირჩხიბის. ამ მესამე (ასევე თორმეტ ნაწილად დაყოფილ) გიგანტურ წრეში 432 000 კოსმიური წელიწადია. თორმეტი ზოდიაქური ნაჭდევის გავლის შემდეგ სამყარო, ელეაზარის აზრით, ახალ სიცოცხლეს იწყებს „ნარსულის გამეორებით“. ასტრონომიული დროის მიღმა, მარადისობაა, რომლის მბრძანებელი და ბინადარი უფალია. სადღაც მინაზე კი არსებობს ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი, რომელსაც ღმერთმა მარადისობის შემეცნების უნარი მიანიჭა.

ადამიანს ორი ასპექტი აქვს — მინიერი (სხეული) და ღვთაებრივი (სული). **ს-ხეული**, თითქოს სულში ჩარგული ხეა. ამას უნდა მიგვანიშნებდეს ეს სიტყვა. ქართული ენა ფილოსოფიურია, სიტყვები პიქტოგრამებით მეტყველებენ რაღაც მიღმიერზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სიტყვა **ორ-სულიც**, რომელიც არა მხოლოდ ქალის ფეხმძიმობაზე მიგვანიშნებს, არამედ მის სხეულში მეორე სულის მყოფობაზეც. მისტიკური მნიშვნელობა აქვს ციფრ **ა-მშვსაც** (მეგრული ექვსი). ადამი-

ანი უფალმა მეექვსე დღეს შექმნა. ა-მშვი (აი, ამ დღეს მშვი უფალოო), თითქოს ეუბნება ადამიანი ღმერთს (სიტყვა ექვსის წარმოთქმისას). კიდევ უფრო გასაოცარია ქართული ზღაპრის დასაწყისი „იყო და არა იყო რა“, ასევე დავით გურამიშვილის სიტყვები „ცოცხალნი შობენ მკვდართა, და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ!“ რაზე მიგვანიშნებს ეს გამონათქვამები? რა არის ყოფნისა და არყოფნის არსი? გავისხენოთ როგორ იწყება ბიბლია: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“. ცა და მიწა, ყოფნა და არყოფნა, სააქაო და საიქიო. აი, უფალიად განსხვავებული სამყაროები. თუმცა მათ შორისაცაა გარკვეული მსგავსება. მეტიც, თომას მანის მტკიცებით, „იქაც და აქაც“ მოვლენები ერთი სცენარით ვითარდება. მართლაც, სიცოცხლის ხე თავდაპირველად მინიერ სამოთხეშია, თუმცა ბიბლიის დასასრულს მას უკვე უფლის ზეციურ ქალაქში ვხვდავთ. იგივე ითქმის ლუციფერსა და მთავარანგელოზ მიქაელს შორის გამართულ ბრძოლაზე. ის ჯერ ვარსკვლავურ სივრცეში მიმდინარეობს, ხოლო შემდეგ — მინაზეც. ამრიგად, რაც ცაში ხდება, მინაზეც მეორდება და პირიქით.

როგორ განმარტავენ სამყაროსა და ადამიანის შექმნას წმინდა მამები? გრიგოლ ნოსელის აზრით, ყოფიერება საღმრთო წყვილიდან წარმოიქმნა, რომელიც „განფენილ იყო ყოველთა ზედა“. შევეცადოთ, თანამედროვე ენით გადმოვცეთ წმინდა მამის ნაზრევი. წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი არსი უკვე შექმნილია უფლის მიერ არამატერიალურ, სპირიტუალურ სამყაროში. თუმცა ეს მხოლოდ არქეტიპული მოდელია, რომელიც მკვდარია მინაში ჩაგდებული თესლივით, ის უნდა გაცოცხლდეს და აღმოცენდეს. მაგრამ როგორ? რა არის საჭირო ღვთაებრივ სიბნელეში მყოფი სამყაროს წარმოსაჩენად? შექმნილ არსთა ერთმანეთთან „დაკვეება“. მხოლოდ ამ მისტიკური აქტის შემდეგ „იგინცა ნათელსა მას თანა გამოხრდინან; ესრეთ იყო ყოველივე უხილავ და უჩინო პირველ ნათლისა არსებისა საჩინოდ წარმოდგომისა“, განგვიმარტავს წმინდა მამა.

დღეს თანამედროვე ფიზიკოსთა სოლიდურად დაფინანსებული ჯგუფი თითქოს სწორედ იმის დამტკიცებას ცდილობს, რის შესახებაც გრიგოლ ნოსელი საუბრობდა. მეცნიერები ვაკუუმის ღერეფებში და-

მუხტულ ნაწილაკებს აჯახებენ ერთმანეთს და „დაკვეების“ პროცესს აკვირდებიან. ხოლო როცა შეჯახების შედეგად რაღაც ნამიერი ნათება წარმოიქმნა, ახალი ნაწილაკი აღმოვანინეთო, განაცხადეს და მას God's Particle უწოდეს.

გრიგოლ ნოსელის განმარტებით, მანათობელი ძალის გამოზრწყინებით დაიწყო თესლოვანი, არქეტიპულ მდგომარეობაში მყოფი ყოველი არსის გაცოცხლება. თანამედროვე მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, შეიქმნა ხიდი თუ პორტალი, რომლითაც არამატერიალური სამყაროდან ხილულში გადავიდნენ არსებები, ნივთიერებები, მიკრო და მაკრო სამყაროები; ზოგმა ნათების უნარი შეიძინა, ნაწილმა კი — სინათლის არეკვლის. საგულისხმოა, რომ უფლის შექმნილ არსებათა შორის სული მხოლოდ ადამიანს აქვს, რაც მას უპირატესობას ანიჭებს სამშვიდველის მქონე ცხოველთა სამყაროზე. ადამიანი ქვეყნიერების ბატონპატრონია, მხოლოდ მას აქვს განყენებული აზროვნებისა და უფამო ჟამის შემეცნების უნარი. თვით ანგელოზებსაც შურთ მისი. თომას მანი იოსების სიზმარში გვიხატავს ორ მოშურნე სერაფიმს, ერთი ზეცაში ატაცებული იოსების დანახვაზე გაკვირვებით ამბობს: „რაა მისი ღირსება, ვინც თეთრი თესლის წვეთისგან იშვა?“ სერაფიმს არ ესმის, რატომ გახადეს იოსები ასეთი პატივის ღირსი, ვერც იოსების ძმები მიმხვდარან, რად უყვარს იაკობს ყველაზე მეტად ეს ენატანია და პრანჭია ბიჭი. მაინც რატომ აბუზღებს იოსები ძმებს მამასთან? ნუთუ ასე სძულს ისინი? თომას მანს მიაჩნია, რომ იოსების დამსმენობა იაკობისადმი ერთგულებითაა გამოწვეული და არა ვინმეს სიძულვილით. მეტიც, იოსებს ძმები თავისებურად უყვარს კიდევ, რადგან გრძნობს, რომ მათთან ისეთივე წმინდა სიყვარულითაა შეკრული, როგორც ზოდიაქოს ნიშნები ერთმანეთთან. მწერალი გამუდმებით მიგვანიშნებს, რომ თითოეულ ძმას რომელიღაც ნიშანი შეესაბამება: ზაბულონი მეზღვაურობაზე იცნობს, გამუდმებით საუბრობს ზღვაზე, მეთევზეებზე, გემებსა და მოგზაურობაზე, ასე რომ, ის ზოდიაქოთი **თევზებია**; ლევი და სიმეონი ერთნაირად ფიცხები არიან, მათი მეტყველება **ტყუპებივით** სინქრონულია; იოსები ზოდიაქოთი **ქალწულია**; იუდა ახალგაზრდა **ლომია**; ნეაღვიით აბოზრეული რეუბენი კი — **მერწყული**... მკითხველი ჯერ ვერ ხვდება, რატომ გასდევს ეს მინიშნებები ლაიტმოტივით რომანს, თუმცა მისტიკისადმი მიდრეკილთ შეიძლება გაუჩნდეთ ეჭვი, რომ მწერალი უფამო ჟამსა და ზოდიაქოთა ჯამურ ციფრ თორმეტს შორის რაღაც კავშირს ხედავს. მკითხველს ეს ეჭვი განსაკუთრებით თამუზის დღესასწაულების რიტუალების გაცნობისას უღრმავდება, რომელთა აღსრულების დროსაც თითქოს ზედროული ანმყო გამოიხმობა მიღმიერი, არამიწიერი სამყაროების. ზაფხულოებით დღელდამსწორობის ყოველ დღესასწაულზე მხსნელი უნდა იშვას, იტანჯოს, მოკვდეს, მერე კი მკვდრებით აღდგეს. აღდგომისას ასტრონომიული დრო კვდება, სამაგიეროდ, ცოცხლდება უფამო ჟამი. ზოგადად, მისტიკის თორმეტნი ასრულებენ, იდუმალია მათი დამოკიდებულება მეცამეტესადმი. თამუზის დღესასწაულზე დაკვირვებისას იოსები ჭეშმარიტ მესიასზე ფიქრობს, რომლის შესახებაც მამაც უყვებოდა და ელეაზარიც. ცოდნა მესიის სასწაულებრივი მოვლინების შესახებ თაობებს გადაეციებოდა ადამიანთა ვიდრე იაკობამდე. იოსები რაღაცით ამგავსებს საკუთარ თავს მარადგანახლებად ადონაის. უმცროს ძმას ბენიამინს ის ესაუბრება მოკლულ მწყემსზე. ამ მკვდრებით აღმდგარ ღვთაებას ის ადარებს სამსხვერპლო კრავს, ამცააა მისი იოსებისა, რომ დღესაც მათი დამოკიდებულება მეცამეტესადმი. თამუზის საკითხი უფრო ღრმაა, რადგან რაღაც იდუმალი ურთიერთდამოკიდებულება ადამიანს, კრავსა და უფალს შორის. იოსებს თამუზი უკვე აღარც ახსოვს. ამჯერად ის ბენიამინს უყვება ჭეშმარიტი მესიის შესახებ, რომელიც სამსხვერპლო კრავივით უნდა დაიკლას, სამ დღეზე მეტხანს იყოს აკლდამაში, მერე კი ჯოჯოხეთის ბჭენი დაარღვიოს და მკვდრებით აღდგეს. ბენიამინს ბოლომდე ვერ გაუგია, როგორ უნდა მოხდეს ეს, თუმცა უფროსი ძმის ნაამბობს მოსწონს. ის რაღაცით ჰგავს და თან არც ჰგავს ადონაი-თამუზის ისტორიას.

თუმცა დაუბრუნდეთ ბიბლიურ თემას, თომას მანს რომ აურჩევია თავისი რომანისთვის. „ჩვიდმეტი წლის მანძილი იყო იოსები, რომ მწყემსავდა მამისეულ ფარას თავის ძმებთან, მამამისის ცოლების — ბილჰასა და ზილფას ვაჟებთან ერთად“ — ვკითხულობთ დაბადებაში (37, 2). იგულისხმება, რომ რვა წლის ბენიამინიც მამის სიახლოვესაა. ის ჯერ კიდევ მხეველების მეთვალყურეობის ქვეშაა მცირე ასაკის გამო. ლეასგან შეძენილი ექვსი ვაჟი კი მოშორებით მწყემსავს იაკობის ფარას. თომას მანი ამ მოვლენასაც ვარსკვლავთა განლაგებას უკავშირებს. ასტროლოგიური დაკვირვებით მხოლოდ ექვსი ზოდიაქო ჩანს ერთდროულად. მწერალი მიგვანიშნებს, რომ მინიერი მოვლენები რაღაცით ჰგავს ზეციურს. ამ უცნაური პარალელიზმის შესახებ ის გამოთქვამს ასეთ მოსაზრებას: „ვერასდროს დავაზუსტებთ, სად იღებს სათავეს რომელიმე ისტორია — ზეცაში თუ მინაზე. ჭეშმარიტებას ის ემსახურება, ვინც ამტკიცებს, რომ ყველა ეს ისტორია ერთდროულად თამაშდება აქაც და იქაც, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ ზეციდან ეშვებიან, რათა კვლავ იქ დაბრუნდნენ“.

საკითხი, რომელიც თომას მანმა თავის ცნობილ რომანში „იოსები და მისი ძმები“ ნამოჭრა, **XX** საუკუნის მიწურულს ფიზიკოსებისთვისაც აქტუალური აღმოჩნდა. მეცნიერთა აზრით, უნდა არსებობდეს ბნელი ენერჯია და მატერია პარალელური სამყაროების სახით, სხვაგვარად ფიზიკის კანონები (მათ შორის გრავიტაციისაც) ვერ იმუშავებდა. ჩვენ თურმე მხოლოდ იმ საგნებს, ციურ სხეულებსა და ნაწილაკებს ალვიკვამთ, რომლებიც თვითონ ანათებენ ან სინათლეს ირეკლავენ, მეცნიერები ამას ხილულ მატერიას უწოდებენ. ხილული მატერიის გრძნობს, რომ მათთან ისეთივე მხლოდ 5%-ია. რას წარმოადგენს დანარჩენი 95%? ფიზიკოს გია დვალის აზრით, აღნიშნულ საკითხზე წლების განმავლობაში მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ სამყარო ხილული მატერიის გარდა შედგება: ბნელი ენერჯიისა და მატერიისგან, ასევე რადიაციისგან (რომლის ხვედრითი წილიც ძალიან მცირეა — 0,000...X). ბნელი ენერჯიის ხვედრითი წილი სამყაროში 68%-ია, ბნელი მატერიისა კი — დაახლოებით 27%. ბნელი ენერჯია მუდმივი სიდიდე (კონსტანტა) უნდა იყოს, მისი სიმკვრივე უცვლელია. ბნელი ენერჯიის შემოქმედებით გალაქტიკები განიზიდება, მიმდინარეობს გაუხშობა, რაც იმას მოასწავებს, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ ჩვენ გვექნება ბნელი ცა. ანუ სამყარო ისედაც განადგურდება, თუკი მანამდე ატომურმა კატასტროფამ ან გლობალურმა დათბობამ არ მოუღო ბოლო.

ამრიგად, ამ ეტაპზე ადამიანისთვის სამყაროს 95% შეუცნობელია. მაინც რას უნდა წარმოადგენდეს ბნელი ენერჯია და მატერია, რომლებსაც ვერ ალვიკვამთ? ერთ-ერთი ნონსენსი ჰიპოთეზა პარალელური სამყაროების არსებობას უკავშირდებდა. გრავიტაციის კანონზე დაყრდნობით მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ვარსკვლავების მასა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ისინი ორბიტაზე არსებულ ნესითა და ტრანსპორტით მოძრაობდნენ. უნდა არსებობდეს დამატებითი განზომილება — პარალელური სამყაროები. როგორ დაუკავშირდეთ მათ? როგორ გავუგზავნოთ მესიჯი, რომ ჩვენც ვარსებობთ?

დღეს, როგორც ცნობილი ფიზიკოსი გია დვალი აღნიშნავს, მეცნიერთა ერთი ჯგუფი მრავალმილიარდიანი დაფინანსებით ცდილობს, ვაკუუმში ელემენტარული ნაწილაკების ერთმანეთთან შეჯახებით შექმნას ხელოვნური შავი ხვრელები, რომლებითაც დაუკავშირდებიან პარალელურ სამყაროებს. თუმცა ჯერჯერობით ვერ ახერხებენ მათკენ მიმავალი პორტალებისა თუ ხიდების გადგებას. „ბარათიც“ რომ გაგზავნონ შავ ხვრელში (დიდი ენერჯიით დამუხტული ნაწილაკის სახით), მიღმიერ სამყაროში მას მაინც ვერ ალვიკვამენ, რადგან გაგზავნილ მესიჯს იქ ნულოვანი ენერჯია ექნება. ველის კვანტური თეორიის მიხედვით კი ნულოვანი ენერჯიის შემეცნებას უსასრულოდ დიდი დრო სჭირდება.

თანამედროვე ფიზიკამ ეს პრობლემა ჯერჯერობით ვერ გადაჭრა, თუმცა რელიგიაში ყველაფერი გარკვეულია. რიგითმა საშუალო განათლების ქრისტიანმაც იცის, როგორ დაუკავშირდეს დროში უც-



ვალეხელ მარადიულ სამყაროს. ამისთვის მას არანაირი ხელოვნური შავი ხერხის შექმნა არ სჭირდება, რადგან არსებობს ზიარება, რომელიც უფალთან გვაკავშირებს. ზიარების საიდუმლოს აღსრულების შემდეგ მორწმუნე უფლის თორმეტბჭიანი ქალაქის პოტენციური ბინადარი ხდება. ის ღვთაებრივი ენერჯით იმუხტება, რომელიც უნდა შეინარჩუნოს, თუკი სურს, სამუდამოდ დაიკვიდროს ადგილი სასუფეველში. როგორია უფლის ქალაქი? იოანე ღვთისმეტყველის აღწერით „მისი მოედნის შუაში და მდინარის აღმა-გამოღმა“ სიცოცხლის ხეა, „თორმეტბჭის ნაყოფის თვისის მომცემი. სიცოცხლის ხის წმინდა მდინარე კი ანკარაა „როგორც ბროლი, ღმრთისა და კრავის ტახტისგან გამომდინარი“.

ამრიგად, თომას მანის რომანებში მრავალგზის ნახსენები უფამო ჟამის უმთავრესი სიმბოლოები თორმეტბჭიანი უფლის ქალაქი და თორმეტბჭის ნაყოფის მომცემი სიცოცხლის ხეა. იქ მოხვედრილმა ღვთის რჩეულებმა უნდა გაიარონ თორმეტი ბჭე, რომელთაგანაც თითოეულს შეესაბამება თითო მარგალიტი. უფლის ქალაქში უფამო ჟამია, მას „არ სჭირდება არც მზე, არც მთვარე მინათობლად, რადგან დიდებამ ღმრთისამ გაანათა იგი“.

და, აი, ამ ქალაქის სიდიადით შეძრულ იოანეს აღმოხდება სიტყვები: „ჰე, მოვალადრე! ჰე, მოვიდოდე, უფალო იესო ქრისტე! მადლი უფლისა იესო ქრისტისი ყოველთა თანა წმიდათა. ამენ.“ წმინდა ანდრია კესარიელის განმარტებით კი, აი, რას ევედრება მოციქული უფალს: „მოვალ ცხოვრებისა მაგის ყოველთაისა და შენცა ჩემდა მოვედ, უფალო.“

**ბიბლიური სქემები და არქიტექტურა**

თომას მანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბიბლიურ-მითოსურ სქემებსა და არქიტექტურას. რომანის მთავარი პერსონაჟი იოსები რამდენიმე მათგანს ერგება. ის ხან აბელია, რომელიც კაენმა უნდა მოკლას, ხან ტახის ეშვებით რამდენიმე ნაწილად აჩეხილი თამუზი, ხან კი — უფროსი ძმის სეთის მიერ მოკლული ოზირისი. იოსები საკუთარ თავს გამოუდგმობს რომელიმე ბიბლიურ ან მითოსურ გმირთან აიგივეს, მისი გზა ზეციურის მიწიერი ასლია. აი, როგორ ახასიათებს მწერალი თავის პერსონაჟს: იოსებს მამამისივით ღრმად სწამდა, „სიცოცხლე და მოვლენები, უმაღლესი რეალობით რომ არიან დამონებულნი, რომლებიც არ ეფუძვნებიან ღვთაებრივად ნაცნობ ნინასახეს, არ ეყრდნობიან მას, არ აისახებიან არანაირ ზეციურ საქმეებში და მათში ვერ შეიცნობენ საკუთარ თავს, საერთოდ არ მიიჩნევიან სიცოცხლედ და მოვლენებად.“ იოსების ორმოში ჩაგდება (მისტიკური თვალთახედვით) მკვდართა საუფლოში ჩასვლის ტოლფასია, ის კვდება, რათა მერე გაზაფხულზე თესლიდან ამოზრდილი მცენარესავით გაცოცხლდეს. შემთხვევით როდი ამოანთხევს ორმოდან ამოყვანილი ისმინიტიელი ვაჭრის მიერ მინოდებულ რძეს, რომელსაც ხარბად ენაფება. იოსები რაღაცით ჩვილსაც ჰგავს, მან ახალი სიცოცხლე უნდა დაიწყოს.

თუმცა მხოლოდ იაკობის რჩეულს როდი ჰყავს არქიტექტურა. ბიბლიურ და მითოლოგიურ სქემებს ნებისმიერი ადამიანი ერგება, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწის ზურგზე. გავიხსენოთ იგავი უძლებ შვილზე, რომელმაც შესცოდა, მერე კი მოინანია. ამ იგავურ სქემაში, გარკვეული თვალსაზრისით, ადამის მოქცევაც შეიძლება. თავდაპირველად ის არც ინანიებს არაფერს, საკუთარ დანაშაულს ცოლს აკისრებს, მეტიც, ნაწილობრივ ღმერთსაც, თუმცა, წმინდა მამების განმარტებით, ადამმა საბოლოოდ მაინც გააცნობიერა ჩადენილი და ღრმა სინანულით აივსო. მხოლოდ ამის შემდეგ ეუწყა მას მთავარანგელოზ ურილისგან უფლის განხორციელება მარადისქალნულ ყოველდღიან მინდა ღვთისმშობლისაგან, ქრისტეს ნებაყოფლობით ვნება, სიკვდილი და აღდგომა.

მონანიე პატრიარქებს მრავლად შეხვედებით ბიბლიაში, ისევე როგორც მართალ და უკეთურ ადამიანებს. მართალთა არქიტექტურა აბელია, რომელიც თავის რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენას შეენირა, უკეთურთა კი — კაენი. ადამის ძეთა

შორის დაპირისპირებამ სათავე დაუდო იმ მტრობას, საუკუნეების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა უკეთურთა და მართალთა, თხეხსა და ცხვრებს შორის. უფალი პირველ მართალ ადამიანად მოიხსენიებს აბელს, ასე რომ, ჩვენც გვაქვს სრული უფლება, ის მონამობრივად აღსრულებული ყოველი მართალი ადამიანის ნინასახედ მივიჩნიოთ. აბელისგან განსხვავებით კაენი მეამბოხეთა, ღმერთთან მებრძოლთა და მკვლელთა არქიტექტურა, მათი, ვისაც უნდა მოეკითხო „სამყაროს შექმნიდან დათხეული ყველა ნინასწარმეტყველის სისხლამდე ზაქარიასი“ (ლუკა, 11, 50-51). კაენი ნინასახეა იმ ცრუ მოძღვრებისა და სულიერი ლიდერების, რომლებიც არა მხოლოდ კლავდნენ ნინასწარმეტყველებს, არამედ მალავდნენ ცოდნის გასაღებს, რათა არც თვითონ შესულიყვნენ ცოდნის ტაძარში და არც სხვისთვის დაეწებებინათ იქ შესვლა.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნე, არსებობს ადამიანთა რამდენიმე ბიბლიური არქიტექტურა, მათ შორის აბელ მართალისა და ძმისმკვლელი და მეამბოხე კაენის. არის რაღაც შუალედური გზაც შეთის (სეთისის), რომელიც არც მკვლელია, არც მონამე და არც გმირი. ის უბრალოდ ცხოვრობს, შრომობს, მოვლენებს აკვირდება, დასკვნები გამოაქვს, მრავლდება (აბელისგან განსხვავებით), რომელმაც დაოჯახება ვერ მოასწრო. შეთის მსგავსები კაცობრიობის უმეტესობას წარმოადგენენ. თუმცა ამ, ერთი შეხედვით „ნეიტრალურ“ ადამიანებსაც მოუწევთ სიკვდილის წინ არჩევანის გაკეთება. უფალმა ისინი ან სიცოცხლის ნიგნში უნდა ჩაწეროს, ან სიკვდილის. პირველში ცხვრები (ღვთის მორჩილი ადამიანები) ხვდებიან, ხოლო მეორეში — თხები (ურჩები). უფამო ჟამში, და არა ასტრონომიულში, მათთვის გამზადებულია ორი სამყოფელი. აბელი უფლის ქალაქის ბინადარია, კაენი კი — გვენიის. თუმცა უფლის ქალაქში მოხვედრა თვით კაენსა და მისი არქიტექტურისკენ გადახრილთაც შეუძლიათ. მეტიც, თვით ადამის უფროს ვაჟსაც მიეცა მონანიების საშუალება. უფალმა მას შუბლზე ნიშანი დაადო, რათა ეცნოთ და არ მოეკლათ. ამით დრო მისცა საკუთარი დანაშაულის გააზრებისისთვის.

**ინიციაციური თხზულებები**

1944 წელს თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსზე“ მუშაობისას უამრავ ლიტერატურას კითხულობდა მუსიკალურ თემაზე, რაც არც იყო გასაკვირი, რადგან თხზულების მთავარ პერსონაჟად ადრიან ლევერკიუნი შეერჩია (კომპოზიტორი). ერნესტ ნიუმანის „ქვეცნობიერი ბეთჰოვენის შემოქმედებაში“ ახალი დასრულებული ჰქონდა, როცა ჰარი ლევინის ნიგნ „ჯეიმზ ჯოისზე“ გადაერთო. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მანმა, რომ მასსა და ჯოისს შორის უამრავი საერთო იყო, მეტიც — გარკვეული ნათესაობაც. მას ადრე მიაჩნდა, რომ ჯოისის ექსცენტრულ ნოვატორობასთან შედარებით საკუთარი თხზულებები უფრო ფერკმრთალი და ტრადიციული ჩანდა, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის გარეგნული მხარე იყო. სინამდვილეში ლევინის მის თხზულებებზეც შეეძლო, ეთქვა ზუსტად ის, რაც ჯოისის შესახებ განაცხადა, სახელდობრ: „მწერლის თხრობის სტილი გამოდის ჩვეულებრივი ბელეტრისტიკის ჩარჩოებიდან. არც „ხელოვანის პორტრეტს“ და არც „ფინეგანის ქელესს“ მკაცრი განსაზღვრებით რომანებს ვერც ვუნოდებთ. ხოლო „ულისე“ ის ნაწარმოებია, რომლის შემდეგაც რომანების დაწერა საერთოდ შეუძლებელიც კი ხდება“. თომას მანს მიაჩნდა, რომ „ჯადოსნური მთის“, „იოსები-სა“ და „დოქტორ ფაუსტუსის“ შესახებაც შესაძლოა თქმულიყო მსგავსი რამ: „ისე ხომ არ მოხდა, რომ ამჯერად რომანებს შორის გამორჩეულად მხოლოდ იმ თხზულებების მიჩნევა თუ შეიძლება, თავიანთი არსებით უკვე რომანებიც რომ არ არიან. ლევინის ნიგნში არის ფრაზები, რომლებმაც სულით ხორცამდე შემძრა: „ჩვენი თანამედროვეობის საუკეთესო თხზულებებში სახეებზე და წარმოდგენები კი არ იქმნება, არამედ წარსულიდან გამოიხმოება, რის გამოც ისინი რემინისცენციებითაა გაჟღერებული“. აი, ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს მანი ჯოისის შესახებ. არცაა გასაკვირი, რადგან თუ საკითხს ჩავუღ-

რმავდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ამ ორი მწერლის პერსონაჟებს მართლაც მრავალი ბიბლიური და მითოსური ნინასახე ჰყავთ. იოსები, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ თავს ხან ადონაი-თამუზს ადარებს, ხან ოზირისს, ხან კი — აბელს. მრავალპროტიპიანი პერსონაჟია სტივენ დედალოსიც. ცხოვრების საწყის ეტაპზე ის სტივენთან პირველმონამეს ჰგავს, მონაფულობისას კი — ლაბირინთის ამგებ მითურ დედალოსს. თუმცა სტივენი მხოლოდ დედალოსი არაა, ის გახლავთ იკაროსიც, ჰამლეტიც, შექსპირიც. ამრიგად, მანისა და ჯოისის პერსონაჟები თითქოს წარსულიდან არიან გამოხმობილი. ეს ორი მწერალი მხოლოდ პერსონაჟთა დახატვის თავისებურებით როდი ჰგავს ერთმანეთს, მათი თხზულებებიც ამოვარდნილია ლიტერატორთა მიერ დაწესებული ჩარჩოებიდან. მაინც რომელ ჟანრს მიეკუთვნებიან ისინი? მანი ცალკე გამოყოფს ისეთ თხზულებებს, რომლებიც სულიერი ძალების აქტივიზაციითა და დაბრკოლებების გადალახვით „ჩვეულებრივი გმირი მალდდება თავდაპირველი დონიდან“. ასეთ ნაწარმოებებად მიიჩნევს „გილგამეშის“ „ჯადოსნურ მთას“... სამწუხაროდ, ლიტერატორებმა არ გაიზიარეს მწერლის შეხედულებები და არ გამოყვეს ცალკე ჟანრად ინიციაციური თხზულებები. დღესდღეობით რომანისტიკებად არიან მიჩნეულნი ბულვარული რომანების ავტორებიც და ისეთი მწერლებიც, როგორებიცაა: ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი, უილიამ ფოლკნერი, თომას მანი, ჯეიმზ ჯოისი და სხვები. ასეთი ჟანრობრივი კლასიფიკაცია კი, ცოტა არ იყოს, ხელოვნურია. ჩვეულებისამებრ, რამდენიმე შრეა დიდ შემოქმედთა თხზულებებში (ყოფითი, რელიგიური, მისტიკური...), ასე რომ, ისინი მითითებულ სხვადასხვა დონეზე შეიძლება გავიზაროთ. გავიხსენოთ თუნდაც „ულისე“, რომლის ყოველ ეპიზოდს არა მხოლოდ საკუთარი ხელოვნება (თემა) აქვს, არამედ სხეულის დომინანტი ნაწილიც. „ტელემაქის“ თემა თეოლოგიაა, ამ ეპიზოდში ზიარებაა ზეა საუბარი, ასე რომ, დომინანტი სისხლია. „ნესტორის“ უმთავრესი თემა ისტორიაა, სხეულის ნაწილი — თავი; „პროტევისის“ (ფილოსოფია) — ტვინი; „ჰადესის“ (რელიგია) — გული; „ეოლოსის“ (რიტორიკა) — ფილტვები, კისერი; „მოხეტიალე კლდეების“ (მეჟანიკა) — ფეხები; „სირინოზები“ (მუსიკა) — ყური, ყელი, ხორხი; „ციკლოპების“ — თვალი... 1921 წლის 21 სექტემბრით დათარიღებულ კარლო ლინატისადმი მიწერილ ბარათში ჯოისი აღნიშნავს, რომ მისი „რომანი არის ეპოსი ორ ერზე (ებრაელებსა და ირლანდიელებზე), ასევე ადამიანის სხეულისადმი მიძღვნილი ციკლი და ერთი დღის პატარა ამბავიც“. მაინც რისი თქმა სურდა მწერალს? რატომ დაუდო საკუთარ თხზულებას სქემად სხეულის ნაწილები? ხომ არ მიგვაჩინებდა ამით ზოდიაცოს ნიშნებზე, რომელთაგანაც თითოეულს (ასტროლოგთა აზრით) სიმბოლურად სხ-

ეულის ნაწილები შეესაბამება (მაგალითად კუროს — ადამიანის კისერი და ყელი; ტყუპებს — მხრები, ხელები და ფილტვები; კირჩხიბს — კბილები და მკერდი და ასე შემდეგ)?

ჯოისის უსაყვარლეს პოეტ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიასაც“ ლაიტ-მოტივად გასდევს ზოდიაქოების თემა. დანტე მზის რაინდია, რომელმაც თორმეტი ნაჭდევი უნდა გაიაროს სამოთხეში სულიერი თვალის ახელამდე. „იოსები“ კი იაკობის თორმეტივე ვაჟს, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ასტროლოგიური ნიშანი აქვს. მანის თხზულებაშიც („ულისეში“ არ იყოს) უამრავ თემაზეა საუბარი: რელიგიაზე, მითოლოგიაზე, მისტიკიკაზე, პოეზიაზე, ღვთისმეტყველებაზე, ბოტანიკაზე, მეცხოველეობაზე, მინათმოქმედებაზე, არქიტექტურაზე, მევენახეობაზე, ასტრონომიაზე, ენათმეცნიერებაზე, ბიოლოგიაზე, ზოოლოგიაზე თუ გეოგრაფიაზე.


დიახ, მანი და ჯოისი ბევრი ნიშნით ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაცაა. ჯოისი ულმობელი პაროდისტია. მისი პაროდია ეხება ყველასა და ყველაფერს, მათ შორის ღვთისმსახურებსა და რელიგიასაც. მანი კი უფრო განონანსორებულა რელიგიურ საკითხებში. მეტიც, მისი თხზულებების კითხვისას რწმენაც კი გიჩნდება, რომ ღვთისმებრძოლობა მარადისობასა და მარადიულ ღირებულებებს ვერაფერს აწვებს. გავიხსენოთ თუნდაც მწერლის ერთ-ერთი შედევრი „დოქტორ ფაუსტუსი“. იმდენად თვალშისაცემია მსგავსება ადრიან ლევერკიუნსა და ფრიდრიხ ნიცშეს პორტრეტებს შორის, რომ მკითხველმა „დოქტორ ფაუსტუსის“ უმთავრეს მოტივად გერმანელი ფილოსოფოსის ტრაგიკული ცხოვრების გაანალიზებაც კი შეიძლება, მიიჩნიოს. თუმცა ეს ასე არაა, მწერალს უფრო მნიშვნელოვანი რამ დაუსახავს მიზნად. რომანში ერთი (თუნდაც გენიალური) ადამიანის ცხოვრება გააზრებულია გერმანიისა და მსოფლიო კულტურის მოსალოდნელი კრიზისის ფონზე. კულტურის კრიზისი და „უნაყოფოების სიახლოვე, ორგანული, ეშმაკთან გარიგებისთვის შემამზადებელი განწირულობა“ — აი, რა არის „ფაუსტუსის“ უმთავრესი მოტივები (იხილეთ ესე „დოქტორ ფაუსტუსის შესახებ“).

მანი რელიგიური მუხტის მატარებელი მწერალია. ეს, უპირველესად, მისი თხზულებებიდან ჩანს, თუმცა არც ერთი ნაწარმოებიც რომ არ გქონდეს ნაკითხული, ერთი პატარა ჩანაწერიც იკმარებდა საკითხის საბოლოოდ გასარკვევად. აი, რა ჩანერა „დოქტორ ფაუსტუსზე“ მუშაობით დაღლილმა მწერალმა დლოერში: „მძიმე შრომა ხელოვნებაში ბრძოლასავითაა, ის შტორმში მოხვედრილი გემის მსხვერველსაც ჰგავს, სასიკვდილო საფრთხით ღმერთთან რომ გაახლოვებს, ჩაგაგონებს კურთხევისთვის, შეწვევასა და წყალობისთვის იღვანო რელიგიური თრთოლვა“.

აი, რა მძიმე შრომა უწევდა მანს ინიციაციური შედეგების შესაქმნელად!








ძვირფასო ბორის ლეონიდოვიჩი, არც კი ვიცი, როგორ დაგწერო. ის, რაც ახლა ინერება, წერილიცაა, დღიურიც, შენიშვნებიც „ექიმ ჟივაგოზე“ — მოკლედ, ყველაფერი ერთად.

რომანი ნაკითხი. ბოლო თხუთმეტი წლის შორეულ ფიქრებშიც კი ვერასდროს წარმოვიდგინე, თქვენს დაუბეჭდავ, დაუსრულებელ რომანს თუ ნაკითხავდი, თან თქვენგანვე მიღებულს ხელნაწერის სახით. სულ რაღაც ორი თვის წინათ გარემომყოფთათვის უცხო და ზამთარში დაკარგულმა, რომელსაც არაფერი ესაქმება ადამიანებთან, ტყეებსა და გაუვალე ქვების გარემოცვაში რაღაც ქოხებში კუთხეები ღუმელებით რომ გამოუწვავდა; უცხო მთვრალ ადამიანთა შორის, რომელთაც არც სიცოცხლე ადარდებდათ და არც — სიკვდილი, ვცდილობდი, ხან გაბედულად, ხანაც სასონარკვეთილს ლექსებით გადამერჩინა საკუთარი თავი სამყაროს დამთრგუნველი და გამხრწნელი სულის ძალისგან. იმ სამყაროსი, რომელსაც ჩვიდმეტი წელია, ვერაფრით შევეჩვიე.

ჩაკარგული, მაგრამ არა დაინწყებული დაბრუნდი და ლავრუშინსკი მოვედი.



მოგესხებოდა, ბ. ლ., არასდროს ვყოფილვარ ლიტერატურული კრიტიკოსის როლში. არც რომანის წერა მიცდია ოდესმე. ეს რაღაცნაირად ევერესტზე პირველ ასვლად მესახებოდა, ასვლად, რომლისთვისაც სრულიად მოუშადავებელი ვარ. თუმცა, 18 წლის წინ მოთხრობები დამინერია და გამომიქვეყნებია კიდევ — ცუდი მოთხრობები. დაძაბული ვმუშაობდი მაშინ მოკლე მოთხრობაზე, ხუთი წელი, მგონი. ვცდილობდი, გამეგო, როგორაა შექმნილი მოპასანის „მადმუაზელ ფიფი“, შემდეგ კი მივხვდი, ეს ცოდნა სრულებითაც არ ესაჭიროებოდა მწერლობას.

მივხვდი, რომ შთაბეჭდილების განსაცდელად პოეტური მიძალბა აქცევს მწერლად, როცა სიტყვები თითქოს ცდილობენ, ხანძარს დაუსხლტნენ, რაღაც მიზეზით სადღაც შიგნით რომ გაჩენილა, და გამოიქცნენ, ქაღალდზე გადმოცვივდნენ.

არ ვკითხულობ, რისთვის დაინერა რომანი, და ამ კითხვას პასუხსაც არ ვცემ. დაინერა იმიტომ, რომ რაღაც, რაც გაღელვებთ, ქაღალდზე გადმოსვლას მოითხოვს, ჩანერას გაავლდებულბთ, მაგრამ არა ლექსის სახით. ძლიერია ხოლმე გრძობე-

სწორედ ამიტომ არ მაინტერესებს, რომანია „ე. ჟ.“, ნახევარი საუკუნის წინანდელი ცხოვრების სურათები თუ კიდევ რაღაც სხვა. იქ უამრავი ისეთი აზრია (ვედენიაპინი რომ გამოთქვამს, ლარა, თავად ჟივაგო), რომელზეც მინდა, დავფიქრდე. ყოველივე რომანისგან განცალკევებით ცხოვრობს ჩემში და ამ აზრებისგან აღძრული სულიერი მღელვარებაც არ მასვენებს.

თუ დაკვირვებისა (რა თქმა უნდა, თქვენ ხომ ყველაფერს ხედავთ და იცით), ასობითა და ათასობით ნაწარმოებია, სადაც არ მოიპოვება მოაზროვნე გმირები! ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდება, რომ არ არიან მოაზროვნე ავტორები. ეს საუკეთესო შემთხვევაში.



ვედენიაპინის, ლარას, ჟივაგოს აზრებს კიდევ ბევრჯერ მივუბრუნდები, გადმოვიწერ, ლამით გავიხსენებ.

ოდესღაც ჩრდილოეთში, გასაკვირი შემთხვევით ნამოჭრილი ლიტერატურული საუბრებისას, მომავლის ლიტერატურაზე ვკამათობდით, მყოფად წელიწადთა მხატვრული ნაწარმოებების ენაზე; უახლოესი მიზეზი, როგორც მახსოვს, ჩაპლინის სცენარი „ბატონი ვერდუ“ იყო. თქვენ იც-

დიდებულია აქეთინებული ბიჭი ახალი საფლავის ბორცვზე, ხელები რომ თბობისკენ ალუპყრია.

ახლა გადაეჩვიე ამგვარ პროზას, წონიანს, ყურადღებას რომ ითხოვს. ამას ბიჭზე კი არ ვამბობ, არამედ — მთელ რომანზე.

ხმამალა არავინ გამოხატავს გაკვირებას იმისადმი, რაც ათასწლეულები აფორიაქებდა ადამიანის სულს, რაც მის ყველაზე სანუკვარ ზრახვებს პასუხობდა. იქნებ კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებისა და გენიალური მხატვრების მიერ შემუშავებულია ადამიანის საუბრის ენა თავის საუკეთესო შინაგან რაობასთან — ყველა ამ მოციქულთან, მოგვიანებით კი ისეთ მწერალთან, როგორცაა იოანე ოქროპირი, ათასწლეულებით წინ რომ შეეძლო ადამიანის სულის ყველა საიდუმლოს მართვა. ოდესღაც წამიკითხავს ლიტურგიათა, სააღდგომო მსახურებისა და ვნების კვირის ღვთისმსახურების ტექსტები და გაოცებული დაუტოვებია მათ ძალას, სიღრმეს, მხატვრულობას — ამ სულის ალგებრის დიად დემოკრატიულობას. ფესვებად კი მას სახარება ჰქონდა.



თქვენ შეგხვდით. მინდა, მიხვდეთ, რას ნიშნავდა ეს ჩემთვის. გაიგოთ ჩემი მდუმარებაც, ხომ შეიძლება, ქალაქთან განშორების შემდეგ შეხვედრისას სადგურის მისადგომთან იტირო, აქ კი შეხვედრა მელოდა ჩემს ცოლთან, ქალთან, რომლის გმირობასაც ვერაფერს შევადარებ, ვერც მოსმენილს და ვერც ნაკითხულს. ომიდან ქმრების დაბრუნების მოლოდინი, ხანგრძლივობითაც კი, ხომ ბალღობაა. ერთია, როცა მთელი ხელოვნება, ყველა გაზეთი, მოხსენება ყოველ ნაბიჯზე გაჰყვირის, ქმართან გაიგივებს და გმირად გალიარებს, ხოლო სრულიად სხვა მასშტაბის საქმეა, როცა გაიძახიან: „შენი ქმარი დამნაშავეა. მიატოვე და დისკრიმინაციისგან განთავისუფლდები“; გართმევენ სამსახურს, სახელმწიფოს ძალით მთელი ძალ-ღონით გემტერებინ. წლებია, ერთ ვი-ვაგლახშია და ტირილსაც გადაეჩვიე უკვე. ხელთ წლინახევრის ბავშვი ჰყავს შერჩენილი. და როგორი სულიერი ძალა და ადამიანური რწმენა უნდა გქონდეს, ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ას წერილს წერდე წელიწადში და კიდევ სადგურზე ხვდებოდეს ქმარი. აი, ამ შეხვედრიდან მეორე დღეს ვიყავი პირველად თქვენთან. იცოდა, რამდენს ნიშნავდა ეს შეხვედრა ჩემთვის და სწორედ მან მოაწყო.

ქალიშვილთან შეხვედრაც გოგონას მეორედ დაბადება ჩემთვის, მან კი, პრაქტიკულად, პირველად მნახა. წლინახევრის პატარა ბავშვი დაეჭოვე, ახლა კი 18 წლისა და მეორე კურსის სტუდენტია.

და ბოლოს, მეორე დღესვე ეს არაჩვეულებრივი შეხვედრა თქვენთან. მთელი ოცი წლის მანძილზე ვინ იყავით ჩემთვის და რას ნიშნავდა თქვენი ლექსები — ცალკე მოსაყოლი და დასანერი ამბავია.

მართლაც მეტისმეტად ბევრი მოვლენა ხომ არაა ერთი ადამიანის ორი დღისთვის?! მაპატიეთ, რომანზე რომ არ ვწერ, ესეც რომანზეა — მისი ნაკითხვით შექმნილი ნაგომარეობაა, ეს თქვენი გმირებისგან ნაკარნახევი ფრაზებია — ასე რომ, მათ მიბიძგეს აღსარებისკენ.

ბი, რომელთა ლექსებდა ფორმირების არც უფლება აქვს პოეტს, არც — ძალა და გულიც ვერ ჩაიკლავს. ისინი ლექსების სი-ახლოვეს ცხოვრობენ, არსით იგივენი არიან, რაც ლექსები. რჩება იდეები, რომლებიც არალექსურ ტრიბუნას ითხოვენ.

თქვენი რომანი ბევრ საკითხს ეხება, ძალზე ბევრს საიმისოდ, რომ ერთ წერილში ჩამოეთვალო და განვავითარო. პირველი საკითხი კი რუსული ლიტერატურის ბუნებაა. მწერლებისგან ცხოვრებას სწავლობენ. ისინი გვასწავლიან, რა არის კარგი, რა — ცუდი; გვაშინებენ; ჩვენ სულსებს ცხოვრების ბნელ კუთხეებში ჩაფლობის უფლებას არ აძლევენ. ზნობრივი შემადგენელი რუსული ლიტერატურის განმასხვავებელი ნიშანია. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა რომანში აშკარაა ადამიანთა ქცევის სიმართლე, ანუ ხასიათთა სიმართლე. ეს უფრო სხვაა, ვიდრე დაკვირვებათა სიმართლე. დიდი ხანია, არ ნაკითხავს რუსულ ენაზე რაიმე ისეთი, რაც ტოლსტოის, ჩეხოვისა და დოსტოევსკის რანგის შესაბამისი იქნებოდა.

„ექიმი ჟივაგო“ უდავოდ ამ დიდ სიმაღლეზეა.

და იცით რა? მე შემიძლია, თვალი მივაღვენო რომანის ორგანიზაციას, კომპოზიციას, ყურადღება მივაქციო მას მხოლოდ მაშინ, როცა ავტორს ძალა არ ჰყოფნის, გამიტაცოს თავისი განცდებით, აზრებით, სახეებით, ლექსებით. მაგრამ როცა სურვილი მიჩნდება, ვიკამათო ავტორთან, მის გმირებთან, როცა მათ აზრს შემიძლია, დავუპირისპირო ჩემი — ან, მათგან დამარცხებული, დავეთანხმო, გავყვე მათ ან შევავსო — გმირებს ისე ვესაუბრები, თითქოს ჩემ ოთახში მსხდომი ადამიანები იყვნენ. რა მესაქმება რომანის არქიტექტურასთან. ის, სავარაუდოდ, „ანა კარენინას“ „შინაგანი თაღის“ მსგავსია. მაგრამ მე ვხვდები მწერალს, როგორც მის აზრებსა და გრძობებთან პირისპირ დარჩენილი საბრალო მკითხველი — ურომანოდ რომ იფიქრებს, თხულებების მხატვრულ ქსოვილს.

ით ეს სცენარი, მას დოსტოევშიწინას დიდი ნაფიფქი აქვს (კარგი გაგებით). ნიჭიერად დაწერილი კია. საუბრის ერთ-ერთი მონაწილე ენერგიულად იცავდა იმ მოსაზრებას, რომ მომავლის მხატვრული ლიტერატურის ენად კინოსცენარის ენა მოგვევლინებოდა, ეკონომიური და კომპაქტური, ყოველივე აქეთქენ მიდისო. ფაშარი რომანები ინერება, ვერაფერს კითხულობს იმ კრიტიკოსების გარდა, მსგავსი რომანებით პურს რომ ჭამენო.

მკვეთრად წინააღმდეგი გამოვედი, რადგან კინოსცენარში ერთგვარ „ბეისიქ ინგლიშს“ ვხედავდი, რომელიც შლის შეგრძნებათა გადმოცემის სინატიფესა და სიღრმეს. დავეთანხმე გამომავალი რომანების დახასიათებას და მაინც იმედი გამოვთქვი, რომ რუსული ლიტერატურა არ შეწყდება, ვინმე ნაღდი და დიდი ისეთ რომანს დაწერს, რომელიც, იქნებ ნაკუნებად აქციონ კიდევ კრიტიკოსებმა, მაგრამ ყველა დახეული ნაწილი გამთლიანდება და რომანი კვლავ იცოცხლებს-მეთქი. მეფიქრება, „ე. ჟ.“ სწორედ ასეთი რომანია.

საქმე ის ხომ არ არის, მომავლისკენა იგი მიმართული თუ ჩირაბდანი, განვლილიდან საუკეთესოს რომ გვინათებს.

იმ დროის, იმ მოვლენების მიხედვით, „ე. ჟ.“ რომ მოიცავს, უკვე არის ასეთი რომანი რუსულ ენაზე. აი, მისი ავტორი კი, თუმცა მრავალგვარი სტატია აქვს დაწერილი სამშობლოზე — სულაც არ არის რუსი მწერალი. პრობლემატურობა, რუსული ლიტერატურის მეორე განმასხვავებელი ნიშანი, სრულიად უცხოა „ჰიპერბოლოიდისა“ ან „აელიტას“ ავტორისთვის. „აგონიის გავლით“ შემიძლება, გაცვდეს ენისა და სიუჟეტის სიმყაროები და სიმშაუქით, მაგრამ იგივე თვისებები გულს გტკენს, როცა შინაარსს გამოარჩევ. „აგონიის გავლით“ ტრამვაიში ნასაკითხი რომანია. საკმაოდ საშური და პატვისაცემი ჟანრია, მაგრამ რა შუაშია აქ რუსული ლიტერატურა?

თუმცა, აჯობებს, თანმიმდევრობით, გვერდიდან გვერდამდე მივყვეთ.

ტოლსტოის კარგად ესმოდა ქრისტეს უსასრულობა და მთელი თავისი საშინელი ძალით ცდილობდა, ამავე ნიადაგდან ამოეზარდა სიცოცხლის ახალი გიგანტური ხეები. ანდა ლუთერი?

განა, ნებისმიერი წიგნიერი ადამიანისთვის შესაძლებელია, გაექცეს ქრისტიანულ საკითხებს?

განა, შეიძლება, ვინმემ დაწეროს წიგნი წარსულზე ქრისტესადმი დამოკიდებულების გაურკვეველად. ასეთს ხომ შერცხვება ნივანზე მიმავალი უბრალო დედაკაცისა, რომელსაც ვერც ხედავს, არ იმჩნევს და თავს იჯერებს, ქრისტიანობა არ არსებობსო.

და მე რა ვქნა, ვისაც მინახავს ღვთისმსახურება თოვლზე, შესამოსელის გარეშე, ათასწლოვან ლარიქსებში, ალაღბებულ მიჩნეული აღმოსავლეთით საკურთხეველისთვის, შავი ციყვებით გარშემორტყმული, შემინებულები რომ უყურებდნენ ტაიგურ ღვთისმსახურებას.

ისტორიის რაობა, როგორც საუკუნოვან სამუშაოთა დადგინება სიკვდილის თანმიმდევრულად ამოცნობის ნიშნით — ძალზე საინტერესოა. არ მიფიქრია ისტორიაზე ასეთ ოპტიმისტურ ჭრილში. შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება — არც, მაგრამ მოაზროვნე ადამიანის მიგნება, აგრევიად დაკარგული, ტოლსტოისა და დოსტოევსკისთან გვაბრუნებს. დოსტოევსკის განზრახ ვამატებ ყველგან. ის, მოგესხება, სრულყოფილ ხატად წარმომიდგენია მწერლისა, უფრო სრულყოფილად, ვიდრე — ტოლსტოი, თუმცა, შესაძლოა, არა ისეთ დიადად, ყოვლისმომცველად.

გვ. 13. დღის დახილი, ბიჭს რომ ჩაემის ჩიტებისა და ფუტკრების ხმაში — მთელი ეს ნაწყვეტი უბრალოდ შესანიშნავია.

„ქვეყნად ყოველი მოძრაობა ფხიზლად იყო გაანგარიშებული, მთლიანად კი ანგარიშშიუცემლად დამთვრალიყვენ მათსავე გამართიანებელი ცხოვრების საერთო მდინარეები“ და ასე შემდეგ — ეს კარგია და სწორი.



არ გეგვენებთ, რომ ძალზე ჩვენი უფროსი ცალკეული ადამიანების ის ტანჯვის ჯამი, რომელსაც რატომღაც სახელმწიფოს, საზოგადოების ბედნიერება ეწოდება?! და რაც უფრო დიდია ეს ტანჯვა, მით მეტია სახელმწიფოს ბედნიერება.

ბიჭი, ხეებს რომ უბრძანებს: „გაშეშე“ — ეს ძალიან სწორია. მართებულია ისიც, რომ ისინი ალბათ გაინაბებინან, როგორც ნიკასთან. ბავშვობაში ბრძანების გაცემისა მეშინოდა, ვფიქრობდი, ვუბრძანებ და ვაითუ, ბუნება დამემორჩილოს, შევიშლე-ბი-მეთქი.

თვითმკვლელი „ჩქარ მატარებელში“ ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, კომაროვსკის როლს რომ წინ უძღვის ლარას ცხოვრებაში, საყოფაცხოვრებო შტრიხი და სიმბოლო.

ჩინებული, რომანისგან ცალკე არსებულია დუმფარების სცენა. ასე მთავრდება ბავშვობა და იწყება სიყმაწვილე. შესანიშნავად არის მოთხრობილი.

მამ რა არის რომანი, თან კიდევ ეს ექიმი ჟივავო, რომელიც ძალიან დიდხანს, შუა რომანამდე, არც არსებობს?! არ არსებობს მაშინაც, როცა მთელი სისრულითა და მთელ რომანზე გაიშალა სურათის პირველი ნახევრის ჭეშმარიტი გმირი ქალი — მთელი თავისი მომხიბვლელით (მხოლოდ ნაწილობრივ ტურგენევისა და დოსტოვესკისეულით) ბროლივით სუფთა, თავისი საქონლით ფარულად ქვებით რომ ბრწყინავს — ლარა გიშრად.

ძალიან კარგად გამოვიკვირე მისი პორტრეტი, პორტრეტი სისპეტაკისა, რომელსაც ვერანაირი სიბინძურე, ვინმე კომაროვსკებისა, ვერც გააშავებს და ვერც შებლაღავს. ასეთებს, მთლად ასეთებს არა, უფრო პატარებსა და უმნიშვნელოებს, შევხვედვარ. ის რომანში ცოცხლობს. მან რაღაც უფრო დიადი იცის, ვიდრე რომანის ყველა სხვა გმირმა, ჟივავოს ჩათვლით. რაღაც უფრო ნამდვილი და მნიშვნელოვანი; ხოლო რაც არ იცის, სხვებს როგორ გაუზიაროს (რომც უნდოდეს).

ძალიან კარგი სახელი დაარქვეთ — ქალის საუკეთესო რუსული სახელია. მწარე რუსული ბედის მქონე ქალების სახელი — უმზითვოს, ოსტროვსკისათვის უჩვეულოდ საოცარი პიესის გმირი ქალის სახელი, და ამავე დროს, ჩემი ყმაწვილკაცობის გმირი ქალის სახელიცაა, ქალისა, რომელიც ბავშვურად უგონოდ ქაგავდა და ეს სიყვარული მაკეთილშობილებდა, აღმამაღლებდა — თუ შეიძლება, შეგიყვარდეს ქუჩაში ორჯერ შორიდან დანახვის შემდეგ, მისი დაწერილი თითოეული სტრიქონის ახგვის ნაკითხვისას და უცქირო, კუბოთი როგორ გამოაბრძანებს ბეჭდვითი სიტყვის სახლიდან. ლარისა მიხაილოვნა რეისნერის დასაფლავებაზე წასვლა ჩემს ძალებს აღემატებოდა. მისი მომხიბვლელია დღესაც ჩემთანაა. მას ინარჩუნებს არა ქალის ფიზიკური სახის სხოვნა; არა მისი გასაოცარი ნივთები, ყველა ბიბლიოთეკიდან სრულიად კარგა ხნის ამოღებული; არა მისი მოკლე, ბრწყინვალე და სწრაფად გარდასული ბიოგრაფია — ის დაცულია იმ პატარა სიკეთეში, რაც ვიმედოვნებ, ყველა ბუნებრივი კანონის სანაწილმდეგოდ, მაინც დარჩა ჩემში. თქვენ ხომ იცნობდით მას, მასზე ლექსიც კი დაწერეთ.

თუმცა მასზე კი არა, ლარისა გიშარზე ესაუბრობ. ყველაფერი ნამდვილია ლარაში. მისი დაცემის უმძიმესი სცენაც კი სინაზისა და უმანკოების განცდის მეტს არაფერს იწვევს. სისაძაგლის გახსენების დროსაც ის „თითქოს ჰაერში მიაბიჯებსო, ზეიადი, აღმავრთოვანებელი ძალა“.

ლარა და პაველი — კი, ნამდვილია, მაგრამ სვედიაშია ეს კავშირი, ეს ქორწინება.

ლარა ფულის სათხოვნელად მიდის კომაროვსკისთან. აქ ლამის ემა ბოვარის აჩრდილმა გაიკვლია.

მაგრამ ვუბრუნდები შენიშვნათა წესს — გვერდების მიხედვით. ლარას — ჩემი აზრით, საუკეთესო სახეს რომანში — ქება კი კიდევ ბევრჯერ მექნება გასამეორებელი.

ქალთა სახეები მამაკაცებისაზე უკეთ გამოვლით — ეს, ვგონებ, ჩვენს ყველაზე დიდ მწერლებს ახასიათებთ.

მიტინგი წარმოდგენილია, როგორც „დემონსტრაციის“ მონაწილეთა დასვენება ქუჩაში სიარულით — დასვენებულები გადიან და ბოლომდე არც უსმენენ ორატორს. ვფიქრობ, ყველაფერი ეს საპარტი-

ანად არის ნაჩვენები როგორც ქუჩის დომინანტი, დემონსტრაციის სტიქიურობა, სიბრძნევე.

გასაოცარია ჩამავალი მზეც, ნითელი დროშებისკენ თითებს რომ იშვერს. ცხოვრებაში ერთხელ ცხენების მეშვეობით დაშლილ დემონსტრანტთა რიგებში ვიყავი. მოულოდნელად შეკუმშული გული, დაფანტული წინა რიგები, უეცრად დამდგარი ცხენის ოფლის მკვეთრი სუნის — სულ ესაა, რაც მეხსიერებამ შემოინახა.

უმანკოების სიმშაგე (გვ. 54), ესეც ძალიან კარგია.

ახლა კი იმაზე, რაც მანუხებს, რაც ასე დისპარმონიულია წიგნთან, და რატომღაც გვხვდება უმნიშვნელოვანესი აზრების, ბუნების ფაქიზი, საოცარი დაკვირვებების გვერდით, პერსონაჟთა განწყობილებას რომ ემონება და ემორჩილება; ზნეობრივი და ფიზიკური სამყაროს ერთიანობასთან, რაც მრავალგზის ბრწყინვალედ მიღწეული და განხორციელებულია რომანში — უხემ, გამყინავ, მთელი რომანის მუსიკალური გასაღებიდან ამოვარდნილ მოვლენაზე. ვგულისხმობ უბრალო ხალხის ენას თქვენს რომანში. სწორედ ენას და არა ამ ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიურ სიმწყობრეს. ხალხის თქვენი ენა მუდმივად ერთნაირია — მუშა იქნება ის, გლეხი თუ ქალაქის მოსამსახურე. თქვენ მათ ყველას ერთნაირად ალაპარაკებთ. ეს კი ახლაც შეუძლებელია და მით უფრო ადრე, როცა მოსახლეობის ამ ჯგუფებს შორის მეტი განსხვავება იყო.

ძალზე კარგად ვიცნობ ამ ენას. იქ ლარები ლექსიკაა, ლექსიკური სილატაკე დიდწილად კომპენსირდება გინებით გადასებული მეტყველების ინტონაციებით, ამის გარეშე კი არანაირი მნიშვნელობა აქვს. გლეხების ყოფაში მეტი ჩვეულებრივი, ფართოდ ცნობილი გამოთქმაა, ქალაქის მოსამსახურის ენა ნაკლებია, თუმცა, ძირითადად, სუფთა. მუშებიც უბრალო ენით მეტყველებენ, არც სიტყვის მოჩუქურთმება უყვართ და არც ყოველგვარი მხატვრული შეფერვალობა.

იმდენი ადგილი მომეწონა წიგნში, რომ მიჭირს ასე გამორჩევა. თუმცა, მაინც ის ერთი — ნაწყვეტი ვედენიაპინის დიოურიდან რომსა და ქრისტეზე — გადმოვიწერე და დავიზუპირებ. და, აი, კიდევ რა: როცა სალდათობა ქვეყნის მართვას იწყებს, მომეჩვენა, ასე თუ გაგრძელდა, მესამე მოხელა იქნება და ქრისტეანობის ახალი, მეორე ისტორია დაიწყება-მეთქი.

ქრისტეზე მოსაზრებებს უღმობლად და ძლიერად ენაცვლება ფურცელი კომაროვსკივე (გვ. 60).

მუსიკა და არა კეტი: უიარალო ჭეშმარიტების უცნობლობა — სწორია. აი, სწორედ ასეთებზე უნდა ისაუბრო, იფიქრო, რომანებიც წერო. ადრე, სანამ თქვენ გაგიცნობდით, მანცვიფრებდა, შემთხვევით რომ შევხვდებოდი ვინმეს, ვინც იბეჭდებდა — არავინ ინტერესდებოდა ისეთი საკითხით, როგორ იცავა, რა არის ხელოვნება. ვფიქრობდი, თავს იკატუნებენ-მეთქი, ამის გაგების სურვილი მაინც ხომ უნდა ჰქონოდათ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც სრული დადებითობით გამოარჩევს „ე. ჟ.“ — თხრობის სიმდიდრე. ის სხვა ხასიათისაა, ვიდრე ბიბლიური ენა, ან, ვთქვათ, სამხედრო ანგარიშები, და შორს არის ერთისა და მეორისგან — მიუხედავად მაღალირიკური ადგილების სიუხვისა, ხმაზე ერთი არასდროს იწვევს. ამას ენის დიდ ლინებად და ძვირფას თავისებურად მივიჩნევ, რომელსაც „ლუვერის ბავშვობიდანაც“ ვიცნობ.

„როცა ადამიანს სამყაროს გამოცანები მოიცავენ, ის ფიზიკას უღრმავდება და არა „ილიადის“ ჰეგ ზამეტრებს“. ეს ასეცაა და არც არის ასე.

ფიზიკაში ის ძალზე ცოტადღენ, ერთობ საეჭვო ჭეშმარიტებას იპოვის, ისიც დღენაკლულ ჭეშმარიტებებს. გოეთეც, რაკი იცოდა თანამედროვეობის უძრავობა (ჩვენი ზღაპარი კი იმგვარადვე აგრძელებს არსებობას, როგორც 100 წლის წინ და იმგვარადვე მოქმედებს ბავშვებზე), უძველეს ზღაპარს მიუბრუნდა, რათა მისი ატრიბუტების მეშვეობით განეცხადებინა ის, რაც ადამიანთა სულებთან უფრო ახლოს იყო პოეტურად, ვიდრე მამის იქნებოდა, რომელიმე სამეცნიერო ნაშრომში რომ დაემტკიცებინათ. მეცნიერული ჭეშმარიტებები ნაკლებად დღეგრძელია, ვიდრე ხელ-

ოვნების სიმართლე, თან მეცნიერება ქადაგება არ არის, ხელოვნება კი ქადაგებაა.

გვ. 62. — კომაროვსკი ასე პოეტურად არ უნდა იგონებდეს ლარას, არც ტლანქად, რა თქმა უნდა, მაგრამ არც ასე. თუმცა იქნებ სწორედ ასეა საჭირო, ვინაიდან უმანკოებასა და სილამაზეს თვით კომაროვსკის სულის გამოვლივებაც კი ძალუძს.

გვ. 67. — ლარა ეკლესიაში. დიომინა, მგონი, ტყუილად არის აქ, ამას თავად ლარაც ნანობს. აქ საჭიროა მარტოობა. ის შეიძლება, მერე დაირღვეს, თუ, რაღაც მიზეზით, საჭირო გახდება, მაგრამ ეკლესიაში ლარა მარტო უნდა წავიდეს.

გვ. 68. — „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყუდრიდნენ და გდევნიდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდნენ და მხიარულ იყვნით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა“. ეს თავად მისი აზრი იყო. ქრისტეს აზრი — ძალზე კარგია.

გვ. 68. — 1 iãõ-ს საცხედრეში ოდესღაც ვიყავი ზოგადი განათლების გამდიდრების მიზნით. რასაკვირველია, ოსტატურად გაქვთ აღწერილი საცხედრე, თუმცა, მგონი, ადამიანის სხეული სულაც არ არის ყოველთვის ლამაზი (ცოცხალიც და გარდაცვლილიც) და დანაწევრებისას (ამპუტირებული ფეხი, მაგალითად, უგვანო და საზარელია) განსაკუთრებით. ვფიქრობ, მარტო ველური ბუნებაა მშვენიერი — ქვა, რომელიც, სადაც არ უნდა დააგდო, თავის ადგილს ათულობს. ხეებსა და გარეულ ცხოველებს გონჯები არ ჰყავთ. ბუნების სიმახინჯე მხოლოდ მის ადამიანთან ურთიერთშეხებაშია.

გვამი საცხედრეში — როგორც ქანდაკება, როგორც პანტომიმის მსახიობები დიადი სპექტაკლის უკანასკნელი აქტის თამაშისას. იქნებ, ამიტომაც ეწოდება „ანატომიური თეატრი“?

გვ. 89-92. — ჟივავოს საუბარი — ვედენიაპინის აზრების გამგრძელებლისა — მემკვიდრეობითობა XIX საუკუნიდან, კაცობრიობის დიადი საუკუნიდან. ადამიანთა ფიზიკური აღდგომა. ვეჭვობ, სწორედ ასეთი აღდგომის შეეშინდა ოდესღაც მალთუსს. „თქვენ უკვე მოხვედით მეორედ, როცა დაიბადეთ. ნუ განჭვრეტთ საკუთარ წიაღს. ცნობიერება შხამია. პიროვნება სხვა ადამიანებში — სწორედ ეს არის ადამიანის სული.“ ამ ექიმურ კონცეფციას არ ვიზიარებ. მინახავს კარგი ადამიანები, რომლებსაც სხვა ადამიანებმა აწყენინეს და გარიყეს და ამ სხვა ადამიანებში არაფერი დარჩენილა იმათგან, ვისაც სული ჰქონდა. თუმცა ამაზე საუბარი შორს წავიყვანს, ხოლო რომანი ამ საკითხებს ასე რომ ეხება — კარგია.

გვ. 95. — ევგრაფი — ეს რა არის? რისთვისაა იგი? საჭიროა კი კომპოზიციურად?

გვ. 106. — ქუჩის ყინვა და სიცივე და მიმავალი ლარა — ბრწყინვალეა, და იგივე თოვლი და ყინვა იურასთან — ძალიან ოსტატურადაა ნაჩვენები.

შესანიშნავია ვალსი, ცხვირსახოცი და სროლა. ქალის ცხვირსახოცი ჟივავოს ბაგესთან, როგორც რომანტიკული შეფერილობა იმ წელიწადთა, რომელსაც ვასროლამდე სხვა განზომილებებში (იხილეთ ვალსი რომანის დასაწყისში) მივყავართ. იგრილებს კიდევ.

გვ. 108-114. — ტონია. უბრალო ქალი ტონია. ანა ივანოვნას და მისი „ასკოლდის საფლავის“ ლირიული ქალიშვილი. ტონია, რომელსაც „ძლიერ უხდებოდა შავი სამოსი“.

ბევრ ქებას იმსახურებს ტყე (ცხოვრება), რომელიც გზა აებნა პატარა იურას, რომელიც გაიზარდა და კვლავ რომ შეხვდა ახლობელი ადამიანის სიკვდილს, აღარაფრისა ეშინოდა, რადგან „ყველაფერს, ყოველ ნივთს თუ არს მის ლექსიკონში თავისი სახელი ეძებნებოდა“.

გვ. 122. — უხამსი საუბრები და კრძალვაზე — მართალი, მაგრამ უკვე მრავალჯერ დაცლილი სცენაა ლიტერატურაში... მაგრამ „უნებურად, თითქოს იმავე ხმით წარმოთქვას მისმა ბავებმა — „დედილო“. საუცხოოა.

ხელოვნება სიკვდილს ჩაჰკირკიტებს და ამით დაჟინებით ქმნის სიცოცხლეს. ის ხელოვნება, რომელსაც „იოანეს გამოცხადება“ ჰქვია და ისიც, მას რომ განასრულებს — როგორ გასაოცრად სწორი და რა ნაკლებადაა გაგებული. სიცოცხლე უკვ-

დავია მხოლოდ ხელოვნების წყალობით ხელოვნება ცხოვრების უკვდავებაა.

გვ. 143. — ტონიას მშობიარობის ამსახველი ფურცლები — კარგია. არ ჩამოუვარდება კიტის მშობიარობის აღწერას. სწორია, რა თქმა უნდა, რომ მხოლოდ მის ბედზე ლეღავ და ბავშვზე არ გეფიქრება.

გადმოცლილი ხომალდის თამამი ხატი, სულს რომ გადმოსვამს ხილულ სამყაროში — ძალზე კარგია.

პაშას პირველი ღამე და ფიცარივით სინათლის ზოლი, „დასასრული“ — იურას დედის საფლავზე გასაშრობად გაფენილი სარეცხის ამბავი. უბედური ლარა ამ მართალ ქორწინებაში ანტიპოვთან, რომელზეც ის უფრო დიდია, ღრმა. პაშას მიერ ლარას ვერგაგება ქალის სიმაღლის გამო.

ესეც კარგია: „არ არსებობს ფაქტები, ვიდრე ადამიანი მათში რაღაც თავისას, რაღაც ზღაპარს, არ შეიტანს“.

გვ. 171-172. — რა თქმა უნდა, სწორია, რომ ქრისტიანობა იყო ადამიანისთვის და არა საზოგადოებისთვის სიცოცხლის შეთავაზება.

გადავიდეთ V ნაწილზე. მეუღლე, რომელმაც რომანი ჩემზე ბევრად ადრე წაიკითხა, მწერდა: „იცი, რომანის გმირები, ალბათ, ძალზე ნამდვილები არიან — მათზე გეფიქრება სამსახურში, ტრამვაიში“.

ცოცხალი გმირები არიან ლარაც, უსტინიაც, ტივერზინიც კი. თქვენ, რა თქმა უნდა, გეტყვიან, რომ დრაგუნი ტივერზინი არ გამოდგება სოციალ-მეთაურად; რომ დასვენება მიტინგია დემონსტრაციის დროს, მელუხევეოში კი მიტინგზე ისე დადიან, როგორც საქმიან საღამოზე. ყოველივე ეს „დიადის“ დამდაბლებაა. მაგრამ ეს ხომ ასეც იყო — მასა, ხალხი. ყოველივეს ხომ მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მოუგონეს წესრიგის შეფერულია, მოუფიქრეს და მოვლენებისა და ადამიანების წარმმართველი ერთიანი ნებად მონათლეს.

გვ. 21. — „თითქოს მთელ რუსეთს სახურავი გადაეხადა და ჩვენ ხალხთან ერთად ღია ცის ქვეშ ვცხოვრობთ. და ჩვენი მომხედავი კაცი არ არის“ — ეს ფორმულირება მართალი და ზუსტია.

ძალზე კარგად არის გახსნილი პიროვნების სიმდიდრე. ამრიგად ჩნდებიან სახალხო ბელადები. ასე გაჩნდა ზიბუშინოს რესპუბლიკა. ადამიანთა ცხოვრება უფრო კამკაშა ხდება.

საუცხოოა სიტყვები მეორე რევოლუციაზე, ყველასთვის რომ პირადია. და მართლ ლარისა თავისი შინაგანი ცხოვრებით ექიმ ჟივავოზე ღრმად, რომ არაფერი ვთქვათ პაშაზე. ლარისა მაგნიტია ყველასათვის, მათ შორის ექიმი ჟივავოსთვისაც. რომანის 200 გვერდი ნაკითხულია — სად არის ექიმი ჟივავო? ეს რომანი ლარისაზეა.

მშვენიერია უთოების სცენა. რომანის ერთ-ერთი ცენტრალური სცენაა. საოცარია ქარბუქი ჟივავოს გამგზავრებისას, მისი სულის ბორგვა ლარასთვის ნამოცდენილი სიყვარულის ახსნის შემდეგ. კარგია თანდათან დაშორებული ჭეჭა-ქუხილის გრუხუნის შტრიხები.

რამოდენა მასა დაგინახავთ, დაგიმახსოვრებიათ, ბ. ლ., როგორი სიმდიდრეა პოეზიაში, პროზაში.

გვ. 46. — საოცარია ყრუ-მუნჯის გამოჩენა. ამ ყრუ-მუნჯს დიდხანს ველოდი, თუმცა განცვიფრებული დამტოვა ამოცანის ამგვარმა ამოხსნამ. მაშალი და დედალი იხვიც კიდევ გამოადგებიან ტონიას, მოსკოვსაც.


„ხელოვნების თემა საკუთარ თავთან დაბრუნებაა“. ეს კვლავაც საუცხოოდ მართალია.

გვ. 55. — ჟივავო: „იმის თქმა მინდა, რომ შეძლებულთა ცხოვრებაში... უამრავი ზედმეტი საგანი იყო დახორებული, ზედმეტი ავეჯი და ზედმეტი ოთახები სახლში, გრძნობათა ზედმეტი წვრთმანები“...

მეტად მართებული მოსაზრებებია ოჯახზე, მშვიდობაზე ოჯახში, ზრდასრული მამაკაცის მოვალეობაზე. საკვირველია ჭეჭა-ქუხილი, რომელზეც წვეულებაზე ისე ისაუბრეს, რომ არც უნახავთ და გაუგონიათ. კიდევ უფრო უკეთესი, და მნიშვნელოვანია, იქნება შემდგომ ჩანჩქერი.







დასასრული

გვ. 71. — ძალზე მნიშვნელოვანი ავტორისთვის, მაგრამ არასწორი, რადგან ის, რაც ელანდება შეზარხოშებულ ფიგურას, არ არსებობს — ყოველივე გაცილებით მარტივი, სერიოზული და სისხლიანი.

ძალიან კარგია აჩქარებაზე სიყვარულის გამოტყდომის; მატერიაზე, ცნებად რომ იქცა; მოქალაქეების რომანტიკულ დეკრეტებზე.

რომანის ლამის თითოეული ფრაზა მნიშვნელოვანია. ის იმდენად სავსეა შინაარსით, სრულიად უჩვეულო რომ არის თავისი არსით, რომ ან მორჩილ გაოცებას მოითხოვს, ან გალიზიანებულ კამათს. მკვებედ და დაუყოვნებლივ არკვევ მის მიმართ დამოკიდებულებას ან მორჩილი გაცემების, ან გალიზიანებული კამათის სახით.

გვ. 73. — „მომავლის შემზარავი აჩრდილის წინაშე ჯუჯა არსება იყო“ — თავგანწირვა და ამასთან ერთად „ადამიანებით თამაში“.

ნეკერჩხლის ფოთლები — ფრინველები — საოცარია.

ნ. ნ. ვედენიაპინი — ამდენი რომ ჩადო ამ მომავლის მოსაახლოვებლად, მოსკოვში ვიღაც ჩამოსულად მოჩანს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეუძლია, მოქუსლოს თავისი ალპების ნაცნობ სიმაღლეებზე.

მამარქმეს ქუჩაში გაყვავილი თებერვალში, რათა ისტორიის მძიმე კვალს სამუდამოდ დაეშინათ. ნოემბერში არსად წავუყვანივარ.

ექიმი დაიღალა სამდღიანი საუბრებით თავის მასწავლებელ ვედენიაპინთან და მეგობარ გორდონთან. მათი დრო წასულია. სიტყვების დრო აღარ იყო, ამიტომ ქარბუქი, ტელეგრამა, ქურქიანი ბიჭები, რევოლუცია და კუნძი, სანავი (ზრუნვა სითბოზე), რომლის წინაშე ყველაფერი იდი უკან იხევს, ძალზე სწორია.

თოვლი გრივად, ქარბუქად რომ გადაიქცევა მოვლენათა მიმდინარეობასა და ფიგურას სულის დრტინვასთან ერთად —

# ვარლამ შალამოვი წერილი ბორის პასტერნაკს

ეს მსგავსება არამხოლოდ არ იჩქმალება, არამედ პირდაპირ ნათქვამია, „რაც ამის მსგავსი რამ ხდებოდა ზნეობრივსა თუ ფიზიკურ სამყაროში“.

„ასე უადგილოდ და უდროოდ დროს მხოლოდ ყველაზე დიადი რამეები ხდება“.

გვ. 83. — კარადის შეშაში გაცვლა, კარადის შენთებაც შეიძლება, კაცმა რომ თქვას (ამისთვის, პოეტის კი არა, მეცნიერის სული უნდა გქონდეს).

გვ. 104-105. — თემები გეთსიმანიის ბაღის ციკლისა და გადაწყვეტა: „აღვდგეთ და ავმადლდეთ“. აჰ, რაოდენ რთულია ყოველივე, ბ. ლ., და სურვილი მიჩნდება, ცალკე მოგწეროთ ამ რომანში დასმულ ათას უმნიშვნელოვანეს საკითხზე, განვიხილო, მათ შემოთავაზებულ გადაწყვეტაზე ვიფიქრო.

წანილი VII.  
შფოთი გრძელდება. ერთი წლის წინ დაჭერილი პრიტულიევი, ბიჭი ვასია, მიმალული ბიძის ნაცვლად რომ აღმოჩნდა ბადრაგის ქვეშ და ათასი კილომეტრის სიშორეზე მიმავალი. და სოფელი, სოფელი, რომელსაც რევოლუციის დროს შესაძლებლობა გამოუჩნდა, თავად გადაეწყვიტა თავისი ბედი. მისი დაშლამიწვეული იმედგაცრუება. სოფელი იგივე დარჩა — ქალაქის მიმართ უნდობელი და თავის ქოხურ ბედზე მეოცნებე. ახალი გასვლა ხალხში მიზნად ისახავს, დაახლოვოს, გააძლიეროს კავშირი სოფელთან. ამჯერად ტექნიკოსი სპეციალისტების გასვლაა. ეს, ზოგადად, ახალი ამბავი არ არის — ჩინეთიდან ვიცნობთ ექიმ მისიონერებს, ინჟინერ მისიონერებს.

ექიმი, რომელიც სამყაროს აყურადებს... ისე სურს, რაიმე იმგვარი მოისმინოს, რაც ცხოვრებას განუმარტავს. ადამიანებთან ამ განმარტებების გამოხატვის იმედი დაკარგა და მარტო ერთი რამ დარჩენია, ბუნებას მიმართოს.

კვებს კი ვუკრავდი და ახალა გაეცანობიერე: თავს ხომ არ ვიტყუებ, რომანმა ხომ არ მაიძულა, მეფიქრა-მეთქი. თითქოს ყოველივეს ადრეც ვგრძნობდი, თუმცა ეს შეგრძნება ახლახან მოცემული სხვისი სიტყვებიდან გაჩნდა. არა. ეს შეგრძნებები ეხმიანება ჩემსას, შესაძლოა, არა ასე მთლიანად, ასე ნათლად და დასრულებულად გამოთქმულებს.

რუსეთი — წყალდიდობა, სტიქია, მაგრამ არა ცხოველური ძალის თავისუფლება. საუკეთესო ადამიანური თვისებების წარმოჩენა ადამიანში, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა, გაიზარდოს და იბრწყინოს.

რომანი დაუსრულებელია. მაინც რა საჭიროა ევგრაფი?

გამოსაჯანმრთლებლად, როგორც სიკვდილის ლანდი?

თქვენგან ავადმყოფი პრიშინის მონახულება, შესანიშნავია. ასეც უნდა იყოს. მას თქვენი ნახვა სურდა, გიხმობდათ, მისთვის, ერთი შეხედვით, შორეულ ადამიანს. მოციქულური რამ არის თითოეული დიდი პოეტის ცხოვრებაში, და ამას ხომ გრძნობს თქვენთან მოსაუბრე, თქვენი ლექსების მკითხველი ხალხი.

მეც ბედნიერებად მივიჩნევ, რომ შესაძლებლობა მაქვს, გიცნობდეთ, გისმენდეთ.

არ ვიცი, როგორ მიიღებს რომანს ოფიციალური კრიტიკა. ნამდვილ ლიტერატურას გადაუჩვეველი მკითხველი კი სწორედ ასეთ რომანს ელოდება. ჩემთვის, ნამდვილ წიგნებს დანატრებული რიგითი მკითხველისთვის, ეს რომანი ხანგრძლივად, კარგა ხნით, დიადი მოვლენა იქნება. აქ ძლიერადაა ნამოჭრილი საკითხები, რომელთაც ვერც ერთი თავმოყვარე კაცი გვერდს ვერ აუვლის. აქ მთელი ლირიკული მომხიბვლელობით წარმოდგენენ ჩვენი ტრაგიკული დროის ცოცხალი გმირები, რომელიც ჩემ დროშიც ხომ არიან?! აქ მხატვრის საოცარმა მზერამ ბევრი ახალი რამ დანახა ბუნებაში, მისმა ფუნჯმა კი ფაქიზი საღებავები ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად გამოიყენა.

აქ დახატულია სურათი გოგოლის მიერ წინდანი ნაგრძობი „სამყაროსი გზაში“, სამოქალაქო ომის დროინდელი რუსული წყალდიდობა, „რუსეთი ვაგონებში“, სამყაროსი, ხელი რომ ჰქონდა თანსწლოვან ნესებს და სადღაც მიცურავს. კიდევ ერთხელ ვუბრუნდები გაზაფხულის, გაზაფხულზე წყლის ადიდების, ქებას.

წონადი ენა, რომლის თითოეული ფრაზა რაღაც სიმძიმეებს აღძრავს ტვინში, რაღაც ახალ კარს აღებს, რომელსაც ადრე გვერდს ვუვლიდით ისე, რომ არც კი ვიცოდით, რომ ეს კარია და თან დაკეტილი.

ესოდენ მოკლე ბარათში ყველაფერზე ხომ ვერ დანერ. მინდა, ბლოკზე დავეწერო, ებრაელობაზე, საკითხზე, სადაც ყველაფერი მარტივად არ არის და, მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ადამიანისთვის ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი, საკითხია. ოჯახი, სადაც ვიზრდებოდი რუსეთის პროვინციაში, მამა, რომელსაც მე, პატარა ბიჭი, დაყვავდი სინაგოგაში და მეუბნებოდა: ნახე, ესაა ტაძარი, სადაც ადამიანებმა ჩვენზე ადრე იპოვეს ღმერთი. ჭეშმარიტება ჭეშმარიტების სურვილია.

ეს არის მცდელობა, რუსული ლიტერატურა თავისი ნამდვილი თემებისა და გენიალური იდეებისკენ მიაბრუნო. მცდელობა, უპასუხო იმ შეკითხვებს, რომლებსაც ათასობით ადამიანი სვამდა ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც, რომლებზეც პასუხებს დაძაბულად და ამაოდ ელოდებიან ბოლო ათწლეულების ათასობით რომანში, რადგან გაზეთებს არ ენდობიან, ლექსებისა კი არ ესმით.

კიდევ ორი ასეთი რომანი და რუსული ლიტერატურა გადარჩენილია.

მართებულა, რომ ვედენიაპინი გაკრეჭილი მღვდელია. სწორედ ეს ხალხი — გრიგორი პეტროვი, იზმაილოვი — არიან წმინდა იდეის ქომავლები, საკუთარი მრწამსისთვის რომ სრულიად ამაოდ იტანჯნენ. როგორც „ლუვერის ბავშვობაში“, გოგონებისა და ბიჭების სამყარო და ბუნება მათ გარშემო შესანიშნავად არის დახატული. ზოგადად, ძალიან კარგად გამოგდით ბავშვობიდან სიყმანეში გადასვლა. რაიმე ნიშნით თუ ნამდვილად საუცხოო და უნიკალურია რომანი მთელი რუსული

ლიტერატურისთვის, სწორედ ის ღირსებაა, რომლითაც სუნთქავს „ლუვერის ბავშვობა“ და თქვენი შეუდარებელი ლექსებიც — ბუნების გამოსახვის არაჩვეულებრივი სინატიფე, და არა მხოლოდ ბუნების გამოსახვა, არამედ იმ ფიზიკური და ზნეობრივი სამყაროს ერთიანობა, ერთადერთი უნარი, ერთიანად რომ შეკრა ერთი და მეორეც. კი არ შეკრა, არამედ შეასისხლოვროცო ისე, რომ ბუნებამ იცხოვროს გმირთა სულიერ მოძრაობასთან ერთიან ელფერში.

სინატიფე აქ საჭიროა, რადგან თქვენ არ გაქვთ სადმე მენტი-ნაკლებად შესაფერისად ჩამონტაჟებული ბუნების თვითკმარი ელფერები. გმირების ცხოვრება მიედინება, რომანის სიუჟეტი ბუნებასთან ერთად ვითარდება, ბუნება კი თავად არის სიუჟეტის ნაწილი.

ამონერას დავინწყებ — ყველაფრის არა, რა თქმა უნდა (ეს რომანის ლამის მესამედის გადმონერას ნიშნავს). აჩხაბაჩხა კომპოსტოთი, ქარბუქითა და ჰაერით დავინწყებ, სადაც თოვლის ბუქი ტრიალებს, ბელურებით, ძახველიდან რომ ფრინველდნენ და ხმაურობდნენ წყლის ჩხრიალის მსგავსად.

...შვიტას მუხლოვანი ღეროები ძველეგვიპტური ჩუქურთმებით დამშვენებულ კვერთხებს ნაგავადა.

მიმწუხრის მზე ლიანდაგებთან წარმოქმნილ სცენას მორცხვად ანათებდა.

ნოემბრის სუსხიანი ღლე და თითო-ორ-ოლა გზაბნეული ფიფქი — 46 გვერდზე.

სალამო ნახშირის ნახატივით კუშტი იყო.

მთის დაყურსული წმინდა ჰაერი.

სახურავი სახურავს ეხმიანებოდა, როგორც გაზაფხულზე.

გათომრის დილის მრგვალი, თითქოს და სახარატოში გაჩარხულ-გაკრიალებული, ხმები.

თოვლი საერთოდ ყველაგან შესანიშნავია. ის მთელ წიგნშია მიმოფანტული.

სრულიად განსაკუთრებული ანთებული სანთელი, ქალაქს რომ უთვალთვალებს გაყინული მინის შექმნარ ჭრილი.

ობივით გაბურძგნული ჭირხლი.

ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა სპირტის ალივით ცისფერი... ნესტიანი აპრილის მთის თბილი დილა.

ამასობაში თვალდათვალ ბინდებოდა. თითქოს ქუჩები უფრო დავინროვდა. სალამოს ბინდებუნდში სახლი და მესერი შეიკრა. ეზოების სიღრმიდან ხეები ფანჯრებს, ანთებულ ლამპებს მიუახლოვდნენ.

რაც კი ამქვეყნად ყვავილთა სურნელი იყო, სულ ერთიანად დატრიალდა, თითქოს დედამინა მთელი ღლე უგრძობლად იყო და გონს ახლავდა მოვიდა ამ სურნელებით. ირგვლივ ყოველივე დუღდა, ფუოდა და ასე შემდეგ.

ჭექა-ქუხილი შორიდან გრუხუნებდა.

თეთრად მზირალი ბატები ავად და შავად გალურსულ-გაყურსული ცის ქვეშ განაბულიყვნენ.

ცაცხვის სურნელი, მატარებელს წინ რომ უსწრებს.

არყის ხის ტოტების ჩრდილი, როგორც ქალის თავშალი.

წყალდიდობის გამორჩეული სურათი, გაზაფხულის თავიდან უხილავი. ფარული შრომა თოვლის საფარქვეშ.

გაზაფხული ცას აბრუებდა.

ეს სარისკო მეტაფორაც კი — ნისლის ბინდებუნდში მზის ამოსვლის შედარება აბანოს ოხმივარში შიშვლების გამოჩენასთან.

გმადლობ, ბ. ლ., იმ ბედნიერებისთვის — ბედნიერებისა და მღვლვარებისთვის — რომელიც თქვენს რომანთან ერთად მენვია.

1954 წელი, იანვარი.

თარგმანი თამარ კვარაცხელიამ

შემდეგი ნომერი გამოვა  
29 მაისს

